# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 200 (5541)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


გვეშველა!

## „რუსეთი საქართველოს ეკონომიკურ განადგურებას არ აპირებს“

10



## საქართველოს დაშლა ამერიკის სტრატეგიული მოქმედების გეგმითაა გათვალისწინებული?..

5

საააკაშვილი:

## „ევროპელებო, ყურადღება მიაქციეთ მოსკოვს. სახელმწიფო რასიზმი საქართველოს წინააღმდეგ“

6

## რუსი ჯაშუშები

### უნდა გაგვესამართლებინა და მერე ისე გაგვეშვა

6–7

## იტალიელი სტუმარი აღტაცებული დაგვემშვიდობა

**საქართველო-იტალიის გუშინდელ შესარჩევ მატჩს სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ჯანი მერლოც დაესწრო, რომელმაც ამ პოსტზე თურქი თოღაი ბაიათლი შარშან მაისში შეცვალა.** ვიდრე თანამემამულეთა გულშემატკივრობას შეუდგებოდა, საპატიო სტუმარმა კოლეგებისთვისაც მოიცალა და, დატვირთული პროგრამისა და დაღლილობის მიუხედავად, საერთაშორისო პრეს-ცენტრ „ახალი ამბები – საქართველოს“ ოფისში მოწვეულ პრესკონფერენციაზე გულახდილად უპასუხა დასმულ შეკითხვებს. ქართული საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან დიალოგში მასთან ერთად სსჟა-ს თავკაცი ელგუჯა ბერიშვილი და რადიო „თავისუფლების“ ბიუროს შეფი დავით კაკაბაძე მონაწილეობდნენ.

— ბატონი გუჯა კარგა ხანია ცდილობდა ჩემი ვიზიტის განხორციელებას და პირდაპირ მოგახსენებთ, როგორც მასპინძლობამ, ისე თქვენმა ქვეყანამ და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის დონემ აღტაცებაში მომიყვანა. ზოგან ჩვენი პროფილი მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები – ჩვენ სოციალურ და კულტურულ საქმეს ვემსახურებით და დამოუკიდებლობისთვის უნდა ვიზრუნოთ.



13

## „სხეული ადგილობრივი, სული რუსული“

4



7

## ეს რეფორმა დაღუპავს უნივერსიტეტს!

იკითხეთ ყველაზე სანდო, მართალი გაზეთი, რომელსაც თქვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!

მთავრობა

# საქართველო ნატოში ინტეგრაციისკენ სწრაფი ტემპით მიიწევს



**მთავრობის სხდომის დაწყებისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საქართველოს ნატოსთან ინტენსიური დიალოგის გადასვლის დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე ისაუბრა.**

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკებები დაიწყო ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიაში რობერტ სიმონსთან.

მისივე თქმით, ამ დოკუმენტზე მუშაობა უახლოეს მომავალში დასრულდება. მან მოუწოდა საქართველოს მთავრობას აქტიური მუშაობისაკენ, რათა შემუშავებული სამოქმედო გეგმა ისევე წარმატებით განხორციელდეს, როგორც აიპაპის სამოქმედო გეგმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თებერვლისთვის საქართველო ელოდება ნატოს მორიგი შემფასებლური მისიის ჩამოსვლას, რომელიც განიხილავს საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლის საკითხს.

* * *

**საქართველოს მთავრობა რუსეთის მოქალაქეებისათვის ქვეყანაში შემოსვლის პროცედურების გართულებას არ აპირებს.** ამის თაობაზე იუსტიციის მინისტრმა გიორგი ქავთარაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მთავრობამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა და მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველო გაამარტივებს და გააუმჯობესებს უცხოეთის მოქალაქეებისთვის, კერძოდ, რუსეთის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შემოსვლის პროცედურებს.

მინისტრის განცხადებით, მთავრობას დაგეგმილი აქვს სასაზღვრო პუნქტებზე დამატებით გახსნას მომსახურების ცენტრები.

* * *

**ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ინფორმაციით, რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებზე ყველა ის სოციალური პროგრამა განხორციელდება, რაც ჩვეულებრივ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებზე ვრცელდება.**

სახელმწიფო მინისტრის რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძის ინფორმაციით, თუკი რუსეთი ეკონომიკურ სანქციებს არ შეწყვეტს, ეს საქართველოს ეკონომიკაზე დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

— ჩვენ უკვე გარკვეული გამოანგარიშება გავაკეთეთ და დავადგინეთ, რომ რუსეთის მხრიდან მოყენებული ზარალი მთელი შიდა პროდუქციის 1-1.5 პროცენტს შეადგენს. ჩვენი ეკონომიკა, გატარებული რეფორმების ხარჯზე, ყოველდღიურად იზრდება და 1.5 პროცენტი დიდი დანაკლისი არ არის. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ეკონომიკური ზრდის ტემპს რაღაც პროცენტი დააკლდა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას ვერ შეძლებს, — განაცხადა ბენდუქიძემ.

* * *

**სახელმწიფო მინისტრ რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძის ინფორმაციით, ევროკავშირის ქვეყნებში, 2006 წლის აგვისტომდე, ღვინის იმპორტი ორჯერ გაიზარდა.**

როგორც ბენდუქიძე მიიჩნევს, ღვინის იმპორტს პრობლემები არ შექმნია და ქართულ ღვინოს რუსეთის მაგივრად ევროპელი მომხმარებლები მოიხმარენ.

* * *

**საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრისას გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს კოსტავას ქუჩის №65-ში მდებარე შენობა-ნაგებობა პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემოდა. იმავდროულად 300 არაგველის ქუჩა №24-ში მდებარე შენობა-ნაგებობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას გადაეცემა.**

როგორც კახა ბენდუქიძე განმარტავს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი შენობაში 4 მილიონ დოლარს გადაიხდის, ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია არსებულ შენობაში „კითხვაზე — 3 მილიონს.

მას მიაჩნია, რომ საქართველოში აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კორპორაციის მუშაობის დაწყება მეტად მნიშვნელოვანია და იგი საქართველოს ეკონომიკის განვითარებას კიდევ უფრო დაეხმარება.

* * *

**სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხო სვიმონიშვილის განმარტებით, რუსეთიდან საკვები პროდუქტების იმპორტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ არსებული ვაკუუმი მალევე შეავსოს.**

— შესაძლოა, რამდენიმე დღე სურსათისა და საკვები პროდუქტების დეფიციტი გაჩნდეს, თუმცა, ეს დროებითია, რადგანაც ის ფირმები, რომლებიც რუსეთიდან სურსათ- სანოვაგის იმპორტს ეწეოდნენ, სხვა ალტერნატიული გზების ძიებით არიან დაკავებულნი. რამდენიმე ვარიანტი უკვე არსებობს და, შესაძლებელია, იგივე პროდუქცია სხვა ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან შემოვიტანოთ, — განაცხადა სვიმონიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე პრინციპულია

**როგორც ბურჯანაძემ გუშინ პარლამენტში განაცხადა, რუსეთი ცოტა ჭკვიანურად რომ მოქცეულიყო, უფრო ადრე უნდა გაეყვანა რუსული სამხედრო ბაზები საქართველოდან, უფრო პოზიტიური როლი უნდა ეთამაშა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში და უფრო ცივილური ურთიერთობის ფორმები აერჩია საქართველოსთან. „რუსეთმა ვერ გაიგო, რომ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და კანონიერი ინტერესების დაცვა ნებისმიერ ქვეყანას კანონიერი გზებით უნდა შეეძლოს. უსამართლო ბლოკადა და სანქცია საქართველოს მისამართით, ისევე რუსეთისთვის იქნება კონტრპროდუქტიული“, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.**

## ოსები კვლავ ისვრიან!

**გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ცეცხლი კვლავ გაიხსნა. ინტენსიური სროლა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან სოფელ აჩაბეთში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის მიმართულებით მიმდინარეობდა. ამავე ბატალიონთან ახლოს მდებარეობს აჩაბეთის საშუალო სკოლა, რომელიც სროლის შედეგად დაზიანდა, ნატყვიარის კვალი ემჩნევა როგორც საშუალო სკოლის კედლებს, ასევე დაზიანებულია მინებიც.**

**ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

**რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე ეუთოს წარმომადგენლები და სამშვიდობო ძალების დამკვირვებლები მივიდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

კანონმდებლები

# გაზაფხულზე მიღებულ კანონებში პარლამენტს ცვლილებების შეტანა მოუწევს

**გუშინდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტარებმა კომიტეტების საგაზაფხულო მუშაობის ანგარიშები მოისმინეს. კომიტეტების თავმჯდომარეები კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი შრომის შედეგებით, ამბობდნენ, რომ მიღებული კანონების უმრავლესობამ გაამართლა. ერთ-ერთი, ვინც კანონების ნაკლსა და შეცდომებზე ამოიღო ხმა, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე იყო.**

მან ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პატიმრობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებზე. მისი თქმით, ეს ცვლილებები სათანადოდ არ მუშაობს, ზოგიერთი პუნქტი კი საერთოდ უმოქმედოა. კერძოდ, საგაზაფხულო სესიაზე საპროცესო კოდექსიდან ამოღებულია წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების ერთ-ერთი ფორმა — პოლიციის ზედამხედველობა და დატოვებულია მხოლოდ გირაო და თავდებობა. ამან მაშინვე გამოიწვია ოპოზიციისა და მესამე სექტორის უკმაყოფილება, თუმცა, პარლამენტმა მათი შენიშვნა არ გაითვალისწინა. ელენე თევდორაძის თქმით, ამ ცვლილებების მიღებისას რეალობა ვერ გაითვალისწინეს, რის გამოც, დიდი სოციალურად დაუცველი ფენისთვის გირაოცა და თავდებობაც, ფაქტობრივად, უსარგებლოა, რადგან არც ფული აქვს გირაოს გადასახდელად და არც გავლენიანი ნაცნობები ჰყავს, რომ თავდებად დაუდგეს. თევდორაძეს მსგავსი ფაქტებით შეშფოთებულმა მრავალმა მოქალაქემ მიმართა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს თავიდანვე გაუმართლებლად მიაჩნდა პატიმრობის შესახებ კანონიდან ხანგრძლივი პაემნების მუხლის ამოღება. მისი აზრით, ციხიდან გამოსული ადამიანის საზოგადოებრიობაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან ხშირი ურთიერთობა. თევდორაძე იმედოვნებს, რომ ეს ვითარება გამოსწორებადია, რადგან იუსტიციის სამინისტრომ პატიმრობის შესახებ ახალი კოდექსი შეიმუშავა, სადაც პაემნების რაოდენობა და ხანგრძლივობა აღდგენილია. კოდექსი რეცენზირებისთვის ევროსაბჭოშია გაგზავნილი.

— პატიმრობის შესახებ კანონის ბევრი მუხლი არ სრულდება, მაგრამ ეს არ არის იუსტიციის სამინისტროს ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბრალი, ამ ყველაფერს სჭირდებოდა თანხები და სხვა სამინისტროების თანადგომა. ცალკერძ გამართლებულია ამანათების შეზღუდვაც, რადგან ამ გზით სატუსაღოებში ნარკოტიკები შედიოდა, მაგრამ საპატიმროში ჯერ არ გახსნილა მაღაზიები, სადაც მსჯავრდებულები პროდუქტებს შეიძენდნენ. ასევე კანონი მოითხოვს, რომ ყოველ პატიმარზე 3 კვადრატული მეტრი მოდიოდეს, მაგრამ, საპატიმროების გადატვირთულობის გამო, ეს კვლავაც ფიქციაა. ნებისმიერი ახალი კანონის მიღებისას, უპირველესად, რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. კარგი კანონი ქაღალდზე არ უნდა რჩებოდეს, — განაცხადა თევდორაძემ.



ასე რომ, საგაზაფხულო სესიაზე მიღებულ კანონებში ცვლილებები უკვე შესატანია, თუმცა, თევდორაძეს უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, დაეთანხმდება ამას თუ არა იურიდიული კომიტეტი.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ საგაზაფხულო სესიაზე მიღებული 14 კანონპროექტი პარლამენტმა კანონად აქცია. საკუთარი საქმიანობით კმაყოფილი ნოდარ გრიგალაშვილის თქმით, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არ გაკეთებულა იმდენი, რაც ბოლო სამ წელიწადში განათლების სფეროს რეფორმის მხრივ გაკეთდა. კომიტეტის თავმჯდომარე ამაყობდა იმითაც, რომ გარემონტდა ასეულობით სკოლა, აშენდა ახალი სკოლები. შარშან და წელს 34000 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა, მათგან ერთიც არ მოხვედრილა უმაღლესში ქრთამით, პროტექციით. სკოლები კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა, რეგიონებში კი საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტობუსები მიამაგრეს. სახელმწიფოს ხარჯზე სტუდენტები საზღვარგარეთ სასწავლებლად იგზავნებიან.

გრიგალაშვილი მოხარულია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიისა და უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩაურევლობის საკანონმდებლო ბაზა. თუმცა, პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი დღემდე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა და უნივერსიტეტის ავტონომიურობის მოთხოვნით აქციას აქციაზე მართავდა.

კომიტეტის თავმჯდომარემ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ოპტიმიზაციაზეც ილაპარაკა. მაგალითისთვის 17-მილიონიანი სტამბოლი მოიყვანა, სადაც 5 უნივერსიტეტია, საქართველოში კი — 200 უმაღლესი გვქონდა. ამასთან, უცხოეთში 20 სტუდენტზე 1 პროფესორი მოდის, ჩვენში კი — 4 სტუდენტზე. გრიგალაშვილის თქმით, კადრების ოპტიმიზაციაც აუცილებელი იყო.

განათლების რეფორმით კმაყოფილი პარლამენტარები კოლეგა გრიგალაშვილს მადლობას მადლობაზე უხდიდნენ. თუმცა, ზემოთქმულმა „ვიწრო წრეში“ ჩაიარა, რადგან გრიგალაშვილის ანგარიშს 235 კაციდან მხოლოდ — 30 ესწრებოდა.

**ლელა ხვადაგიანი**

აქცენტი

# რას ნიშნავს სასამართლო სისტემის „გაფარჩაკება?“

**11 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ-საქმეთა კოლეგიაში სარჩელი შეიტანეს საარჩევნო ბლოკ „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ წარმომადგენლებმა. იმავე დღეს, 16 საათზე, რესპუბლიკური პარტიის ოფისში გაიმართა სპეციალური პრესკონფერენცია, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ბლოკის ლიდერები დავით უსუფაშვილი და ზვიად ძიძიგური.**

უსუფაშვილმა აღნიშნა: „ჩვენ ვასაჩივრებთ, რომ ნაცვლად კანონით კუთვნილი ორი მანდატისა, მმართველმა პარტიამ დაგვიტოვა 1 მანდატი, მეორე კი ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას გადასცა. ვფიქრობ, რომ ეს სპეციალურად გაკეთდა ოპოზიციის რიგებში არეულობის შესატანად. ჩვენ არ ავყვებით ამ პროვოკაციას. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ პოლიტიკური ელიტა ცესკოს თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს“.

უახლოეს მომავალში ადმინისტრაციულ სასამართლოში ძალზე საინტერესო და სახალისო სასამართლო პროცესი გელოდებათო, დაჰპირდა ბატონი დავითი შეკრებილთ.

ბატონმა ზ. ძიძიგურმა დასძინა, რომ ბოლო დროს ძალიან შემოვიდა მოდაში სიტყვა „გაფარჩაკება“. ჩვენმა პრეზიდენტმა საბოლოოდ გამოუთხარა ძირი და გააფარჩაკა... სასამართლო სისტემა!

ჟურნალისტების შეკითხვაზე, მართლა უთმობს კობა დავითაშვილი თავის ადგილს თინა ხიდაშელსო, — ბლოკის ლიდერებმა კატეგორიული უარი განაცხადეს და პირობა დადეს, რომ ბოლომდე იბრძოლებენ თავიანთი სიმართლის დასაცავად.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

SIC!

# ვალერი გელაშვილის მიერ დაფუძნებულ კომპანია „ევრაში“ ჩხრეკა მიმდინარეობს

**სამშენებლო კომპანია „ევრას“ გუშინ ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები ჩხრეკდნენ, თუმცა ჩხრეკის საფუძველს არ ასახელებენ.**

ფირმის მენეჯერი ვარაუდობს, რომ ფინანსური პოლიციის შემოსვლა ერთი წლის წინათ საგადასახადო ინსპექციის მიერ კომპანიის შემოწმებას უკავშირდება. კერძოდ, ერთ წლის წინათ, საგადასახადო ინსპექციამ კომპანიაში შემოწმება ჩაატარა და 2000 ლარის დამალვის ფაქტი აღმოაჩინა. კომპანიაში აცხადებენ, რომ თუ კომპანია თანხას 45 დღის ვადაში დაფარავს, კანონის თანახმად, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აღარ მოხდება. კომპანიის ინფორმაციით, ფირმას ეს თანხა მითითებულ ვადებში აქვს გადახდილი და შესაბამისად, კომპანიაში ჩხრეკის ფაქტს უკანონოდ მიიჩნევენ.



ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთი წლის წინათ, საგადასახადო ინსპექციის შემოწმების შემდეგ, კომპანიას სახელმწიფო გადასახდელი თანხა ხელოვნურად შეუმცირდა და მიმდინარე ჩხრეკა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება.

კომპანიის გენერალურ დირექტორთან გიორგი მაკასარაშვილთან დაკავშირება ვერ ხერხდება. სატელეფონო ზარებს არ პასუხობს კომპანიის დამფუძნებელი ვალერი გელაშვილიც.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის დაწყებისას ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა იქ მყოფ ჟურნალისტებს შენობის დატოვება მოსთხოვეს, რასაც კომპანიის წარმომადგენლები შეეწინააღმდეგნენ.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ჩხრეკის ოფიციალური საფუძველი ჯერჯერობით, არც კომპანიის ხელმძღვანელობისთვისაა ცნობილი.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## დღეს ახლადარჩეული საკრებულო შეიკრიბება

თბილისის საკრებულო, საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, 12 ოქტომბერს პირველად შეიკრიბება.

იმ შემთხვევაში, თუკი თბილისის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები თავიანთ დაკავებულ პოსტებს დაუბრუნდებიან, საკრებულოს წევრები გახდებიან — გიორგი არველაძე, ხათუნა ციხისელი, ლევან ებანოიძე, თამარ ნუცუბიძე, ნუგზარ ჯაში და რომან მჟავია.

ოპოზიციური პარტიებიდან ლეიბორისტებს შეხვდათ ერთი ადგილი, რომელსაც სავარაუდოდ გიორგი გუგავა დაიკავებს. ხიდაშელი-დავითაშვილის ბლოკიდან ერთი ადგილია და ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ



დაიკავებს საკრებულოში მათ ადგილს — ხიდაშელი თუ დავითაშვილი. თუმცაღა, „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ ბლოკი სასამართლოში ჩივის და მეორე ხმის დაკარგვას აპროტესტებს... მრეწველთა პარტიიდან ასევე ერთი ადგილი ერგო გიორგი ტყემალაძეს.

საკრებულოს სხდომა დედაქალაქის მერს აირჩევს. ამ პოსტს სავარაუდოდ გიგი უგულავა დაიკავებს. ასევე დაინიშნებიან ვიცე-მერი და თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ დაპირისპირება

# მკვდარი საიქიოდან ვერ მობრუნდება...

**არა მგონია, დღეს საქართველოში იყოს ადამიანი, რომელსაც არ აშფოთებდეს დაძაბული მდგომარეობა რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთმა დემოკრატის ნიღაბი ჩამოიგლიჯა და კაცობრიობას თავისი ნამდვილი სახე დაანახა. ოცდამეერთე საუკუნეშიც იმპერიულ ზრახვებს ვერ შელეული ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს „ძველი დიდება“, რაც, რაღა თქმა უნდა, ისევეა მოსალოდნელი, როგორც მკვდრის საიქიოდან მობრუნება...**

ამაზრზენია რუსული პოლიტიკა — ამხელა სახელმწიფო მართლაც მძვინვარე დათვივით ბორგავს და, რასაც წასწვდება, ყველაფერს ტორავს. განსაკუთრებით ამაზრზენია მისი ქმედება რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ. მოსკოვის ქუჩებში, სამსახურებში, ტაძარში, სკოლებში ქართველთა დაკავებას, მათი ადამიანური უფლებების შელახვას ბოლო არ უჩანს. არ ინდობენ ბავშვებს, მხეცურად უსწორდებიან სტუდენტებს.

ეს მთელი მსოფლიოს თვალწინ ხდება. ვერავინ იტყვის, კიდევ რამდენს ხანს გასტანს ქართველთა დევნა და შეურაცხყოფა (გუშინ კი შევიტყვეთ, რომ იგივეს უპირებენ სომხებს და აზერბაიჯანელებს. რას იზამ — ისინიც კავკასიელები არიანძ.

საქართველოში ვითარების ასე დაძაბვას არაერთგვაროვნად აფასებენ. უმრავლესობა სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს უჭერს მხარს და ამბობს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

ბოლო თხუთმეტი წელიწადია სულ ვცდილობთ, არ გავაღიზიანოთ რუსეთი! ყველა ვალდებულებას ვასრულებთ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი...

როდემდე უნდა ვითმენდეთ მის მუხთლობას აფხაზეთსა და შიდა ქართლში? ჰოდა, სადაც წვრილია, იქ გაწყდესო, ასკვნიან.

რესპონდენტთა მცირე ნაწილი თუ მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ამ დიდი მეზობლის ასე აშკარად გამოწვევა. მიზეზად დეპორტირებულ



ადამიანების ხვედრს ასახელებენ, იმ დევნა-შევიწროებას, რასაც ისინი რუსეთში განიცდიდნენ.

— ჩემი ვაჟი ოჯახითურთ უკვე 20 წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს. იქ ააწყო თავისი საქმე. აქეთაც გვიგზავნიდა ფულს მოხუც მშობლებს, — მეუბნება **ლალი ავალიშვილი,** — მაგრამ ახლა აეროპორტში მივდივართ მის დასახვედრად. ოჯახით მოდის. ბავშვებმა ქართული კი იციან, მაგრამ რუსულ სკოლაში დადიოდნენ და ახლა აქ როგორ გადავლენ ქართულ სწავლებაზე, მხოლოდ ეს მაღელვებს...

— აფხაზეთიდან ვარ დევნილი, — ამბობს **გული ნადარაია,** — ასეთი ამაყი კი ამ ბოლო წლების განმავლობაში არასდროს ვყოფილვარ. პატარა საქართველოს ხელისუფლებამ დიდ რუსეთს გაუბედა ის, რასაც ჩვენზე ძლიერი და დიდი სახელმწიფოები ვერ უბედავდნენ. მზაკვრობაში, სიცრუეში ამხილა და პირში მიახალა სიმართლე. სწორედ ამან გააცოფა რუსი პოლიტიკოსები. დღეს თუ არა, ეს ყველაფერი ხვალ ხომ მაინც გარდაუვალი იყო?



ძალიან კარგი, რომ მოხდა. დაბრუნდებიან ჩვენებურები მშობლიურ ქვეყანაში, ნატოშიც შევალთ...

მუსიკის პედაგოგი **თამარ ცაგარეიშვილი:**

— ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ რუსი მზვერავების გამოაშკარავების შემდეგ დაიწყეს რუსეთში ქართველებზე ნადირობა. რას ჰგავს მათი საქციელი — საზარგო თვითმფრინავში ტენიან ხალხს?! ამაზე მსოფლიომ თვალი აღარ უნდა დახუჭოს. დარწმუნებული ვარ, ჩინეთთან რომ შეექმნას პრობლემები რუსეთს, ჩინელებსაც ასევე მოექცევა...

რუსულმა ველიკოდერჟავულმა პოლიტიკამ სახელმოხვეჭილი ქართველებიც არ დაინდო. ახლა გაახსენდათ მათი არსებობა რუსეთში?

საქართველოში ძალზე აქტუალური თემაა რუსეთის დერჟიმორდიზმი“. შინ თუ გარეთ, ტრანსპორტსა თუ ტელეეკრანთან ყველას ეს აკერია პირზე. გამოსავალი? საქართველოს ხელისუფლებაც და მოსახლეობის უმეტესობაც NATO-სკენ მიისწრაფის. ხალხს სჯერა, რომ ქვეყნის გამთლიანებაში მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაგვეხმარება.

**ლია ჭილლაძე**

◉ ინფორმაცია

## ტერიტორიების მიერთებას არ აპირებს

**რუსეთი ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ ტერიტორიების ანექსირებას და რუსეთისთვის მიერთებას არ აპირებს.**

**ამის შესახებ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა.**

**იქვე ივანოვმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რუსეთი პასუხისმგებელია ამ ტერიტორიებზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.**

**„ეს ადამიანები არასდროს ყოფილან მოლდავეთის, ან საქართველოს მოქალაქეები. მათ თავად აირჩიეს რუსეთის მოქალაქეობა და არავის არ გაუხდია ისინი იძულებული, ასე მოქცეულიყვნენ“, — განაცხადა ივანოვმა.**

**მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული გაყინულ კონფლიქტებზე პასუხისმგებლობას რუსეთი ვერ აიღებს.**

**„ეს კონფლიქტები რუსეთს არ წამოუწყია და არც პასუხისმგებლობას აიღებს მათ წარმოშობაზე. რუსეთი არის მათი დარეგულირების გარანტი“, — განაცხადა სერგეი ივანოვმა.**

ინტერპრესნიუსი

## მირონოვი: ჩვენი ქმედებები იძულებითია

**ქართულ-რუსული ურთიერთობების კომენტირებისას რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ, სერგეი მირონოვმა ორ ქვეყანას შორის კონფრონტაციას არანორმალური უწოდა.**

**„ყველა ზომა, რასაც რუსეთი მიმართავს, იძულებითი პასუხია“ საქართველოს ხელისუფლების ქმედებაზე, — განაცხადა მირონოვმა.**

**მისივე თქმით, მისასალმებელი იქნება, თუ ქართულ მხარეს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის სურვილი რეალურად გააჩნია.**

**რაც შეეხება ქართული მხარის განცხადებას ევრო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანაზე, მირონოვი მას უცნაურ განცხადებას უწოდებს.**

## ბრიტანეთი ბლოკადის მოხსნისკენ მოუწოდებს

**დიდი ბრიტანეთი რუსეთს საქართველოს მიმართ დაწესებული სატრანსპორტო და ეკონომიკური ბლოკადის მოხსნისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ბრიტანეთის ევროპულ საქმეთა მინისტრმა ჯეფ ჰუნმა განაცხადა.**

**„დიდი ბრიტანეთი მომხრეა უმოკლეს ვადაში მოგვარდეს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სირთულეები. ვიმედოვნებთ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის სწრაფად აღდგება“, — განაცხადა ჰუნმა საქართველოში ვიზიტისას.**

## რუსი ჯარისკაცები დაუცველები არიან

**საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების დაჩქარებულ გაყვანას პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი რუსი სამხედროების დაუცველობით ხსნის.**

**მისივე განმარტებით, „რუსეთის ბაზებიდან ტექნიკა თითქმის გატანილია. ჯარისკაცებს შეიარაღების გარეშე არანაირი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ და ამიტომაც დაუცველები არიან. საქართველოსთან თითქმის საომარ პირობებში მყოფ ქვეყანას არ შეუძლია თავისი სამხედრო კონტინგენტი დაუცველი დატოვოს. ამიტომაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება,“ — აღნიშნა კლიმიაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ არჩევნების შემდეგ

# მმართველმა პარტიამ ოპოზიციას ციფრებით უპასუხა

**რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გაერთიანება — ბლოკი „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მათთვის ხმების განახევრებასა და ერთი მანდატის წართმევაში ადანაშაულებს. რესპუბლიკელები ამბობენ, რომ საარჩევნო კანონმდებლობით, დარჩენილი ორი მანდატი მათ ნაციონალურ მოძრაობასთან უნდა გაეყოთ, ცესკომ კი ის ერთი მანდატი „მრეწველებს“ მიაკუთვნა. პასუხად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი განმარტავს, რომ „ხმები, რომელიც მიიღო არჩევნებში მონაწილე პარტიამ, მრავლდება 12-ზე და იყოფა იმ პარტიების ხმათა ჯამზე, რომელმაც 4-პროცენტიანი ბარიერი გადალახა... დარჩა ორი ნაშთი. ერთი მანდატი პირდაპირ მიეკუთვნება მრეწველებს, რომლებმაც გადალახეს 4 პროცენტი და ერთი მანდატი — ყველაზე მეტი ხმა ვინც მიიღო, ეს არის ნაციონალები. საბოლოო ჯამი ასეთია: 9 მანდატი ნაციონალებს, ერთი მანდატი, „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ ბლოკს, ერთი მანდატი ლეიბორისტებს, ერთი მანდატი მრეწველებს“.**

რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გაერთიანება ცესკოს გადაწყვეტილების გასაჩივრებამდე საკრებულოში შესვლას არ აპირებს. პარალელურად, გრძელდება მათი საპარლამენტო ფრაქციის ბოიკოტი თინა ხიდაშელის საკრებულოს გარეთ დარჩენის გამო.



პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ოპოზიციას ბოიკოტისთვის მიზეზი არ ელევა. „ვფიქრობ, ძალიან ძნელი ასახსნელი იქნება ჩვენი კოლეგების მხრიდან ნებისმიერი ადამიანისთვის, როგორც საქართველოს ამომრჩევლებისთვის, ისე უცხოელი კოლეგებისთვის, თუ რატომ გრძელდება ეს ბოიკოტი დაუსრულებლად“, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ოპოზიცია ამომრჩეველთა დაბალ აქტივობაზე ლაპარაკობს და მმართველი პარტიის გამარჯვებას ამით ხსნის. ამ განცახდებას უმრავლესობამ ციფრებით უპასუხა. მონაცემების მიხედვით, გასულ წლებთან შედარებით, ამომრჩეველთა აქტივობა მაღალია. მხოლოდ თბილისში, წლეულს საარჩევნო უბნებზე 7501-ით მეტი ამომრჩეველი მივიდა. ნაციონალურმა მოძრაობამ მათი ოპონენტებისთვის კიდევ ერთი მონაცემი გამოაქვეყნა: 2002 წლის არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ 66 000 ხმა მიიღო, რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გაერთიანებას კი წლევანდელ არჩევნებზე 38 000 მხარდამჭერი ჰყავდა. „შეადარეთ, რამდენი ხმა ჰქონდა მოპოვებული 2002 წელს ნაციონალურ მოძრაობას ადგილობრივ არჩევნებში და უახლოესმა კონკურენტმა დღეს რამდენი ხმა მოიპოვა, — ორჯერ ნაკლები, ვიდრე მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ“. ამბობს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი. შეგახსენებთ, ბლოკი „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ განცხადებით, 5 ოქტომბრის არჩევნებში მათ ამომრჩეველთა უფრო მეტი ხმები მიიღეს, ვიდრე 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ.

„როგორც ჩანს, ოპოზიციას ციფრების პრობლემა აქვს, ციფრებს ვერ იმახსოვრებენ“, — ასკვნის უმრავლესობა.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, არჩევნები დემოკრატიულად, გაყალბების გარეშე ჩატარდა. არასამთავრობოებისა და ცესკოს მონაცემები სიების ცდომილების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. ამის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა ერთმა პროცენტმა ვერ შეძლო, რასაც შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. არასამთავრობოების მონაცემებით, არჩევნებზე გავლენა ვერც საჩივრებმა მოახდინა, ისინი ცესკომ დროულად განიხილა.

უმრავლესობის წევრებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს ოპოზიციონერ კოლეგებს, რომ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით შევიდა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ტელეკომპანიები ვალდებული იყვნენ ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის უფასო სარეკლამო დრო დაეთმოთ.

როგორც გიგა ბოკერიამ აღნიშნა, ამ ცვლილების გარეშე ლეიბორისტები სატელევიზიო ვიდეო რგოლებისთვის 375 282 დოლარს დახარჯავდნენ, კონსერვატორები და რესპუბლიკელები — 905 664-ს მრეწველები კი — 317 135-ს და ამ უფასო დროის 35 პროცენტი მაინც ასათვისებელი დარჩა.

**მზია გელენავა**

## ინფორმაცია

### ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სახელს იცვლის

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დიასპორებისა და მიგრაციების სამინისტროდ გადაკეთდება.

როგორც მინისტრმა გია ხეჟვაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ხელისუფლების და ზოგადად პრეზიდენტის უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან უფრო მჭიდროდ დაახლოების სურვილია. „აქტიური მუშაობა გაიმართება ქართულ დიასპორებთან, რაც კიდევ უფრო დაახლოებს ამ ხალხს საქართველოსთან, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში თავს უყურადღებოდ და მიტოვებულად გრძნობენ. ისინი საკუთარ ფესვებს უნდა დაუბრუნდნენ", — აღნიშნა ხეჟვაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

### ელექტროენერგიით უწყვეტად მოგვამარაგებენ



ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექო ხეთაგურის განმარტებით, ზამთარში მოსახლეობას 24-საათიანი გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება ექნება.

თუკი რუსეთიდან რაიმე გართულება იქნება, საქართველო მზადაა ელექტროენერგია და გაზიც სხვა ქვეყნებიდან მიიღოს. შესაბამისი მოლაპარაკებები უკვე არსებობს და ხელშეკრულებებიც გაფორმებულია", — აცხადებს ხეთაგური.

### საახალწლო საჩუქარი

თავდაცვის სამინისტრო მიესალმება საქართველოდან რუსეთის ჯარის შენაერთების 31 დეკემბრამდე გაყვანას. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა განმარტავს, ტექნიკურად ეს შესაძლებელია და რუსეთს თავისი შენაერთები მანამდეც უნდა გაეყვანა.

რაც შეეხება ობიექტების ქართული მხარისთვის გადაცემას. ეს უმტკივნეულოდ მოხდება, რადგანაც ამის გამოცდილება უკვე არსებობს.

„ვფიქრობ, რომ რუსეთის ჯარის გაყვანისათვის ყველაფერი მზადაა. მთავარი იყო რუსეთიდან სათანადო ნება და ეს ნება უკვე არსებობს", — განაცხადა მან.

ჯი-ეიჩ-ენი

## შევნიშნეთ ვაზუსტებთ!

გივი ბოჯგუას წერილში — „3. ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, ტელეჟურნალისტებო!" („სრ". 10 ოქტომბერი) მესამე სვეტის ბოლო აბზაცში უნდა იყოს „მადლობა მოგიხადოთ კი არა, გადაგიხადოთ (მოგაკსენოთ, გითხრათ); ამავე სვეტის ბოლოსწინა აბზაცში „დიდი ბოდიში უნდა მოგიხადოთ" შეცდომა არ არის!

## სიმართლე კი ასეთია

# „სხეული ადგილობრივი, სული რუსული"

*რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ამ უკიდურესად კრიზისულ ჟამს, როცა „ერთმორწმუნე" მეზობელი ქვასა და ტალახს არ იშურებს ჩვენთვის, რამდენჯერმე ხაზგასმით წამოგვაყვედრეს: თქვენი მეფე და დიდებულები დაჩოქილი ეხვეწებოდნენ რუსეთს, შეგვიერთეთო; შეგიერთეთ, გადაგარჩინეთ და ასე გვიხდით ამაგსო? ეს „ნებაყოფლობითი შეერთება", „რუსეთის შემადგენლობაში თხოვნა-მუდარით შესვლა" არახალი თემაა. ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვე ცნობილ არქეოლოგსა და საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტს ჯუმბერ კოპალიანს.*

**— ბატონო ჯუმბერ, რამდენად სწორია რუსეთის მხრიდან მოხშირებული მტკიცება, თითქოს 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთს შეუერთდა?**

— რა თქმა უნდა, შეცდომაა, როგორც ვიცით, გეორგიევსკის ტრაქტატით ხელშეკრულება დაიდო ორ ქვეყანას შორის. მთავარი, მეექვსე მუხლის თანახმად, ქართლ-კახეთი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის დაუკითხავად არ ეწარმოებინა რაიმე მოლაპარაკება სხვა ქვეყნებთან და რუსეთის დაძახებაზე, ვინმესთან ომის შემთხვევაში, უნდა გამოსულიყო თავისი ძალებით. რუსეთი კი, თავის მხრივ, კისრულობდა ვალდებულებას, რომ ქართლ-კახეთს დაიცავდა სხვა ქვეყნებისაგან და არ ჩაერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში. **ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთმა ზოგიერთი ფუნქცია დაკარგა (კერძოდ, საგარეო საკითხებშიძ, სახელმწიფო მაინც დამოუკიდებელი დარჩა. ასე რომ, აქ არავითარი შეერთება არ ყოფილა.** შეერთება ნიშნავს ორი დამოუკიდებელი ობიექტის შეერთებას და ერთად გადაქცევას. კიდევ ვიმეორებ, შეერთებაა, როცა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ გადაიქცევა. ასეთი რამ არ მომხდარა. ქართლ-კახეთის სამეფო დამოუკიდებელი დარჩა თავისი მეფით, საკუთარი მმართველობით, თუმცა დამოუკიდებლობის პირველი ხელყოფა რუსეთის მხრიდან ამ დროს მოხდა.

**— მაგრამ ცნობილია, თუ რა სიხარულით მიიღეს ეს ხელშეკრულება ქართლ-კახეთში.**

— დიახ, მართლაც გაიხარეს. ეგონათ, რადგან იურიდიულად გაფორმდა მფარველობა, ამის შემდეგ ველარავინ დაგვჩაგრავსო. რა იცოდნენ, რომ ეს ტრაქტატი იყო საქართველოს არა გადამრჩენი, არამედ დამღუპველი.

**ხელშეკრულებამ საბოლოოდ დაარწმუნა თურქეთი, ირანი და დაღესტანი, რომ ერეკლემ ნამდვილად ჩამოიყვანა აქ რუსეთი და დაიწყო გამანადგურებელი შემოსევები ყველა მხრიდან, აწიოკება, ნგრევა...** აოხრებას აოხრება მოჰყვა, საქართველო სისხლისგან დაიცალა, შველა კი არსაიდან ჩანდა. მაჰმადიანური ქვეყნების მესვეურნი ამავე დროს თხოვნითაც მიმართავენ ერეკლეს, გაწყვიტე კავშირი რუსეთთან და ხელს არ გახლებთო.

მაგრამ ერეკლეს იმედი აქვს, თუ დღეს ვერ დაეხმარნენ, ხვალ დაეხმარებიან, ამავე დროს ყოველნაირად ცდილობს, დაიცვას ხელშეკრულების პირობები, რომ რუსეთმა შარი არ მოსდოს. 1788 წელს, როცა ერეკლეს მეტი ატანა აღარ შეეძლო, გადაწყვიტა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და თურქეთთან მოსალაპარაკებლად ელჩი გაგზავნა, მაგრამ რუსეთის მთავრობას ერეკლე აგენტურის ქსელში ჰყავდა მოქცეული. მისი ყოველი ნაბიჯი დაუყოვნებლივ ეცნობებოდა რუსეთის სამეფო კარს. ამიტომ, როგორც კი ერეკლემ თავისი კაცი თურქეთისაკენ გაგზავნა, მაშინვე გამოცხადდა მასთან რუსეთის წარმომადგენელი და ბოდიშებისა და პატიების თხოვნით კორიანტელი დააყენა, აქამდე ვერ დაგეხმარეთ სხვადასხვა მიზეზით, ამის შემდეგ კი დარწმუნებული იყავით, თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებთო. კიდევ ერთხელ ენდო ერეკლე ამ ფარისევლურ დაპირებას და თავისი ელჩი ახალციხიდან უკან დააბრუნა.

გადის დრო... გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგის კულმინაცია იყო 1795 წელს აღმა-მაჰმად-ხანის შემოსევა — კრწანისის ბრძოლა. ტრაგედია დატრიალდა საქართველოში. **გეორგიევსკის ტრაქტატმა თავისი საქმე გააკეთა. ე. ი. გააკეთა ის, რაც რუსეთის მთავრობას სჭირდებოდა: ქართლ-კახეთი თითქმის მიწასთან არის გასწორებული, ერეკლეც გარდაიცვალა და დადგა დრო, რუსეთს გადაედგა მეორე ნაბიჯი — ქართლ-კახეთი უშუალოდ შეეერთებინა რუსეთისათვის.**

რუსეთის დიპლომატიის წინაშე საკმაოდ უჩვეულო ამოცანა იდგა: მას უნდა გადაეყლაპა, მტერზე მტრულად უნდა მოპყრობოდა იმას, ვისაც სამი საუკუნის მანძილზე მფარველობას ეფიცებოდა და არასოდეს საქმით არ მფარველობდა. ასეთი ცინიკური უპირობის საქვეყნოდ გამოტანა მაშინ არც ისე ადვილი იყო. მაგრამ, როგორც ნიკო ბერძენიშვილი წერს, რუსეთის დიპლომატიამ სძლია სირცხვილს.

**— დოკუმენტები რას ამბობენ „ნება-ყოფლობით შეერთებაზე"?**

— 1800 წლის 15 ნოემბერს იმპერატორი პავლე პირველი კავკასიის სამხედრო ხაზის უფროსს, გენერალ კნორინგს სწერდა: **„ქართლ-კახეთის მეფის (გიორგი XII-ისძ ჯანმრთელობის შესუსტება საბაბს გვაძლევს ველოდოთ მის მალე გარდაცვალებას. ამიტომ დაუყოვნებლივ გაგზავნე იქ ჩემი სახელით განცხადება, რომ უმაღლესი ბრძანების მიღებამდე არ დაუშვან მემკვიდრის გამეფება"**. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1800 წლის 18 დეკემბერს, პავლე პირველმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. პეტერბურგში წინდაწინვე გამზადებული ქაღალდი (ქართველ მეფეს არავინ ეკითხებოდაძ გაუგზავნეს გიორგი XII-ს ხელის მოსაწერად, ვითომ საქართველო სთხოვდა შეერთებას. მაგრამ სანამ ეს ქაღალდი ჩამოიტანეს, გიორგი გარდაიცვალა. ე. ი. ქაღალდი ხელმოუწერელი დარჩა.

ახლა მოვუსმინოთ ბაგრატ ბატონიშვილს: „1801 წელს შეჰყარეს ხალხი ჩინებულნი სიონისა ეკლესიაში, რომელთაცა არა ენებათ აღება მეფობასა თვისისა, სამღვდელოთა და კათალიკოზთა და მოარტყეს სიონისა ეკლესიასა გარს რუსეთისა მხედრობა ზარბაზნებითურთ, უკეთუ არა ჰყოფთ ფიცსა ერთგულებასა ზედა რუსეთისასა, მოგწყვიტენიცა (მოგსპობთოძ, შიშნეულთა ქართველთ საფიცრად სამღვდელოითურთ იძულებულად იწყეს ფიცი (რამდენიმემ ხელი იკრა ხმალზე, მაგრამ ვერას გახდაძ და აღუთქვესცა მორჩილებაი. მაშინ გახსნეს ღუბერნია ტფილისისა და დაამტკიცეს მართებლობაი". ასე „ნებაყოფლობით" მოხდა შეერთება.

განა შეიძლება სადავო იყოს დებულება, რომ მეფის რუსეთმა ნატყუარ-ნაძალადევად დაიპყრო საქართველო? განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს დაპყრობა არც ფორმალურად, არც არსებითად ქართველთა ნება-სურვილის გამოხატულება არ იყოს? ცარიზმის წყაროები და რუსეთის ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, იცავენ „შეერთების" კანონიერებას. **ხალხს პოლიტიკური დამოუკიდებლობა წაართვეს, ენა წაართვეს, სამართალი შეუცვალეს, თვითეს ხალხი ქვეყნის მმართველობას არ გააკარეს და რაღაა ეს, თუ არა დაპყრობა? უცხო ენა, უცხო სამართალი, უცხო მმართველები, უცხო მმართველობა, უცხო მოსამართლენი და ყველაფერი ეს სამხედრო ძალზე დამყარებული!..**

1801 წლიდანვე ქართველმა ხალხმა დაიწყო ბრძოლა განთავისუფლებისთვის. აჯანყება აჯანყებას მოჰყვა: 1802 წელი, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810, 1812 წლის კახეთის დიდი აჯანყება, 1819-1820 წლების გურიის, იმერეთის აჯანყებები, 1932 წლის შეთქმულება...

ქართლ-კახეთის დაპყრობა თუ ერეკლეს ოსტატური შეცდომა იყო, დასავლეთ საქართველოს „რა მოვუხერხოთ"? ხომ ყველასთვისაა ცნობილი, თუ რა სისხლისღვრა და ნგრევა დაატრიალა რუსეთმა დასავლეთ საქართველოში, სოლომონ მეორე და სხვანი რა დღეში ჩააგდეს. ასე რომ, სასაცილოა განცხადება, საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსო.

**— მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შემოვიდა განათლება, დასავლური კულტურა, აღდგა წირვა-ლოცვა...**

— მეფის რუსეთმა 1801 წლიდანვე ხელი მიჰყო ქართველი ხალხის გადაგვარებას. ის ხელმძღვანელობდა XVIII საუკუნეში შემუშავებული პანინის თეორიით: **„სხეული ადგილობრივი, სული რუსული"**. იმისათვის, რომ ქართველები გადაეგვარებინათ, საჭირო იყო, პირველ რიგში, ერისათვის „თავის მოკვეთა" და „გამოშიგნვა". ერთის მხრივ, ჩვენი თავად-აზნაურობა, მეორის მხრივ, ქართული ქრისტიანული ეკლესია მიუძღოდნენ ერს უცხო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეცნიერებისკენ, კულტურისკენ. **ამიტომ სხვადასხვა საშუალებით დაიწყო რუსულმა ხელისუფლებამ თავადაზნაურობის გადაგვარება. მათ დაუნიშნეს დიდი ჯამაგირები, პენსიები, გენერლის და სხვა სამხედრო ჩინები. მათ შვილებს რუსული სკოლები გაუხსნეს და ძალიან მალე ქართველი თავადაზნაურობა მართლაც გადაგვარების გზას დაადგა.**

1801 წელს მთავრობამ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა გააუქმა და ქართველი კათოლიკოსის ნაცვლად დაიწყო რუსეთიდან ძირითადად ყოვლად ზნედაცემული და გარყვნილი სასულიერო პირების ჩამოყვანა და მათი დანიშვნა ქართული ეკლესიის მეთაურებად — ეგზარქოსებად. ულირსი მეთაური ცდილობდა თავის მხრივ მისი მსგავსი საეკლესიო მსახურების მომრავლებას. ქართული ეკლესია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართველ კაცს მოყვასის, თავისი მიწის, სამშობლოს სიყვარულით ზრდიდა, რომელიც ქადაგებდა პატიოსნებას, მაღალ ზნეობას, ძალიან მალე თვითონ გახდა მოძღვრების, უზნეობის, გარყვნილების, მძარცველების კერა (ზოგიერთი ქართველი საეკლესიო პირი, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მაინც დარჩა ბოლომდე ღირსეული, მაგრამ ასეთები ერთეულები იყვნენ). ამის საფუძველზე გააკეთა აკად. ივანე ჯავახიშვილმა ასეთი დასკვნა: „Ни персяне огнепоклонники и мусульмане, ни арабы, ни монголы язичники, ни турки не делали того, что сделало русское правительство и его екзарх с хрестянскй провославной церковью Грузии".

**რუსეთის მთავრობამ მიაღწია მიზანს — ქართულ მოსახლეობაში სახელი გაუტეხა ქართულ ეკლესიას, ამით მან ქართველ ერს მეორე თავიც მოჰკვეთა.**

ქართველი ერი უფსკრულისაკენ მიექანებოდა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ მძიმე მომენტში, გამოჩნდნენ ქართველი ერის ღირსეული შვილები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომლებმაც შეაჩერეს ქართველი ერის დაღუპვის პროცესი.

**— ეკონომიკურად ხომ მაინც წაადგა რუსული მმართველობის დამკვიდრება ქართველ გლეხს?**

— როგორც უკვე, ვთქვი, მეფის რუსეთის მთავრობა ყოველგვარ საშუალებას იყენებდა ქართველთა გადაგვარეეკონომიკურ ღონისძიებებსაც. ამის საილუსტრაციოდ მოვიტან ასეთ მაგალითს. XIX საუკუნეში და მეოცის დასაწყისში ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი ქართული ოჯახი ფლობდა საშუალოდ 2,89 დესეტინა მიწას კომლზე, ხოლო სომხები (1828-32 წლებში რუსულმა ადმინისტრაციამ აქედან თურქეთში გაასახლა ქართველი მაჰმადიანები და მათ ადგილას თურქეთიდან დიდი რაოდენობით სომხები ჩამოასახლაძ, რომლებსაც არაფერი გადაუხდიათ, საშუალოდ ფლობდნენ (სხვადასხვა სოფლის მიხედვითძ, 40, 50 და 100 დესეტინა მიწას ოჯახზე. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ქვემო ქართლშიც. XIX საუკუნეში აქ ჩამოსახლებულ რუსულ მოსახლეობას საშუალოდ ჰქონდა 26,51 დესეტინა შესანიშნავი მიწის ფართობი ოჯახზე, ჩამოსახლებულ ბერძნებს — 24-დან 69,69 დესეტინა ოჯახზე, აზერბაიჯანელებს — 24,53-დან 47,62 დესეტინა ოჯახზე, გერმანელ კოლონისტებს — 16,82 დესეტინა ყოველ მამაკაცზე, ქართველებს კი — 2,89-დან 5,21 დესეტინა კომლზე.

ამასთან, 1873-1901 წლებში ყოველი დესეტინა მიწისთვის ბერძენი იხდიდა 16-დან 35 კაპიკამდე, სომეხი — 18-დან 28 კაპიკამდე, გერმანელი — საშუალოდ 22 კაპიკს, ქართველი კი იხდიდა 50 კაპიკიდან 1 მანეთსა და 30 კაპიკამდე. ამის შემდეგ მასობრივად აიყარა ქართველი მოსახლეობა ამ მხრიდან.

**— ფეხმოდებულია აზრი, რომ რუსეთმა ქართველები ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა...**

— რუსეთის მთავრობის პროპაგანდა 1801 წლიდანვე ყოველნაირად ნერგავდა აზრს ქართველ ხალხში, რომ რუსეთმა გადაარჩინა ქართველები ფიზიკურ განადგურებას. სხვათა შორის, იმდენად ინტენსიური იყო ამ მიმართულებით მუშაობა, რომ ბევრი ქართველი მართლაც დააჯერეს. ისინი ეუბნებოდნენ ქართველებს: „მე გადაგარჩინე", ქართველებიც კვერს უკრავდნენ: „შენ გადამარჩინე", ეს — „გადაგარჩინე-გადამარჩინე" დღემდე გრძელდება.

თუმცა ისიც მართალია, რომ მტრების შემოსევები, გამანადგურებელი ომები ალიკვეთა და ქართველობა მომრავლდა. მაგრამ სხვა უბედურება გველოდა.

1873 წელს თბილისში გარდაიცვალა გენერალი მამუკა ორბელიანი. ამასთან დაკავშირებით თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა ჟილიახოვსკიმ წაიკითხა ლექცია, რომელშიც ასეთი რამ თქვა: **გენერალი მამუკა ორბელიანი იყო კარგი ქართველი და ამასთანავე რუსეთის მთავრობის ერთგული გენერალი. რუსეთს საქართველოზე დიდი ამაგი აქვს, დიდი შრომა და სისხლი აქვს ჩაქცეული. ქართველები უნდა ეცადონ, რომ რუსეთის მთავრობის წინაშე ეს ვალი გამოისყიდონ. ეს მოხდება მაშინ, როცა ქართველებში მამუკასთანა ერთგული კაცები მრავლად გამოვლენ. ქართველები ამის ცდას უნდა მიეცნენ უსათუოდ, რადგანაც მათთვის ამის მეტი სხვა აღარც არის რაიმე დარჩენილი. სულ ერთია, მათ მომავალი მაინც არ აქვთ, როგორც პატარა ხალხს. ამიტომ მათთვის ყველაზე უკეთესი იქნება, რომ ისინი გარუსებას გაჰყვნენ და ამით გადაიხადონ თავისი ვალი და საქართველო რუსეთად იქცეს. ეს გინდ ქართველებმა არ ინდომონ, მაინც მათ დაუკითხავად მოხდება, რადგანაც ქართველებს მომავალი არ აქვთ. მათ განვლეს ყველა ხანა და ახლა მარტო მოსპობის გზაზედ სდგანან.**

მან მოიყვანა კიდეც ასეთი მაგალითი, რითაც დაიცვა ცნობილი რენეგატი ქართველი მაღალჩინოსანი მოხელის ბაგრატიონ-მუხრანსკის ყბადაღებული „თეორია": **„კაცი იბადება, იზრდება, ბერდება და მერე კვდება. ყველა ეს ხანა ქართველებმა გაიარეს. ახლა ქართველები სამარეში წვანან და მათ ერთადერთი — მიწის მიყრის მეტი სხვა აღარა უნდა რა".**

ასეთი გახლავთ სიმართლე „ნება-ყოფლობითი შეერთებისა" და „გადარჩენის" შესახებ.





ესაუბრა
**სანდრო ალექსიძე**

◉ თვალსაზრისი

*რუსეთს საქართველოს მოქალაქეებთან ერთად ქართულგვარიანი რუსეთის მოქალაქეებიც ტოვებენ. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს რუსეთში ქართველების ეთნიკურ დევნას, როგორ დასრულდება საქართველო-რუსეთის ჭიდილი? მოსალოდნელია თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების პროვოცირება და ვინაა ამაში დაინტერესებული? ამ და სხვა საკითხებზე ინტერპრესნიუსს საერთაშორისო ფონდ „ტოლერანტობის“ აღმასრულებელი დირექტორი, პოლიტოლოგი ვახტანგ ჭკუასელი ესაუბრა.*

# ვახტანგ ჭკუასელი: საქართველოს დაშლა ამერიკის სტრატეგიული მოქმედების გეგმითაა გათვალისწინებული?..

— რუსეთის ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა თავისი ასეთი საქციელით. თუ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომლის ხელისუფლებაც უსმენს იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც დუმაში სხედან და რომელთაც ჰგონიათ, რომ ქართველების რუსეთიდან გაყრით ისინი მათში მომხრეებს იპოვიან სააკაშვილის წინააღმდეგ, და ხელისუფლება მათ ჭკუაზე დადის, საქართველოს ურჩევნია ასეთ რუსეთთან საერთოდ გაწყვიტოს ყველანაირი ურთიერთობა. რუსეთმა დღეს ქართველების წინააღმდეგ გამოიყენა ის მეთოდები, რომელიც მას ასწავლა სტალინმა, ეჟოვმა და იაგოდამ. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაგმო „როდინას“ ფაშისტური განწყობა, მან თავად დაიწყო ფაშიზმის გამოვლინება ქართველების მიმართ. ასეთი მოქცევა რუსეთს სიკეთეს არ დააყრის. ქართველების ეთნიკური წმენდები რუსეთს ბუმერანგად შეიძლება მიუბრუნდეს.

**— მაინც რა კონკრეტული მიზეზები შეიძლებოდა ჰქონოდა კრემლის ამ სადამსჯელო აქციას? თითქოსდა პუტინი არასოდეს გამოხატავდა აგრესიას თბილისისადმი და პირიქითაც კი გვეჩვენებოდა.**

— ყველაფერი ეს დაიწყო იმიტომ, რომ რუსეთმა ვერ შეიცნო, რომ საქართველო დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა, და მიუხედავად მრავალი შიდაწინააღმდეგობისა, საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რუსეთს დაუმტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა. დღეს რუსეთი, როგორც ყოველთვის, საქართველოს მიმართ იყენებს ორმაგი და სამმაგი სტანდარტების სქემას — ყველაფერი ეს კი გამოწვეულია თვითონ რუსეთში არსებული არეულობით, როგორც შიგნით ხელისუფლებაში, ასევე რუსეთის გაურკვეველი სტრატეგიით საერთაშორისო ასპარეზზე. თავად ის ფაქტი, რომ რუსეთმა ვერაფერი უპასუხა საერთაშორისო რეაქციას მის პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებაში, იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი მოქმედებს დღევანდელი დღის პოლიტიკით და არა სტრატეგიული აზროვნებით.

**— რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება გაალიზიანა საქართველოში რუსი ოფიცრების დაკავებამ — პრაქტიკულად იმ დღიდან დაიწყო რუსეთში ქართველების ასე აშკარა ეთნიკური დევნა. ხომ არ უკავშირებთ ამ ფაქტებს ერთმანეთს?**

— რუსი ოფიცრების დაკავების მიზეზად გამოცხადდა მათი სადაზვერვო მოღვაწეობა, რაზეც, ალბათ, არსებობს სათანადო დასაბუთება. არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდა იმიტომ, რომ საქართველოს დაეძაბა რუსეთთან დამოკიდებულება, რითაც მან პროვოცირება გაუკეთა რუსეთის რეაქციას, რათა



რეალურად დაენახებინა საერთაშორისო საზოგადოებისთვის დღევანდელი რუსეთის სახე. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა ერთი მომენტი — რაც დღეს ხდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, ხდება აშშ-ს მითითებით, სამწუხაროდ, როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან დაკავშირებით. ამერიკელებმა კარგად შეისწავლეს სტალინის პოლიტიკა და ისინი დღეს მას ნერგავენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ოღონდ მხოლოდ თავისათვის. საქართველო მათთვის მნიშვნელოვანი რეგიონია რუსეთთან საომრად, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ისევ ქართველი ხალხის ხარჯზე მოხდება და ხდება კიდეც.

**— ბევრი ექსპერტი რუსეთ-საქართველოს შორის ცხელ ომსაც არ გამორიცხავს. აქ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ფაქტორი უნდა მოვიაზროთ, არა? რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ასეთი სცენარი?**

— ამერიკა დიდი ხანია იყენებს საქართველოს, როგორც იარაღს რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც გახსოვთ, ყოველი ახალი კონფლიქტის შემდეგ საქართველო-რუსეთს შორის ამერიკა მუდამ დათმობაზე მიდიოდა რუსეთთან და საქართველო საკუთარ პრობლემებთან მარტო რჩებოდა. დღესდღეობით, საქართველოს პრეზიდენტის მოქმედების ძირითადი მიზანია სიტუაციის პროვოცირება იმ კონდიციამდე, რომ თუნდაც სამხედრო კონფლიქტის საშუალებით რუსეთთან მიაღწიოს რუსი სამშვიდობოების გაყვანას, ან ჩანაცვლებას საერთაშორისო ძალებით. რუსეთი თავის მხრივ ამერიკასთან ურთიერთობაში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს იტოვებს ბანალური ვაჭრობის საგნად და ადრე თუ გვიან, ისინი მიაღწევენ საჭირო მოლაპარაკებებს. ცუდი იქნება, თუ საქართველოშიც ის სიტუაცია გათამაშდება, რაც გათამაშდა ისრაელსა და ლიბანს შორის. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ისევ ხალხის თავზე გადაივლის. სამაგიეროდ საქართველო მიაღწევს ნატოში შესვლას უაფხაზეთოდ და უსამაჩაბლოდ. ამაზე ლაპარაკობს ყველაფერი და რუსეთ-ამერიკას შორის დღეს მიმდინარე მოლაპარაკებები იმით დასრულდება, რომ, ბანალურად რომ ვთქვათ, რუსეთი და ამერიკა საქართველოს გაიყოფენ. საქართველოს დაშლის საკითხი დიდი ხანია საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს და იგი გათვალისწინებულია ამერიკის სტრატეგიული მოქმედების გეგმაში როგორც ტაქტიკური ნაბიჯი რუსეთთან ნელ-თბილი ომის პროცესში.

**— ამ დღეებში ქართველების ეთნიკური წმენდის პარალელურად ისეთი თვალსაზრისიც გამოითქვა რუსულ პრესაში, რომ რუსეთი სააკაშვილს რეიტინგის ამაღლებაში დაეხმარა ოფიცრების სკანდალის ჩათვლით, ქართველების დეპორტაციით...**

— რუსეთმა საკუთარი მოქცევით ხელი შეუწყო სააკაშვილის ავტორიტეტის ზრდას. ეს უტყუარი ფაქტია. ამიტომ ვამბობ, რომ რუსეთი ორმაგ და სამმაგ სტანდარტებს იყენებს. ცალი ხელით ასრულებს ამერიკის მითითებებს და მეორე ხელით ტვინს უღრღნის საკუთარ ხალხს ქსენოფობიით და უქმნის ილუზიებს დიდ და ძლიერ რუსეთზე.

**— რამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ რუსეთის სამხედრო ექსპერტების დასკვნები საქართველოში რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ სამხედრო ქმედებებზე?**

— სავსებით მოსალოდნელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა გამოიყენოს ე.წ. გასაფრთხილებელი თავდაცვითი დარტყმა. რაში შეიძლება ეს გამოიხატოს? არა მგონია, რომ ატომური ბომბი გამოიყენონ, მაგრამ თუ „ჭკუადალაგებული“ ჟირინოვსკი და მისთანები გადაძალავენ, ყველაფერია მოსალოდნელი.

**— რამდენად გასაზიარებელია საქართველოში საომარი მოქმედებების განახლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით - თუ დაუჭერენ საქართველოს მხარს ასეთ შემთხვევაში დასავლეთის ორგანიზაციები?**

— დღეს ყველაზე მეტად ომი მოსალოდნელია სამაჩაბლოში — ზუსტად იმ მიზნით, რაზეც მაღლა მოგახსენეთ. რითი დამთავრდება ეს ომი, ვერ გეტყვით, მაგრამ ის, რომ სააკაშვილი ამით მოიგებს ამერიკის გულს, და შეიძლება მიაღწიოს იმასაც, რომ სამაჩაბლოში შემოვიდნენ გაეროს სამშვიდობო ძალები, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— რა კომენტარები კეთდება დღეს აშშ-ში პრეზიდენტ პუტინზე?**

— იქ კარგად ხედავენ, რომ პუტინი აბსოლუტურად დამოკიდებული პრეზიდენტია — ერთის მხრივ იმ ოჯახზე, რომელმაც აირჩია და მეორეს მხრივ დამოკიდებულია იმ სისტემაზე, რომელმაც იგი შექმნა და დააყენა სახელმწიფოს მართვის სათავეში. სამწუხაროდ, მან სხვა არაფერი არ იცის, იმის გარდა, რაც ასწავლეს კგბ-ს სკოლაში და რითიც მთელი შეგნებული ცხოვრება აზროვნებდა. და მაინც, არა მგონია, დღეს პუტინს გაუჩნდეს ისეთი ოპოზიცია და ისეთი ძალა, რომელიც რევოლუციისათვის ნიადაგს შექმნიდა. იმ პოლიტიკის მიხედვით, რასაც დღეს ატარებს სახელმწიფო ხალხის მიმართ, კარგად ჩანს, რომ ჯერ რუსეთი იმ ფაზაშია, რასაც გაძღომისა და მუცლის ამოყორვის პროცესი და მეშჩანურობის უმაღლესი გამოვლინება ჰქვია. მანამ ეს პროცესი არ დამთავრდება, ვერავინ შეძლებს რუსეთში რევოლუციის მოხდენას. ეს ყველაზე კარგად იცის იმ ხელისუფლებამ, რომელიც დღეს სათავეშია.

რუსეთი აკეთებს იმას, რაც ყველაზე უფრო აინტერესებს ამერიკას საქართველოსთან გამართულ ჭიდილში. ასეთ არეულ ფონზე დუმამ მიიღო ზუსტად ის გადაწყვეტილება, რომელსაც ელოდება ამერიკის ხელისუფლება — თბილისის გარნიზონისა და სამხედრო ბაზების გატანაზე. რასაკვირველია, ეს კარგი გადაწყვეტილებაა საქართველოსათვის, მაგრამ არა მგონია, რომ რუსეთის დუმა საქართველოს ინტერესებისთვის ზრუნავდეს.

**რუსუდან ნიკურაძე,**
**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## დაწესდა იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მრავალწლიანი ისტორიის აღსანიშნავად და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პროფესიული სტიმულირების მიზნით, 11 ოქტომბერი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღედ დაწესდა. იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე უკავშირდება 1918 წლის 11 ოქტომბერს მიღებულ კანონს, რომლითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა კანონმდებლობის კოდიფიკაციასა და კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის ოფიციალურ გამოცემაზე პასუხისმგებელი კოდიფიკაციის განყოფილება. იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე — 11 ოქტომბერი, ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება.**

## მინისტრი სტრასბურგში იჩივლებს

**იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, პრეზიდენტის დავალებით, ტრანსპორტის დარგში რუსეთის მხრიდან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხას ადგენს.**



**ქავთარაძის განმარტებით, იუსტიციის სამინისტრომ ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს, რათა ქართველი ერის და საქართველოს მოქალაქეების უფლებები არ შეილახოს.**

**„ჩვენ შესაძლოა სარჩელი საარბიტრაჟო სასამართლოში და სტრასბურგის სასამართლოშიც შევიტანოთ. ჯერჯერობით ყველაფერი დგინდება. საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რა გზას დაადგება იუსტიციის სამინისტრო, წინასწარ არ ვიცით, თუმცა ცხადია, ჩვენ ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოვიყენებთ“, — აცხადებს გია ქავთარაძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◉ ეს მართლაც პარადოქსია

# რუსეთში ბენზინი ძვირდება, ამერიკაში იაფდება

**ამ დღეებში გაზეთი „არგუმენტი და ფაქტის“ №39 ჩამივარდა ხელთ. ჩემი ყურადღება მიიპყრო რუბრიკამ „მე ვერ გამიგია“. მოსკოველი მოქალაქე რედაქციას დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილს წერდა: „რატომ არის, რომ ამერიკაში ბენზინი (სხვათა შორის, იმაზე ბევრად კარგი ხარისხის ბენზინი, ვიდრე ჩვენთან არისძ გაცილებით იაფად იყიდება — რუსულ ფულზე 18 მანეთად, მოსკოვში კი უკვე დაახლოებით 21 მანეთად? როგორც ვიცი, ამერიკა ნავთობს ყიდულობს, მათ შორის ჩვენგანაც“.**

გაზეთმა ავტორს საინტერესო პასუხი გასცა: როგორც ნავთობის ანალიტიკოსები განმარტავენ, ეს მართლაც პარადოქსია, რომელიც რამდენიმე მიზეზმა განაპირობა — უპირველესად ის, რომ რუსეთში ნავთობპროდუქტების ბაზარი ფაქტობრივად მონოპოლიზებულია ნავთობის მსხვილი კომპანიების მიერ. ასეა მთელ რეგიონებში. ამერიკაში კი პირიქით არის, აქ არის ძლიერი კონკურენცია, რომელსაც, სხვათა შორის, ძალიან მკაცრად აკონტროლებს ანტიმონოპოლიური სამსახური. მეორე მხრივ, დიდი სხვაობაა საგადასახადო მომსახურებაში. ამერიკაში ერთ ლიტრ ბენზინზე გადასახადი 30 პროცენტს შეადგენს, რუსეთში კი ეს მაჩვენებელი 50 პროცენტია. რუსეთში ბენზინის გაძვირების კიდევ ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ მისი ფასი ინფლაციის მიხედვით იზრდება. რუსეთში წლის დასაწყისიდან ინფლაცია 7 პროცენტამდე გაიზარდა (წლის ბოლომდე 9-9,5 პროცენტამდე გაზრდას ელიანძ, ამერიკაში კი ინფლაცია 2 პროცენტამდე მცირდება.

ეს პატარა ინფორმაცია კარგად მიგვანიშნებს, რუსეთის მთავრობა როგორ „ზრუნავს“ თავის მოქალაქეებზე — დიდი რაოდენობით თანხებს სძალავს, მაშინ, როდესაც რუსეთი მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი და მიმწოდებელია. ამ ქვეყანაში ნავთობი ღლითი დღე უნდა იაფდებოდეს და მოსახლეობას შეღავათი ჰქონდეს. იქ კი პირიქით არის. იმასაც ამბობენ, მოსკოვს გასცდებით თუ არა, ცხოვრების დონე შესამჩნევად კლებულობსო. რუსეთის ძირითადი შემოსავალი ნავთობიდან შემოსული დოლარებია, რომელიც მოსახლეობას თანმიმდევრულად უნდა ხმარდებოდეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენს ქვეყანაში ნავთობზე ფასების მატება მნიშვნელოვნად შეინიშნებოდა ზაფხულში. ამჟამად ეს ფასები შედარებით შემცირდა, მაგრამ რადგან მოსახლეობის უმეტესობა ეკონომიკურად ძლიერი ვერ არის, ერთ ლიტრ ბენზინზე 1,25 ლარის გადახდა მაინც უჭირს.

დროთა განმავლობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკით იმედია, ჩვენთან ნავთობზე ფასები უფრო შემცირდება.

**ლალი ქინქლაძე**

◎ ინფორმაცია

## მოსკოვის მილიცია სომეხი და აზერბაიჯანელი მიგრანტებითაც დაინტერესდა

**მოსკოვში ქართველების დევნის პარალელურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების მკაცრი შემოწმებები დაიწყო.**

**გასულ ღამეს ქალაქის ერთ-ერთ კაფეში მილიცია დოკუმენტების შესამოწმებლად შევიდა. თვითმხილველთა თქმით, მილიციელებმა განაცხადეს, რომ მათ მოსკოვიდან აზერბაიჯანელებისა და სომხების განდევნის ბრძანება მიიღეს.**

**ჩი-ემ-ენი**



◎ ცხელი თემა

# რუსი ჯაშუშები უნდა გაგვესამართლებინა

**— ბატონო ავთანდილ, ჯაშუშებს ბევრ ქვეყანაში იჭერენ, ხან ასამართლებენ, ხან აძევებენ, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ჩუმად, უხმაუროდ. ჩვენთან კი ისეთი აურზაური ატყდა, ლამის დაპირისპირება ომში გადაიზარდა. რა, ეს პირველია ჩვენთვის, ადრე არავინ გამოგვიმზეურებია, არავინ დაგვიჭერია? თუ შორიდან ვუთვალთვალებდით, ვერავის ვერაფერს ვუბედავდით...**

— რას ჰქვია, — ვერავის ვერაფერს ვუბედავდით. ჩემი ამ სფეროში მუშაობის გამოცდილებიდან გეტყვით, რომ ბოლო 10-20 წლის მანძილზე ჩვენს დაზვერვას უმაღლესი დონის პროფესიონალები ჰყავს. როგორც იტყვიან ხოლმე, მათ თვალს არაფერი გამოეპარება. კიდეც გამოგვიმზეურებია, კიდეც დაგვიჭერია, კიდეც გაგვიძევებია, მაგრამ ასეთი აჟიოტაჟი მართლაც არ ამტყდარა. თუმცა, ახლა სხვა დროა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია. საქართველოში ბევრი ქვეყნის სპეცსამსახური მუშაობს, მათ შორის კი ГРУ ყველაზე საზიზღარი, ყველაზე აუტანელი სამხედრო სადაზვერვო სამმართველოა. ამასაც თავი დავანებოთ, — თვით მშვიდობისმყოფელთა რიგებში 80 პროცენტი ან ამ ГРУ-ს ოფიცერია, ან აგენტია.



ეტყობა ხელისუფლებას ყელში ამოუვიდა მაგათი თავაშვებულობა და დაიჭირა 4 ოფიცერიც და მათგან გადაბირებული ათამდე ჩვენი მოქალაქეც. ისინი ნამდვილად ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ჩემი აზრით, ისინი აქ უნდა გაგვესამართლებინა, მათი ჯაშუშობისთვის ფარდა მთლიანად აგვეხადა და მერე ისე გაგვეშვა. ახლა იმიტომ გაიძახიან, რომ ეს პროვოკაცია, შანტაჟი იყოო. არაფერიც. ყველაფერი მართალი იყო და ყველაფერი სამართლიანად გაკეთდა!

**— ახლა ვამბობთ, — ერთხელ და სამუდამოდ დავისვენეთო, აქედან რუსი ჯაშუშები გავყარეთო. ერთხელ თქვენს სამსახურში მე თქვენ შორიდან მაჩვენეთ (შიგ არ ჩამახედეთქ ვეებერთელა ალბომები ჩვენში მომუშავე შინაური თუ გარეული ჯაშუშებისა. რა, ყველა წავიდა, ყველა გადაშენდა?**

— ესენი იყვნენ ყველაზე „მსხვილები“, ყველაზე „ბობოლები“. მართალია რუსეთთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ მაგათ რა მოასვენებს. ГРУ-ს გარდა აქ ФСБ-ც საქმიანობს, მაგრამ ისინი პატარ-პატარა აგენტები არიან. გარდა ამისა, აქ მუშაობს თითქმის ყველა იმ ქვეყნის სპეცსამსახური, ვისი საელჩოც კი გახსნილია საქართველოში. ამიტომ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. თვით პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენ კონტრდაზვერვას ხელი უნდა შევუწყოთო მატერიალურადაც, ტექნიკურადაც. და ეს აუცილებელია სადღეისო საქართველოსთვის.

**— აღარ გვაკმარეს სასურსათო ბლოკადა, საჰაერო სივრცის გადაკეტვა, რუსეთიდან ქართველების გამოძევება. ომით გვემუქრებიან, ჟირინოვსკები და მიტროფანოვები თათებზე იყურებიან. ერაყივით გადაგთელავთო. ამასთან, აფხაზებს და ოსებს გაჭირვებაში არ მივატოვებთო, მთელ ჩრდილო კავკასიას დაგასევთო. თქვენ ზედმიწევნით იცნობთ ამ რეგიონს. მართლა ასეთი განწყობაა იქ?**

— თუ რომელიმე სულელ რუს ჩინოვნიკს კავკასიური ომის გეგმა აქვს, სწორედ ეგ გეგმა დაღუპავს ყოფილ იმპერიას. რუსეთს უდიდესი გაჭირვება აქვს არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ დაღესტანში, ინგუშეთში, ყაბარდოში, თვით ჩრდილო ოსეთში. გაიხსენეთ ახლახან ვლადიკავკაზში სამხედრო ვერტმფრენის ჩამოგდება და 11 რუსი მაღალჩინოსანი სამხედროს დაღუპვა. ასე რომ, ნებისმიერი პროვოკაცია რუსეთს ბუმერანგივით დაუბრუნდება. ეს კავკასია გაერთიანდება, რუსეთს დაეტაკება და ერთხელ და სამუდამოდ მისგან განთავისუფლდება.

ტყუილად ყვირის სერგეი ივანოვი, — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენს მოქალაქეებს ხელი არ დააკაროთ, თორემ ამის ვიზამთ, იმას ვიზამთო. სად არიან მაგათი მოქალაქეები? ოსებს

◎ პრეზიდენტი

# სააკაშვილი: „ევროპელებო, ყურადღება მიაქციეთ მოსკოვს. სახელმწიფო რასიზმი საქართველოს წინააღმდეგ“

LA STAMPA
იტალია

**— პრეზიდენტო სააკაშვილო, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემდეგ კავკასიამ კვლავ გვიჩვენა გადაუჭრელი პრობლემებისა და პირშეუკრავი ჭრილობების არსებობა. რად იქცა ეს ქართველებისთვის?**

— საშინელ ტრაგედიად, რადგან მისი ხმა მნიშვნელოვანი და წრფელი იყო. როდესაც ასეთ ადამიანებს მხეცურად აჩუმებენ, ეს ყველა ჩვენგანს აყენებს დარტყმას.

**— რუსეთის ოთხი ოფიცრის დაპატიმრების გამო თქვენი ქვეყანა ამ დღეებში მოსკოვის მხრიდან მკაცრ სანქციებს განიცდის, თქვენ რითი ხსნით ამგვარ რეაქციას?**

— ვფიქრობ, რომ მოსკოვის უკიდურესად არაპროპორციული რეაქცია ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა უფრო ფართო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. სამწუხაროდ, ჯაშუშებთან დაკავშირებული ეს ბოლო ინციდენტი ამ სახის ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი საქმის კურსში არ ყოფილა, თორემ საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე უკვე დააკავა რუსეთის აგენტები, რომლებიც ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ — ზოგჯერ ეს ხდებოდა საბოტაჟის აქტების შემდეგ, რასაც სასიკვდილო შედეგები მოსდევდა. მხედველობაში მაქვს შარშანდელი აფეთქება ქალაქ გორში, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები, მერე კი გამოირკვა, რომ იქ რუსეთის სპეცსამსახურები იყო ჩარეული. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ გამოჩენილ სიფრთხილეს რუსეთის ხელისუფლება ასეთივე ქცევით არ შეხვედრია.

**— როგორი გავლენა იქონია მოსკოვის გადაწყვეტილებამ — შეწყვიტოს კავშირები საქართველოსთან — ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე?**

— რაც შეეხება ყოველდღიურ ცხოვრებას, ყველაზე საგრძნობ ზემოქმედებას ადგილი აქვს იმ ქართველებზე, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ. ბევრი მათგანი ოფიციალურად არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და ახლა ისინი სახელმწიფოს მიერ ინსპირირებულ ეთნიკურ დისკრიმინაციას აწყდებიან. ხდება ქართველთა ძალდატანებითი დეპორტირება, იხურება მათი ბიზნესი და ფირმები, და ცნობილი მწერლებიც კი, რომლებსაც გარდა ქართული გვარისა, საქართველოსთან საერთო არაფერი აქვთ, სახელმწიფო აპარატისა და საგადასახადო სამსახურების მხრიდან დამცირებას განიცდიან. მაგრამ მთავარ მსხვერპლად რჩებიან ქართველი ეროვნების ბავშვები, რომლებსაც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მთელ რუსეთში სკოლებიდან რიცხავენ და ოჯახებთან ერთად უცვლიან ადგილს. ამგვარი ეპიზოდები ადასტურებს, რომ ფსონი ამ თამაშში რუსეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი დაპირისპირება არ არის, ის უფრო მაღალია. მე ვიტყოდი, რომ თუ სახელმწიფოები, რომლებიც რასიზმს ასპონსორებენ, მხარდაჭერას პოულობენ, თუ მათ ითმენენ, მაშინ ლაპარაკია გამოწვევაზე, რომელიც მიმართულია ევროპული საზოგადოებისა და დემოკრატიის ფასეულობათა მთელი სისტემისადმი. ის, რაც ახლა ხდება, განგაშის ზარივით უნდა გახმიანდეს ყველა ევროპულ დედაქალაქში: მსგავს ქმედებათა პირისპირ, რომლებიც ბოლო 60 წელიწადში ასეთ მასშტაბებში არასდროს განვითარებულა, პასიური პოზიციის დაკავება შეუძლებელია.



**— რამდენად დიდია საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე?**

— თუ ლაპარაკია ბოლო დღეებზე, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ცალმხრივად გადაწყვიტა შეეჩერებინა თვითმფრინავები, მატარებლები, შეეწყვიტა საფოსტო კავშირი და საბანკო ოპერაციები საქართველოსთან, ვფიქრობ, რომ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შეგვიძლია გავძლოთ ამგვარი ემბარგოს სიტუაციაში. რა თქმა უნდა, მოკლევადიან პერსპექტივაში ემბარგო საგრძნობ დარტყმას მოგვაყენებს, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ გავუძლებთ. ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ზომები შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს საქართველოსათვის — ისინი ქვეყანას ეკონომიკის დივერსიფიცირებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას აიძულებს. ამჟამინდელი სიტუაცია მოგვაგონებს იმას, რაც ბალტიისპირეთში და, უწინარეს ყოვლისა, ესტონეთში მოხდა. სსრკ-ს დაშლის დროს მისი ეკონომიკა სოფლის მეურნეობას ეფუძნებოდა და 90 პროცენტით მოსკოვზე იყო დამოკიდებული. დღეს ესტონეთში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკაა, და რუსეთთან ის მხოლოდ 10 პროცენტით არის დაკავშირებული. და ჩვენც სწორედ ამ მოდელზე გვაქვს აღებული ორიენტაცია.

**— ქართველი ხალხი თუ გიჭერთ მხარს?**

— გასულ კვირაში ჩვენთან ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა და ჩემმა პარტიამ ხმათა უმრავლესობა მიიღო. იქ ესწრებოდნენ OBCE ევროკავშირი და ევროპის საბჭო, აგრეთვე ბევრი ევროპელი დამკვირვებელი და მათ დაადასტურეს, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდა. მე არცკი ვფიქრობ, რომ ჩვენი წარმატება რუსეთთან დაპირისპირებას უკავშირდება, იმიტომ, რომ მოსახლეობის გამოკითხვით ჯერ კიდევ ბოლოდროინდელი ამბების დაწყებამდე გვიწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. ასე რომ, მართლა ვიტყოდი, რომ ქართველი ხალხი მხარს მიჭერს.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთთან, და არა ევროპასთან ან შეერთებულ შტატებთან?**

— ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით კარგი ურთიერთობა გვქონოდა რუსეთთან და ასევე გავაგრძელებთ. რუსეთი ჩვენი მეზობელია და ჩვენი ხალხები საერთო კულტურით არიან დაკავშირებულები. ბევრი ირწმუნება, რომ ჩვენ ანტირუსული ისტერია დაგვეჩემდა, მაგრამ ეს ასე არ არის. რუსეთის მოქალაქეებს — ქართველებისგან განსხვავებით — შეუძლიათ გამარტივებული სავიზო პროცედურით ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ყოველთვის მივესალმებით რუსეთულ ინვესტიციებს. შარშან რუსეთი ჩვენი ყველაზე მსხვილი უცხოელი ინვესტორი გახდა, და ჩვენ არ შევცბუნდებით, თუ ასე იქნება შემდგომშიც. მაგრამ უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემა. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ რუსეთთან და პირადად მე მზად ვარ ნებისმიერ მომენტში ჩავიდე მოსკოვში ჩვენს მომავალ ურთიერთობებზე სასაუბროდ.

**— ემბარგო რომ არ მოიხსნას?**

— ჩვენ ვუპასუხებთ დემოკრატიული რეფორმებით, ახალი გზების აგებით, სკოლებისა და საავადმყოფოების უკეთესი მუშაობით, კორუფციასთან ბრძოლით, ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ თანდათანობით მოძრაობით.

**— თქვენ ნახეთ, რაც უკრაინაში მოხდა, სადაც ნარინჯისფერი რევოლუცია მალევე დაბრუნდა რუსეთის ორბიტაზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ იგივე შეიძლება მოხდეს საქართველოშიც?**

— ანალიტიკოსები ეთანხმებიან იმას, რომ უკრაინული მოვლენები ჩვენი „ვარდების რევოლუციის“ ზეგავლენით მოხდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რევოლუციის ექსპორტს ვეწევით, ან მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოებას ხელვყოფთ. ჩვენი შედეგები დემოკრატიული მთავრობის, რეფორმების, კორუფციასთან ბრძოლისკენ მიმართული ძალისხმევა მაიძულებს ხაზი გავუსვა იმას, რომ უკან დაბრუნება არ იქნება.

**— რას ფიქრობთ ბუშის სატელეფონო ზარზე პუტინთან, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს?**

— სავსებით ნორმალურია ის, რომ სახელმწიფოთა მეთაურები მნიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებით ტელეფონით ურეკავენ ერთმანეთს, და მე არ მინდა მხარი დავუჭირო იმ საყოველთაოდ მიღებულ აზრს, თითქოს ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს ეცილებიან საქართველოს კონტროლს. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომლისთვისაც ძვირფასია ადამიანის უფლებები, შეშფოთებული უნდა იყოს იმით, რასაც რუსეთი უკეთებს ქართველებს და მათ ქონებას რუსეთში. და ჩვენ კმაყოფილებით ვიღებთ ბუშის მხარდაჭერას და თანაგრძნობას.

**— თუ უკავშირდებით უცხო ქვეყნების მთავრობებს, რომლებსაც ახლა შეუძლიათ რუსეთთან უთანხმოებების დაძლევაში დაგეხმარონ?**

— ვფიქრობ, რომ პირველ რიგში, ევროპას შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს იმ უფლებების დაცვაში, რომლებიც დღეს გათელილი აღმოჩნდა. ბოლო სამოცი წელი ჩვენ თვალს ვადევნებდით ევროპის აყვავებას, მათ შორის, შემწყნარებლობასა და იმაზე დამყარებულ ფასეულობათა საერთო სისტემის წყალობით, რომ ექსტრემიზმი სტაბილურობის მუქარას უტოლდება. ის მოდელი, რომლის შექმნაც საქართველოში გვინდა, დიდად არ განსხვავდება იმისგან, რაც გააკეთეს ევროპის სხვა პატარა სახელმწიფოებმა — ბელგიამ, ჰოლანდიამ, ჩეხეთმა, ლატვიამ. ლაპარაკია იმაზე, რომ ვცხოვრობთ თავისუფალ საზოგადოებაში, სადაც კანონის როლი ნათელი და გამჭვირვალეა, მთავრობები კი საკუთარ მოქალაქეებს ენდობიან. როდესაც ამ ფასეულობებს რაღაც ემუქრება, არ შეიძლება აქტიური მოქმედებები ევროპის მხრიდან დადებითად არ შეფასდეს.

**— ახლა რას გრძნობთ? გეშინიათ?**

— ერთი მხრივ, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ მნიშვნელოვანი გამოცდა ჩავაბარეთ — არჩევნები, არჩევნები, რომლებმაც სწორად და გამჭვირვალედ ჩაიარა, და ამან ძალიან გამახარა. მაგრამ ამაო იქნება იმის მტკიცება, რომ მე არ მაწუხებს მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობების განვითარება და სახელმწიფო დონეზე ეთნიკური დისკრიმინაციის ზრდა, რომელიც დარტყმას აყენებს ქართველი მოქალაქეების მოქალაქეობრივ და ადამიანურ უფლებებს. მსგავს ამბებს დიდი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, რათა ისინი კონტროლიდან არ გამოვიდეს. რასიზმი, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა და რასობრივი სიძულვილი იმის საპირისპიროა, რაც ევროპას სურს, და ისინი ყველა ჩვენგანს აყენებს დარტყმას, და არა მარტო საქართველოს.

**ფრანჩესკა სფორცა.**
**10 ოქტომბერი, 2006 წ.**

ცხელი თემა

# და მერე ისე გაგვეშვა

## აცხადებს საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, გენერალი ავთანდილ იოსელიანი

რუსული პასპორტები რომ დაურიგეს? ქართველებს ცხოვრების საშუალება რომ მოუსპეს? ამას მსოფლიო ხედავს, ესმის. ჩვენ ყველას უნდა გავაგებინოთ მაგათი ბოროტება, არაკაცობა. ისე, შუაგულ რუსეთში შემორჩნენ ჩვენთვის კეთილსაიმედო ძალები. ამ დღეებში ისინი გამოჩნდნენ რუსეთის დუმაშიც, მოსკოვის ქუჩებშიც. „ველიკი რუსსკი ნაროდში“ კიდევ მოიძებნება სალი, გონიერი ადამიანები. ბევრი რუსი კიცხავს კი არა, აფურთხებს ამჟამინდელ რუსულ საგარეო პოლიტიკას. ვერ შეეგუენ სსრ კავშირის დაშლას, მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ევროსკენ თუ ნატოსკენ გახედვას. ისევ უნდათ ერთ მუჭში მოქცევა, რუსული დიქტატის დამკვიდრება. საამისოდ ყველაფერზე მიდიან.

**— ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თქვენ არ გამორიცხეთ ტერორისტული აქტი საქართველოს პრეზიდენტზე. რა გაძლევთ ამისვარაუდის უფლებას? დაძაბულობა კი არის, მაგრამ ისეთი, რომ ტერაქტები დაიწყოს პირველ პირებზე?**

— გაიხსენეთ, — სად მოკლეს ჩეჩნეთის ლიდერი იანდარბიევი სწორედ რუსმა ჯაშუშებმა. კატარში. ჩვენთან რადას შეუშინდებიან? მე ვაანალიზებ რუსი პოლიტიკოსების, სამხედროების, სპეცსამსახურების გამოსვლებს, მაგათ საიტებზე განთავსებულ ინფორმაციებს. ეგენი უშუალოდ ებრძვიან მიხეილ სააკაშვილს. მაგას ვერ იტანენ. მიტროფანოვმა პირდაპირ თქვა, პუტინს სააკაშვილი ეზიზღებაო. ლავროვმა უმაღლეს ხელისუფალთ უკბინა, — საქართველოს სათავეში არაკონსტიტუციური გზით მოსული რეჟიმი უდგასო. ჯაშუშთა ინციდენტის შემდეგ ზატულინმა დუმაში დასვა საკითხი სააკაშვილის, ოქრუაშვილისა და მერაბიშვილის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადების შესახებ. უნდა გაძლიერდეს ჩვენი პრეზიდენტის არა მარტო ფიზიკური, არამედ ოპერატიული დაცვაც. რასაც ვამბობ, ამას კონტრდაზვერვის მუშაკები თავად გაიგებენ. ამის გაშიფვრა აქ საჭირო არ არის.



**— ალბათ, ჩვენც ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ. არ ღირს მაგ დათვის ზედმეტად გაღიზიანება, რაღაც-რაღაცების გაგზავნა ან სიტყვიერი აბუჩად აგდება. ეს ჩვენი ღირსების საქმეცაა.**

— რა თქმა უნდა, სიფრთხილე გვმართებს. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, დრო აქვს. ჩვენივე გაკეთებული საქმით ჩვენვე არ უნდა დავზარალდეთ. ჩემი აზრით, დღევანდელმა სიტუაციამ რამდენიმე წლით უკან გადასწია ჩვენი ტერიტორიული გაერთიანება. ხედავთ, ჯინაზე დგანან, ფეხს არ იცვლიან აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან. ჩვენ მთელს მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, თავშეკავება, მოთმენა. ღირსება, თავმოყვარეობა არ უნდა დავკარგოთ, თორემ მოთმენას ცუდად არავინ წამოგვაძახებს.

**— როდემდე ეს მოთმენა? დრო გარბის. პუტინი აქ არ ჩამოდის. სააკაშვილს იქ არ იწვევენ. ჩვენ სხვას ვლაპარაკობთ, ისინი სხვას...**

— მესმის, ძნელია მათთან ურთიერთობა, ძნელზე ძნელი. საზოგადოების უდიდეს ნაწილს ჩვენი თავი შეაჯავრეს, №1 მტრად გამოგვაცხადეს, მაგრამ ბოროტებას ბოროტებით არ უნდა ვუპასუხოთ. ყველას უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ ხალხი ვართ, ერი ვართ, დამოუკიდებლობა გვინდა, თავისუფლება გვინდა და ამიტომ ვიბრძვით, მეტი არაფრისთვის. ამ საქმეში უნდა ჩავრთოთ მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, სპორტი, სახალხო დიპლომატია... მაშინ ყველა მიხვდება, რომ დამნაშავენი არიან რუსები და არა ქართველები.

**— ისე, ბატონო ავთანდილ, ამ ჯაშუშების გამო სხვა რომელიმე ქვეყანა ასე თუ გადარეულა...**

— მე ნაღდად არ მსმენია. რა ქნა ეს, — საელჩო გაიყვანა, მთელი ოჯახები გადააფრინა. გაგიჟდნენ და ეგ არის. დაასახელონ თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც ქართველებმა აქ რუსები დაჩაგრეს. ვერ დაასახელებენ. რა ამბები იყო 1989 წლის 9 აპრილს. რა ახალგაზრდები დაგვიხოცეს. მაშინ არ დაგვიჩაგრია, მაშინ არ გადაგვივლია, მაშინ არ გაუყვანიათ აქედან თავიანთი მოქალაქეები. ახლა, ერთ დღეში გადავტრიალდით? სისულელეა!

ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ჯაშუშები კი არა, დოყლაპიები ყოფილან, ბედოვლათები. რუსეთის დაზვერვას ასეთი მაგარი ჩავარდნა არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია. ჩემი აზრით, ასეთი „პრავალისთვის“, ასეთი „პრაკოლისთვის“ სერგეი ივანოვი უნდა გადამდგარიყო, ხოლო გაშიფრული ჯაშუშები ციხეში გამწესებულიყო. ეს ვერ გააკეთეს, საქვეყნოდ ჩაფლავება ვერ აღიარეს და ყველაფერი ჩვენ გადმოგვაბრალეს. არადა, ვიმეორებ, — ჩვენმა ქვეყანამ დაიცვა თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის ინტერესები. ამისთვის კი არვის სჯიან, პირიქით, მადლობას ეუბნებიან. ხომ ხედავთ, რუსეთი გაეროამდე მივიდა, მაგრამ ჩვენი გაკიცხვა ვერ მოახერხა. ევროშიც სცადა, მაგრამ იქიდანაც უარით წამოვიდა.

ერთი სიტყვით, ამჯერად ჩვენ რუსეთს ვაჯობეთ, ნიღაბი ჩამოვაფხრიწეთ და ამას ვერ ინელებს. არა უშავს, გაუვლის!

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი**

თვალსაზრისი

*ქართული საგანმანათლებლო სივრცის ევროსივრცეში შეყვანა, ქართული საუნივერსიტეტო განათლების ევროსტანდარტების დონეზე აყვანა — ამ ფრაზებით გამოხატავდნენ საქართველოს განათლების რეფორმატორები საგანმანათლებლო რეფორმების მიზანს. მიუხედავად განათლების სფეროს გარკვეული კონსერვატორულობისა, რეფორმების ჩატარების აუცილებლობა არავისთვის ყოფილა სადავო და თბილისის უნივერსიტეტში რეფორმები გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდანაც კი დაიწყო. 2004 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის განხილვაში. კანონპროექტის დახვეწის მიზნით მრავალი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება გამოითქვა. საქართველოს პარლამენტმა კანონი ამ შენიშვნების გაუთვალისწინებლად მიიღო.*

*პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ პროფესორ-მასწავლებელთა შორის, რომელნიც აქტიურად იბრძოდნენ ჯერ კანონპროექტის დახვეწისა, ხოლო შემდეგ რეფორმების კანონის მიხედვით გატარებისათვის. ამის დასტური თუნდაც ის პუბლიკაციებია, რომელთა გამოქვეყნებაც მე პირადად 2004 წლიდან დავიწყე ქართულ პრესაში და რომელთა თანაავტორი-ინტერვიუერი იგი ხშირად გახლდათ.*

*დღეს რეფორმების პირველი ეტაპი დამთავრებულია. ამ ეტაპის შედეგებისა და უნივერსიტეტის დღევანდელი მდგომარეობის თემაზე, ძირითადად ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგალითზე, ე.წ. „მეამბოხე პროფესორთა“ ჯგუფის აქტიურ წევრს, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს ვესაუბრე.*

# ჩვენ ვამბობთ, რომ ეს რეფორმა დაღუპავს უნივერსიტეტს

**— ბატონო გიორგი, რა ეტაპზეა დღეს უმაღლესი განათლების რეფორმა?**

— ფაქტობრივად, გასრულდა ერთი უმთავრესი ეტაპი საუნივერსიტეტო რეფორმისა. განხორციელდა უნივერსიტეტის სრული რეორგანიზაცია. გაერთიანდა მრავალი და შეიქმნა ახალი ფაკულტეტები. დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი. თუ წინათ უნივერსიტეტს 3000-მდე ძირითადი და 1500-მდე შეთავსებითი საშტატო ერთეული ჰქონდა, დღეისათვის ეს რაოდენობა 5-6-ჯერ შემცირდა და 700-ს გაუტოლდა. ამრიგად, განხორციელდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა ფართომასშტაბიანი შეკვეცა. თითქმის ყველა ფაკულტეტზე ძირითადად უნივერსიტეტის ძველი თანამშრომლები დარჩნენ შეკვეცილი რაოდენობით და მათ მხოლოდ თითო-ოროლა კაცი დაემატა აკადემიური სისტემიდან. მუხედავად ასეთი ვითარებისა, რექტორი ბატონი გიორგი ხუბუა თანამშრომელთა შეკვეცას შემადგენლობის განახლებას უწოდებს, მაგრამ სახელის შეცვლით ვითარება, ცხადია, არ იცვლება.

**— რა ნიშნის მიხედვით მოხდა უნივერსიტეტში თანამშრომელთა დატოვება კონკურსების დროს?**

— ამ შემთხვევაში მოქმედებდა ორი პრინციპი: გუნდურობის, ნაცნობ-მეგობრობისა და ახლობლობის პრინციპი. ასე რომ, უნივერსიტეტში დარჩნენ იდეოლოგიურად რეფორმატორების მომხრე თანამშრომლები.

**— თუ შეგიძლიათ დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა?**

— ცხადია, შემიძლია. საქართველოს ისტორიის კათედრა უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძირითადი კათედრა იყო. კულტურის ისტორიის კათედრა კი გვიან შეიქმნა. დღეისათვის ამ კათედრას ოთხი სრული პროფესორის შტატი აქვს, საქართველოს ისტორიის კათედრას კი მხოლოდ ერთი (სრული პროფესორი გარკვეული ჯგუფის, პროფესურის, იგივე მინი-კათედრის ხელმძღვანელს ნიშნავს). ამრიგად კულტურის ისტორიის კათედრას მიეცა უპირატესობა, რადგანაც აქ მუშაობენ ფაკულტეტის დეკანი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც რეფორმების ასეთი სახით ჩატარებას უჭერდნენ მხარს.

რაც შეეხება ძველი ქართული ენის კათედრას (რომლის გამგეც მე ვიყავი), ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ფოლკლორის კათედრებს არც ერთი სრული პროფესორი არ ჰყავთ. ქრისტიანული კულტურის კათედრა კი საერთოდ იგნორირებულია და გაქრა.

გუნდურობის თუ სხვა გაუგებარ პრინციპზე დაყრდნობით, უთანამშრომლებოდ დარჩნენ კავკასიის ხალხთა ისტორიის, ქრისტიანული კულტურის, რუსეთის ისტორიის, აზია-აფრიკის ისტორიის და დემოგრაფიის მიმართულებები.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე არსებობდა ესპანური ენის განყოფილება. დღეს აქ ერთი თანამშრომელი დარჩა და ის იძულებული იქნება წაიკითხოს ლექციათა ის კურსები, რომელსაც წინათ არ კითხულობდა, ან შეიძლება მოიწვიონ გარედან. მაგრამ მოწვევაზე სპეციალისტები ძირითადად უარს ამბობენ.

**— რა არის ამის მიზეზი?**

— მოწვევა არ აკმაყოფილებს სპეციალისტს არც მორალურად, არც ფინანსურად. ახლახან მოწვევაზე უარი თქვეს ისეთმა ცნობილმა პიროვნებებმა, როგორიც არიან თამარ ჩხეიძე, თამარ ჯაფარიძე, ციცო ზოცვაძე და სხვა. ისინი ანგლისტიკის კათედრის სპეციალისტები არიან (სულ ექვსმა სპეციალისტმა თქვა უარი მოწვევაზე) და მათ უმუშევრად არავინ დატოვებს, უნივერსიტეტმა კი ისინი არ შეინარჩუნა.

**— როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი?**

— 7 ოქტომბრისათვის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ლექციები არ დაწყებულა, თუმცა სწავლა 2-ში დაიწყო. ცხრილები 3 ოქტომბერსაც კი არ იყო გამოკრული.

**— რითი ხსნით ასეთ არაორგანიზებულობას?**

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია არაპროფესიონალებით. დეკანატებში გოგო-ბიჭები (ამ სიტყვების არ მრცხვენია) არიან თავმოყრილი. მათ წარმოდგენა არ აქვთ სასწავლო პროცესზე, არ აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. საქმე ისეთ კურიოზამდეც მივიდა, რომ ცხრილების შესადგენად თბილისის უნივერსიტეტმა სპეციალურად დაიქირავა ადამიანები, გაჩნდა ცხრილის შემდგენლის თანამდებობა. წინათ დეკანის მოადგილე უმტკივნეულოდ ადგენდა ცხრილს სასწავლო პროცესის დაწყებამდე ორი თვით ადრე. გამოცდილება და ცოდნა ხომ მხოლოდ ხელფასით არ მოიპოვება.



**— დაზუსტებულია თუ არა პირველკურსელებისათვის რომელ მიმართულებაზე რა კურსი წაიკითხება? ამის თაობაზე მრავალი საყვედური მსმენია...**

— სად რა ისწავლება, ძნელად გასარკვევია. საბჭოთა პერიოდშიც კი ქართული ენა და საქართველოს ისტორია უნივერსიტეტში სავალდებულო საგნებად ითვლებოდა ყველა ფაკულტეტზე. წინა ადმინისტრაციის დროს (ლევან გორდეზიანი განაგებდა ამ საქმე) ქართული ენა, როგორც სავალდებულო, გაქრა და დარჩა მხოლოდ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. დღეისთვის კი არც აქ არის სავალდებულო. წარმოიდგინეთ, დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ენების მომავალი სპეციალისტი როგორ შეისწავლის ამ ენების სტრუქტურას, თუ თავისი მშობლიური ენის სტრუქტურა არ იცის. მომავალი ფილოლოგისათვის ქართული ენა რომ არჩევითი დისციპლინაა, ეს კურიოზია, დანაშაულია. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ლიტერატურაშიც.

**— სტუდენტთა ნაკადი სრულად თუ შეივსო ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე?**

— ეროვნული გამოცდების შემდეგ ჰუმანიტარულზე 700-მდე სტუდენტი ჩაირიცხა. წინა კვირის დასაწყისში მხოლოდ 200 იყო რეგისტრირებული. რეგისტრაციის ვადა 15 ოქტომბრამდეა გადადებული. ამის მიზეზი, უდავოდ, სწავლის ქირის გადახდის უუნარობაა. ლტოლვა უფრო მეტად ეკონომიკისა და იურიდიულისაკენ არის. ზოგიერთებისათვის ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები მიუღებელი გახდა. ალბათ ფიქრობენ, სწავლის ქირა რომც გადაიხადონ (500 დოლარიძ, შემდეგში ვერ ამოიღებენ დასაქმების გართულების გამო.

**— საუნივერსიტეტო მეცნიერებაზე რას იტყვით?**

— საუნივერსიტეტო მეცნიერებას, ფაქტობრივად, ბოლო მოეღო. კონკურსების დროს მთელი დარგები მოისროლეს. როდესაც დარგში ერთი სპეციალისტი რჩება ან არც ერთი, რომელ მეცნიერებაზეა ლაპარაკი. ლაპარაკია მეცნიერთა მოწვევაზე, მაგრამ ეს ეფექტიანი ვერ იქნება. მოწვეული კადრი ლექციას წაიკითხავს და წავა. ის მეცნიერებას ვერ განავითარებს. თანამშრომელს კი მეცნიერული კვლევა ევალებოდა, მის დატვირთვაში შედიოდა.

**— კაბინეტების მდგომარეობა როგორია?**

— სამეცნიერო სექტორის გაუქმებისას კაბინეტები ფიზიკურად დატოვეს, თუმცა თანამშრომლები ხელფასს აღარ იღებდნენ. მათი განთავისუფლების ბრძანებაც არ დაწერილა. ასეთ თანამშრომლებს შემდგომში სამეცნიერო-გრანტების კონკურსში მონაწილეობის უფლება მისცეს.

ამჟამად პირველ კორპუსში ილიას, აკაკისა და გამსახურდიას კაბინეტები გაანთავისუფლებინეს (სამაგიერო ფართობის შეუთავსებლადძ და არემონტებენ. ამ კაბინეტების მომავალი გაურკვეველია. იქ ხომ სერიოზული მეცნიერული კვლევები მიმდინარეობდა. მომზადდა და გამოიცა ილიასა და აკაკის რამდენიმე ძალიან საინტერესო კრებული, გამოიცა ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები. დღეს, ფაქტობრივად, მათი ლიკვიდაცია ხდება.

**— რა ფინანსური საფუძველი ჰქონდა სამეცნიერო სექტორის გაუქმებას?**

— უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორის დაფინანსება ბიუჯეტიდან გაიტანეს და სამინისტროს გადასცეს. სამინისტრომ საგრანტო კონკურსები გამოაცხადა, რის შედეგად 1500 თანამშრომელი უხელფასოდ დარჩა.

**— რა მდგომარეობაშია სასწავლო გეგმები და პროგრამები?**

— დღეს მაგისტრატურის პირველი კურსი არ არსებობს სასწავლო პროგრამის მოუმზადებლობის გამო. ამბობენ, გამოცდები იანვარში ჩატარდებაო. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტის ყოფილ დოცენტს, თურქოლოგ ირინა გოცირიძეს სთხოვეს მაგისტრატურის პროგრამის შედგენა. ის უნივერსიტეტის თანამშრომელი აღარ არის და უარი განაცხადა. უნივერსიტეტისათვის საჭირო თანამშრომლები კონკურსების საშუალებით მოიშორეს, დარჩენილები კი ბევრ საკითხს ვერ წყვეტენ. ზარალდება სტუდენტობა და ქართული უმაღლესი განათლება.

**— აკადემიურ საბჭოზე რას გვეტყვით?**

— აირჩიეს 12-კაციანი აკადემიური საბჭო. საბჭოში უნივერსიტეტელი პარლამენტარებიც შევიდნენ. ისინი ადრე პროფესორებიც გახდნენ, ასეთი საბჭო რომ ხელმძღვანელობის მორჩილი იქნება, ცხადია.

**— „მეამბოხე პროფესორების“ ბრძოლას რა შედეგი მოჰყვა?**

— შედეგი ვერ მივიღეთ. ჩვენ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის გაცნობისთანავე გამოვთქვით ჩვენი კრიტიკული შენიშვნები და ახალი წინადადებები. მაგრამ ისინი არათუ მიიღეს, არც მოგვისმინეს. როდესაც პროექტი დაკანონდა, როგორც კანონმორჩილმა მოქალაქეებმა, დავიწყეთ მისი აღსრულებისათვის ბრძოლა, რადგანაც ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვეოდა. სამინისტრომ ჩვენთან ბრძოლაში გვერდით დაიყენა შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო, პარლამენტი, მთელი სახელმწიფო აპარატი ებრძოდა უნივერსიტეტის იდეას. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს რეფორმა დაღუპავს უნივერსიტეტს და ერთ წელიწადში ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდება.

სხვათა შორის, გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ივანე ბოკერია!

**დალი ქვირია**

***რედაქციისაგან: რედაქციას განზრახული აქვს ინტერვიუში წამოჭრილ საკითხებზე მოისმინოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აზრიც, რათა მკითხველს გაუადვილოს დასკვნების გაკეთება.***

ინფორმაცია

## განათლებისა და დასაქმების ფორუმი თბილისში

**20 ოქტომბრიდან თბილისში „განათლებისა და დასაქმების ფორუმი 2006“ იწყება, რომელიც ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების პილოტური პროგრამის ბოლო პროექტს წარმოადგენს. პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.**

**ფორუმს თსუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა უმასპინძლებს. ფორუმის პირველ დღეს განათლების ფორუმი მოეწყობა, სადაც სტუდენტები და სწავლის გაგრძელების მსურველები საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო და სატრენინგო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდებიან. ისინი შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნობიან.**

**ფორუმის მიმდინარეობის დროს სატრენინგო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს თავიანთი სტენდები და მაგიდები ექნებათ, რათა კომპანიების ადამიანური რესურსების მენეჯერებმა და ასევე სტუდენტებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღონ პროგრამების შესახებ.**

**განათლების და დასაქმების ფორუმის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე და საგანამანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირების საშუალება მიეცემათ.**

## აფხაზეთში მონიტორინგი დაიწყო

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგარ რუს სამშვიდობოთა სარდალი გენერალ მაიორი სერგეი ჩაბანი აცხადებს, რომ 11 ოქტომბრიდან ზემო აფხაზეთის საქართველოს მიერ კონტროლირებად ნაწილში მონიტორინგი განახლდა.**

**მისივე ინფორმაციით, მონიტორინგში მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და გაეროს სამხედრო დამკვირვებლები მონაწილეობენ.**

**ჩაბანმა ასევე განმარტა, რომ მონიტორინგი აფხაზი დამკვირვებლების გარეშე განხორციელდება და იგი 13 ოქტომბერს ხიდას ულელტეხილზე დასრულდება.**

**რუსი გენერალი ასევე დაპირდა საზოგადოებას, რომ მონიტორინგის შედეგები მისთვის 13 ოქტომბერსვე გახდება ცნობილი.**

## ლატვია საქართველოსთან ინტენსიურ თანამშრომლობას იწყებს

**ლატვია საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას იწყებს. ამის შესახებ ლატვიის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ინა გუდელემ განაცხადა. როგორც მინისტრი განმარტავს, თანამშრომლობა, ძირითადად, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მოხდება.**

**ლატვიისათვის საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. ქვეყანა საკუთარ ბაზარს თავგამოდებით იცავს და ცდილობს, რომ მეწარმეებს დაეხმაროს. ლატვიისათვის მოლდოვასთან და საქართველოსთან ურთიერთობა პრიორიტეტია, — აცხადებს ლატვიის საგანგებო საქმეთა მინისტრი.**

**გუდელე განმარტავს, რომ ლატვიელი ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველი საქართველოს მთებია.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

სამეგრელო-ზემო სვანეთი

# უამრავი სტუმრის მზრუნველი მასპინძელი

**თანამედროვე მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველო ტურიზმის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა. იგი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებითა და სხვა მრავალი კულტურული ფასეულობებით, რომელთა მეშვეობითაც უცილობლად წარმოადგენს ტურისტებისათვის მეტად მიმზიდველ ადგილს.**

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სატურიზმო კომპლექსში ღირსეული ადგილი უკავია სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს, სადაც მრავლადაა ისტორიული ძეგლები, ულამაზესი ჩანჩქერები, მღვიმეები, კანიონისებური ხეობებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევებით, მდინარეთა ხეობებით, მარადიული თოვლითა და მყინვარებით, სამკურნალო და მინერალური წყლებით. სამეგრელო-ზემო სვანეთში არის 10-ზე მეტი კურორტი. ყოფილ საბჭოეთში ცნობილი იყო ცაიში და მენჯი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ მუშაობდნენ და დამსვენებლებს იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ზღვისპირა სამკურნალო ზონას განეკუთვნება ანაკლია, განმუხური, ყულევი და ფოთი, ხოლო სამთო-კლიმატურ ზონას — ლებარდე, ჭუმერი...



— მხარეში ცივილიზებული ტურიზმისა და რეკრეციული მეურნეობის განვითარებას ემსახურება ქალაქ ზუგდიდში მოქმედი საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო, რომელსაც სათავეში უდგას და წარმატებულად უძღვება ქალბატონი ნანა ლაშხია, რომელიც გვესაუბრება საექსკურსიო ბიუროს საქმიანობაზე, მის სამომავლო გეგმებსა და რეალურად არსებულ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრა საკუთარი ძალებით თითქმის შეუძლებელია, თუ სათანადო სამსახურების მხრიდან დროულად არ იქნა მიღებული თანადგომისა და ფინანსური დახმარების პროგრამა.



— საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ემსახურება საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს. მის განკარგულებაშია ტექნიკურად გამართული ავტობუსები, მაღალკვალიფიციური, გამოცდილი ექსკურსია-მძღოლები.

ბიუროს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებისა და ურთიერთთანამშრომლობის კუთხით სასწავლებლებთან თუ საწარმო-დაწესებულებებთან უკვე დადებული აქვს ხელშეკრულებები და მათ მომსახურებას ახდენენ.

მიუხედავად ამისა, არის „მარცხენა“ ტურიზმის ფაქტებიც. ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მძღოლების თვითნებურად, ყოველგვარი საექსკურსიო დაკუმენტაციების გარეშე მიჰყავთ ხალხი სხვადასხვა საექსკურსიო ობიექტზე. ამ თვითნებურ „ტურიზმს“ არაერთი შემზარავი შემთხვევა მოჰყოლია, რაც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას რეგიონში და, რაც მთავარია, რაიონის ბიუჯეტში თანხების მოზიდვას.

საექსკურსიო საქმიანობის მოგვარებაში პირველ და აუცილებელ პირობად მიმაჩნია ის, რომ განათლების განყოფილებამ მხარი დაუჭიროს ბიუროს საქმიანობას, რათა არ მოხდეს მოსწავლეთა თვითნებური მოგზაურობა საექსკურსიო ობიექტებზე, თორემ ადვილი მოსალოდნელია, რეგიონში ჩაკვდეს საექსკურსიო ცხოვრება.

გვაქვს სიახლეები. კერძოდ, პროექტების დამუშავება, როგორიცაა: „პაპანწყვილი“, „ოცინდალე“, „ქვაცანცარა“, „ღამურების მღვიმე“, „გამჭვირვალე თევზები“. ამჟამად გვაქვს პროექტი „ღამურების მღვიმეზე“, რომელიც მოიცავს ზუგდიდის რაიონის სამ სოფელს: ოდიშს, კორცხელსა და ნაცატუს. აქ არის თვალსაჩინო სატურისტო ადგილი და მისი კეთილმოწყობისათვის გამოყოფილია 1424 ლარი, რომელსაც ყოველდღე ველოდებით, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს.

როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ბრძანა, საქართველოში ტურიზმს დიდი მომავალი აქვს და იგი უნდა განვითარდეს, სახელმწიფოსა და მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, მის განვითარებას მოჰყვება ახალი ინფრასტრუქტურები, სადაც იმუშავებენ საქმიანი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, პროფესიონალი პიროვნებები, რომლებიც სათუთად მოუვლიან და მოსულ სტუმრებს სიყვარულით გააცნობენ საქართველოს სახელოვან ისტორიას.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ფოტომატიანე

# ესეც მისი ოცდამეექვსე წიგნი!..

*„დრო და ადამიანები“. შესაძლოა, წიგნი-ალბომის ეს სახელწოდება უკვე ტრაფარეტულად დაწყვილებულ სიტყვებადაც კი მოგვეჩვენოს (მათი ხან სათაურებად, ხან რუბრიკებად, ხან კიდევ რეპორტაჟებისა თუ პატარა მოგონებების სახელწოდებად საკმაოდ ხშირად ხმარების გამო), მაგრამ არ ვიქნებით სწორი. ჩვენი ცხოვრების არსს ხომ ორი სიტყვა — დრო (დრო — „ერთ-ერთი ძირითადი ფორმა მატერიის არსებობისა... გარკვეული მონაკვეთი საუკუნეებისა, წლების, დღეების, საათებისა და მისთანათა, როდესაც რამე ხდება, რაიმე მოვლენას, შემთხვევას, პროცესს აქვს ადგილი, — ხანი, ჟამი“, — ქართული ენციკლოპედია) და ადამიანები (სულხან-საბა: „ადამიანი ადამიანისგამონი“; ილია: „ადამიანები განა მარტო მაყურებლები არიან ცხოვრების, არამედ მოქმედი პირნიც“) ასე სავსედ იტევს ჩვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.*

*დიახ, გამოვიდა ცნობილი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის დემიკო ლოლაძის ახალი წიგნი-ალბომი „დრო და ადამიანები“ (წინასიტყვაობის ავტორი — გიზო ნიშნიანიძე).*

***ორიოდე სიტყვა ავტორზე:***

***მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტები, ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე მუსიკალური სასწავლებელი, არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის მედლით, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა — გიორგი ნიკოლაძის მედლით, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ — იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლით.***

***გამოცემული აქვს ოცდაექვსი წიგნი, კრებული, ალბომი. მათ შორის: „მიხეილ მესხი“, „შოთა იამანიძე“, „ვლადიმერ ბარქაია“, „გივი ჩოხელი“, „მურთაზ ხურცილავა“, „ვიტალი დარასელია“, „ნოდარ ახალკაცი“, „დავით ყიფიანი“, „სერგო კოტრიკაძე“, „მიხეილ მესხის დაბრუნება“, „დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“, „ვიტალი დარასელიასა და დიუსელდორფის გახსენება“, „დიუსელდორფი — თბილისი, ოცი წლის შემდეგ“, „ფეხბურთი ნახატებსა და შარჟებში“ და სხვ.***

***ორი კრებული უძღვნა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გმირს ქიული შარტავას.***

აბა, წამით დავფიქრდეთ: რაოდენ საინტერესო და ბევრის მთქმელი, რამდენი თბილი, ბედნიერი მოგონების აღმძვრელი იქნებოდა — ოცნებას კაცი არ მოუკლავს! — ამ ახალი ალბომის ბევრ „პერსონაჟზე“ შექმნილი ცალკე, საგანგებო წიგნ-ალბომის ხელში აღება. ამ ფოტომასალებს, ამ ფოტოისტორიას აუცილებლად ჩვენი შთამომავლობის, მომავალი თაობების თვალითაც უნდა შევხედოთ და უფრო თვალნათლივ დავინახავთ მათ მნიშვნელობას, მათს შემეცნებით და ემოციურ აზრს.

**მცირე რეპლიკა:** რა კარგი იქნებოდა, ყველა სურათს გადაღების თარიღი რომ ესვას, ზოგ შემთხვევაში კი მითითებული იყოს, ჯგუფური სურათები რა შემთხვევასთან დაკავშირებითაა გადაღებული.




აქვე მოვიტან ციტატებს „ლიტერატურულ საქართველოში“ ზემოთ დასახელებული საუბრიდან.

**ზაალ ბოტკოველი:** ...ახლა, როცა ქართველი მწერლები ლამის კრიმინალებად არიან შერაცხულნი, ამ წმინდა სახეების გახსენება მართლაც რომ შესაშური საქმეა. რას იტყოდით მათზე?

**დემიკო ლოლაძე:** 30 წელი უმაღლესი განათლების სამინისტროში ვიმუშავე. მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში გამართული მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა არცერთი ყრილობა არ გამიცდენია და ასე ნელნელა ჩემს არქივს ემატებოდა ძვირფასი სახეები პიროვნებებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქართველოს სახელის გატანაზე ფიქრობდნენ. დღეს მეცნიერებზე, კულტურის სფეროს მუშაკებზე სათანადოდ არავინ ფიქრობს. **როდესაც ანა კალანდაძის საიუბილეო თარიღს ოპერისა და ბალეტის თეატრში სახელისუფლო შტოდან არავინ დაესწრება, ტელევიზიის არც ერთი არხი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას არ გააშუქებს, სხვა რაზეა ლაპარაკი“.**

დემიკო ლოლაძე აქვე ამბობს, რომ ამ ალბომში, ფორმატიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ბევრი ცნობილი და სახელოვანი პიროვნების „დაბინავება“ და ამიტომ ამ წიგნ-ალბომის მეორე ნაწილზე მუშაობს.

აქვე მეც მინდა დიდი მადლობა მოვახსენო იმ დიდად პატივსაცემ მეცენატ მანდილოსანს, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ წიგნ-ალბომის გამოცემა და რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

* * *

**მინაწერი: მოგეხსენებათ, დღეს ღირსეულ წიგნებს სჭირდებათ განსაკუთრებით რეკლამირება. ეს გამოხმაურება ამ გამოცემის გაყიდვის მიზნით ნამდვილად არაა დაწერილი (თუმცა, ძირითადად ამ მიზნით დაწერილ მასალასაც სიამოვნებით მოვაწერდი ხელს). რატომ ვამბობ ამას? აქ ასობით ფოტოსურათზე რამდენიმე ასეული ადამიანია გამოსახული, წიგნის ტირაჟი კი, სამწუხაროდ, მხოლოდ 500 ცალია. ისიც ვიცი, რომ აქ წარმოსახული პიროვნებების უმეტესობას და მათ ოჯახებს უკვე მიერთვა საჩუქრად ეს წიგნი. ასე რომ, ამ გამოცემის, ასე ვთქვათ, გასაღების პრობლემა არ დგას. არადა, ეს წიგნი-ალბომი ბევრი იმ ადამიანის ბიბლიოთეკაშიც უნდა იყოს, ვისი ფოტოსურათი აქ არ ან ვერ მოხვდა. ერთი სიტყვით, ეს წიგნი-ალბომი უნდა იშოვოთ.**

**ცდა ბედის მონახევრეა.**

***ჯუმბერ თითმერია***

◎ გამგონეთა გასაგონად

# თუშებს უბედურება ემუქრებათ



**თუშმა ხალხმა ბედუკუღმართი ცხოვრების გამო ორი საცხოვრისი – მცირე აზია და ჩრდილო კავკასია გამოიცვალა და საბოლოოდ ბინა დაიდო მეფე თეიმურაზის და ერეკლე II-ის მიერ თუშებისთვის საჩუქრად ნაბოძებ მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, ბახტრიონის ციხე-სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ულამაზეს სოფელ ზემო და ქვემო ალვანში.**

ისტორიულად თუშების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა იყო და არის მეცხვარეობა. მათ დღემდე შეინარჩუნეს და არ დაკარგეს მსოფლიოში ცნობილი ერთადერთი წმინდა თუშური ცხვრის ჯიში. თუშებს თუშური ცხვრის ძვირფასი მატყლი, თუშური გუდის ყველი და ცხვრის სხვა პროდუქტები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაჰქონდათ. თუშები მეცხვარეობასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ მესაქონლეობისა და მეცხენეობის განვითარებას.

თუშების სამეურნეო საქმიანობა ძალზე ძნელი, აუტანელი და შრომატევადია, რადგანაც მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. ცხვარს საზამთროდ შირაქში (დედოფლის წყაროს რაიონის აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრამდე ტერიტორია) ერეკებიან და იქ აზამთრებენ, ხოლო გაზაფხულზე – საზაფხულო საძოვრებზე, რომელსაც ბორბალის მთიდან პირიქითა და პირაქეთა ალაზნის ხეობების დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრამდე ტერიტორია (თუშეთი) უკავია, იქ გადაჰყავთ და აზაფხულებენ. თუშ მეცხვარეებს ამ მანძილის გავლა ფეხით დაახლოებით ორი თვე სჭირდებათ და ათას კილომეტრზე მეტის გავლა უხდებათ. **არსებობს ასეთი გამოთქმა: გზაზე მიმავალმა კაცმა მკვდარი ტოროლა ნახა, აიღო და გზიდან გადააგდო. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა „შე საწყალო, რა თუშივით გზაზე მომკვდარხარო“.** მეცხვარის სამუშაო დღის ხანგრძლივობა ოცდაოთხი საათით განისაზღვრება.

1917 წლის სოციალისტურ რევოლუციამდე თუშებს სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწები პირად საკუთრებაში ჰქონდათ. ასევე პირად საკუთრებაში ჰყავდათ პირუტყვიც. რევოლუციის შემდეგ მათ ეს მიწის სავარგულები ძალდატანებით ჩამოართვეს და სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. ასევე, ძალდატანებით მოხდა ცხვრისა და სხვა პირუტყვის ახლად შექმნილ „კოლმეურნეობებში“ გაერთიანება. ბუნებრივია, ამ მდგომარეობამ დიდი დაღი დაასვა მეცხვარეობის, მესაქონლეობისა და მეცხენეობის განვითარებას.

შემდგომში ყველაზე ბარბაროსული აქტი იყო ის, რომ „კომუნისტებმა“ დაიწყეს წმინდა თუშური ცხვრის ჯიშის მოსპობა. ამ მიზნით მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთიდან საქართველოში შემოიყვანეს რამბული (მეტისიძ ჯიშის მწარმოებელი ყოჩები და დაიწყო წმინდა თუშური ცხვრის მეტიზაცია, მაგრამ თუშმა ხალხმა ამასაც გაუძლო და წმინდა თუშური ცხვრის „ელიტა“ ფარების შექმნის გზით წმინდა თუშური ცხვრის ჯიში გადაშენებას გადაარჩინა.

გადიოდა „სოციალისტური“ წლები, ხუთწლედების მიხედვით ახალი სოფლების გაშენების, უზარმაზარი მეცხოველეობის კომპლექტების მშენებლობის, მონოკულტურების – ვაზის, ხეხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული მიწის ფართობების გაზრდის ხარჯზე ხდებოდა შირაქში – საზამთრო სათიბ-საძოვარი სავარგულების და ბარში ცხვრის გადასარეკი „ტრასების“ მიმდებარე ტერიტორიის შემცირება. ეს იყო წმინდა თუშური ცხვრის ჯიშისა და სხვა პირუტყვის მოსპობის კიდევ ერთი ცდა.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულმა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციამ დასაბამი მისცა თუშ ხალხს, რათა დაეწყოთ მამაპაპისეული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის – მეცხვარეობის, მესაქონლეობისა და მეცხენეობის ხელახლა აღორძინება.

თუშების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოში ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მეცხვარეობის და მეცხოველეობის სხვა დარგების განვითარება ხდება თვითდინებით და ქაოსურად, ქართველი ხალხის ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გაუთვალისწინებლად.

ამჟამად, წმინდა თუშური ცხვრის მოსპობის ახალი, ალბათ ბოლო ეტაპი დაიწყო და წინა პირობებიც უკვე გამოიკვეთა. პირველი პირობა არის ის, რომ შირაქისა და თუშეთის სათიბ-საძოვარი სავარგული მიწის ფართობები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წმინდა თუშური ცხვრის და სხვა პირუტყვის მოშენება-გამრავლებისთვის იყო გამოყენებული, დიდი ხანია ნაკრძალებისა და ტურისტული ბაზების საძირკვლად იქცა. დღეს ეს ადგილები გამოყენებულია დღევანდელ „მეფეთა“, სახელმწიფო მოხელეთა და ჩინოვნიკების სანადიროდ და დასასვენებლად.

მკითხველს არ ეგონოს, რომ თითქოს შირაქში და თუშეთში ნაკრძალებისა და ტურიზმის განვითარების წინააღმდეგი ვიყოთ. არა, ტურიზმიც უნდა განვითარდეს, ნაკრძალებიც უფრო მეტი უნდა იყოს, მაგრამ მათი ოპტიმალური განვითარებით ხელი არ უნდა შეეშალოს წმინდა თუშური ცხვრისა და სხვა პირუტყვის მოშენება-გამრავლებას, რადგანაც წმინდა თუშური ცხვრისა და სხვა პირუტყვის შენარჩუნება-გამრავლების ერთადერთი საშუალება არის საზამთრო და საზაფხულო სათიბ-საძოვარი მიწის ფართობების რაოდენობა. მაგალითად, შირაქის ტერიტორიის სათიბ-საძოვარი მიწის ფართობების უდიდესი ნაწილი, რომელიც მცენარეული საფარით არის დაკავებული, ნაკრძალებად არის გამოცხადებული; გათვალისწინებულია, რომ მომავალში მათი რაოდენობა გაიზრდება. ასეთივე მდგომარეობაა თუშეთშიც. თუშეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ნაკრძალად არის გამოცხადებული. თუშეთის სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობა. ასევე თუშეთში არსებულ ციხე-კოშკებში უკვე გახსნილია ბარები და სხვა დანიშნულების ობიექტები. ამის გამო ქვეყნის ხელისუფლების მესვეურთა აზრით, თუშეთში იქ, სადაც გადამთიელი უცხოელი თითო-ოროლა ტურისტი ფეხს დადგამს (ასეთი კი მთელი თუშეთია) იქ თუშური ცხვარი და სხვა პირუტყვი, როგორც „მთის გაბინძურების“ საშუალება არ უნდა იყოს. **გამოდის, რომ თუშეთი თუშების, თუშური ცხვრისა და სხვა პირუტყვის გარეშე უნდა დარჩეს:**

შედეგი?! გაწყდება ბარსა და მთას შორის კავშირი, ძალზე შემცირდება და ბოლოს აღარ იქნება მთისა და ბარის სათიბ-საძოვარი მიწის სავარგულები, შეწყდება თუში მოსახლეობის ბარიდან მთაში მიგრაცია, დაიკარგება წოური ენა, ისტორიის კუთვნილება გახდება წმინდა თუშური ცხვარი, თუშური გუდის ყველი, თუშური მატყლი, თუშური კალები, თუშური ჩოგი, თუშური კარაქი, თუშური ერბო, ჩობან ჩაი, თუშური ქუმელი, თუშური ლუდი, თუშური ხინკალი, თუშური არაყი, თუშური ცხენი, თუშური ძროხა, თუში მეცხვარის ძაღლი, თუშური სახედარი, თუშური ცხვრის მატყლისგან მოქსოვილი მსოფლიოში ცნობილი ხალიჩები, თუშური ფარდაგი, თუშური ნაბდური, თუშური ხურჯინი, თუშური წინდები, თუშური ჩითები, თუშური ნაბადი, თუშური თექა, თუშური ქუდი, თუშური შალი, თუშური ჩოხაახალუხი, თუშური ხატობა, თუშური დალაობა, თუშური დოლი, თუშური ძორწილი, პატარძლის საქორწინო შესამოსი ჩაცმულობა, თუშური ცეკვა, თუშური სიმღერა, დაიკარგება თუშეთის მკაცრ კლიმატურ პირობებს შეგუებული ხორბლის, ქერის, სვილის, შვრიის და სხვა კულტურების ჯიშები, უპატრონოდ დარჩება დალუპული თუში წინაპრების საფლავები და აკლდამები, ნანგრევებად იქცევა თუშების სახლები, ციხე-კოშკები, სოფლები გადაიქცევა ნასოფლარებად და ა.შ.

თუშური ცხვრის მოსპობის მეორე პირობაა საქართველოს სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არასწორად გატარებული საკანონმდებლო და ეკონომიკური პოლიტიკა. დღემდე არ არსებობს შირაქისა და თუშეთის განვითარების კონცეფცია, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ძალზე მაღალი გადასახადების დაწესება. მაშინ, როდესაც თუშური ყველის რაოდენობა მცირდება და ფასები ძალზე დაბალია, თუშური ცხვრის მატყლი სანაგვეზე იყრება. ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი მოვლენები – ფულის მაღალი ინფლაცია, საწვავ-საცხები მასალების ფასები, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების გაზრდილი ტარიფები, გაჭირვებული ცხოვრების მძიმე პირობების გამო მოსახლეობის უცხოეთში მიგრაციის სწრაფი ტემპი და ამის შედეგად დაცარიელებული მოხუცების ამარად დარჩენილი სოფლები და სხვ.



ბოლოს, რა თქმა უნდა, დავიწყებას მიეცემა თუში ქალის მიერ გარმონზე ამღერებული, „რა ლამაზი ხარ, თუშეთო...“

**საკითხავია, ოდესმე დადგება კი ის დრო, როცა ხელისუფლება დაინტერესდება თუში ხალხის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემების გადაწყვეტით?!**



**შოთა ყიზილაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.**

◎ ინფორმაცია

## საქართველოში ახალი მობილური ქსელი ამოქმედდება

ფრანგულმა ტელესაკომუნიკაციო კამპანია „ალკატელმა“ საქართველოს ფიჭურ ოპერატორთან „მობიტელთან“ („ვიმპელკომის“ შვილობილი კომპანიაძ ახალი ფიჭური ქსელის შექმნის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა.

ამ პროექტის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალი მობილური ქსელი ამოქმედდება. „ალკატელი“ საშუალებას მისცემს „მობიტელს“, თანამედროვე მობილური საკომუნიკაციო საშუალებები შესთავაზოს მომხმარებელს.

## მაუწყებლობის ჩახშობაში ადანაშაულებენ

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ტელეკომპანია „ირ“-ს გენერალური დირექტორი როზერტ კულუმბეგოვი საქართველოს სპეცსამსახურებს, რუსული საინფორმაციო გადაცემის „ვესტი 24“-ის მაუწყებლობის ჩახშობაში ადანაშაულებს.

„ამჟამად საქართველოს სპეცსამსახურებმა გადამცემი იმავე სიხშირეზე დააყენეს, რომლითაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საინფორმაციო დაგაცემა „ვესტი 24“-ს უყურებს. ალბათ, საქართველოს სპეცსამსახურებმა უკვე ადგილობრივი მაუწყებლობის სრულიად ჩახშობა მოინდომეს და ამას რუსული არხიც ზედ მიაყოლეს“, – ამბობს კულუმბეგოვი.

## პოლიციის გამომძიებლებს საყვედური გამოუცხადეს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლიდა ეფრემიძემ, მცხეთის რაიონის შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში მიმდინარე გამოძიების არაობიექტურობის თაობაზე.

როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, მას 2004 წელს მცხეთის რაიონის სოფელ ნაფეტვრებში მდებარე სავაჭრო ნაკვეთიდან 25 ტონის ტევადობის, თერმოსის ტიპის ცისტერნა მოპარეს. ქურდობის ფაქტზე მცხეთის შს საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, როგორც ეფრემიძე აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის ჩამდენთა ვინაობა ცნობილი იყო, გამოძიების ორგანო შეგნებულად აჭიანურებდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მიმდინარე წლის 8 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატმა, მცხეთის შს სამმართველოში გამოძიების გაჭიანურების შესახებ წერილით მიმართა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას.

2006 წლის 7 მარტს სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსის ი. ნადარეიშვილის წერილი, საიდანაც ირკვეოდა, რომ პროკურატურამ გამოითხოვა და შეისწავლა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეში არსებული დოკუმენტები.

სახალხო დამცველის აპარატს შინაგან საქმეთა სამინისტროდან შეატყობინეს, რომ მცხეთის შს სამმართველოს ყოფილ გამომძიებლებს ზურაბ ხუროშვილსა და ლერი გაბისონიას შს მინისტრის ბრძანებით შეეფარდათ დისციპლინური სახდელი – სასტიკი საყვედური.

ხი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ვლადიმერ პუტინი:

# „რუსეთი არ აპირებს საქართველოს ეკონომიკურ განადგურებას“

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ვიზიტად იმყოფება გერმანიაში, გასცა პასუხი საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს. პუტინმა აღნიშნა, რომ „რუსეთი არ აპირებს საქართველოს ეკონომიკურ განადგურებას“. გერმანული გაზეთის „ზიუდოიჩე ცაიტუნგის“ კორესპონდენტის კითხვას, გსურთ თუ არა საქართველოს ეკონომიკური განადგურება იმის გამო, რომ მას ძალზე პროამერიკულად განწყობილი პრეზიდენტი ჰყავს, პუტინმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, არა. ეს ქართველი ხალხის არჩევანია, ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ ამ არჩევანს, რადგან გვაქვს ქართველ ხალხთან გარკვეული, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობა“.**



შეეხო რა აფხაზეთისა და ჩრდილო ოსეთის კონფლიქტებს, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „საჭიროა ვიმოქმედოთ მხოლოდ დიპლომატიური, ჰუმანიტარული საშუალებებით“. „ამის თაობაზე ჩვენ არაერთხელ გვილაპარაკია საქართველოს ხელმძღვანელობასთან. ისინი ეთანხმებიან ამას და ამბობენ, რომ ყველაფერი სწორედ ასე უნდა გაკეთდეს. სინამდვილეში კი, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პრობლემა გადაჭრან ომის მეშვეობით: საქართველო გამალებით იარაღდება, არღვევს ყველა წინათ მიღწეულ მორიგებას, გამუდმებით ახორციელებს პროვოკაციებს კონფლიქტის ზონაში“, – თქვა პუტინმა.

„თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებმა თუ იცით, მაგალითად, რომ ოსების აზრით, უახლოესი ისტორიის მანძილზე იქ, ოსეთში, განხორციელდა ეთნიკური წმენდები? და ისინი ამას უწოდებდნენ გენოციდს ქართველების მხრიდან. ეს მოხდა გასული საუკუნის 20-იან და 80-იან წლებში“ – ჰკითხა პუტინმა გერმანული გაზეთის კორესპონდენტს. „იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთთან დაკავშირებითაც. სურთ ეს თუ არა ჩვენს ქართველ კოლეგებს, მაგრამ მათ ქვეყანას აფხაზეთში აღიქვამენ როგორც რეგიონული მასშტაბის მიკროიმპერიას“, – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინის აზრით, ეს უშუალოდ ეხება რუსეთსაც. მან გაიხსენა, რომ საბჭოურ დროს ოსეთი უბრალოდ ორად გაჰყვეს: „ამ ხალხის ნაწილი დარჩა კავკასიის ქედის გადაღმა – ჩრდილოეთ კავკასიაში, და დღეს არის რუსეთის რეგიონი, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია, ნაწილი კი გადაეცა საქართველოს და მას ეწოდება სამხრეთ ოსეთი. სადღეისოდ ეს ხალხი ორად გაყოფილი აღმოჩნდა. მოხდა იგივე, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ყოფილ გდრ-თან დაკავშირებით. მაშინ ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგი, დღეს კი აქ, ჩვენთან, ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგია. ოსი ხალხი აღმოჩნდა ზუსტად ისეთ მდგომარეობაში, როგორც გერმანელი ხალხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“, – თქვა რუსეთის ლიდერმა.

„იგივე სიტუაციაა აფხაზეთთან დაკავშირებითაც. ჩვენს ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობს მრავალი ხალხი, რომლებიც აფხაზებთან ახლოს არიან ეთნიკური თვალსაზრისით. აქაც უნდა ვიმოქმედოთ ჰუმანიტარული, პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალებებით“, – დასძინა მან. პუტინმა გამოთქვა გაკვირვება საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელი პოლიტიკის გამო, რომელიც ცდილობს რუსეთთან კონფრონტაციას. „რატომღაც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება მისცემს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საშუალებას. ამასთან, თითქმის მილიონამდე ქართველი, ფაქტობრივად, რუსეთში გადმოვიდა მუდმივ საცხოვრებლად“, – განაცხადა პუტინმა.

„ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს იყოს სუვერენული და აირჩიოს პარტნიორები, მრჩევლები. მაგრამ ამან ეს ქვეყანა აგრესიული მოქმედებებისათვის არ უნდა წააქეზოს. ჩვენ, უბრალოდ, იძულებული ვართ მოვახდინოთ რეაგირება“, – აღნიშნა პუტინმა. მან გაიხსენა, რომ საქართველოში რუსი ოფიცრები დააკავეს მუნიციპალური არჩევნების წინ. „არ ვიცი, შემთხვევითობაა ეს თუ – არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დაუშვებელია, რომ შიდაპოლიტიკური პრობლემების გადაჭრა ვინმემ სცადოს ანტირუსული ისტერიის და აგრესიული ფსიქოზის გაღვივების საფუძველზე“, – მიაჩნია რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს.

REGNUM

# სანქციები – ომის წინაალმდეგ?

**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორშაბათს განაცხადა, რომ მზადაა შეხვდეს ვლადიმერ პუტინს „ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას“. ამასთან, მან აკრძალა საგანგებო სიტუაციის სამინისტროს სატრანსპორტო თვითმფრინავების მიღება თბილისის აეროპორტში, რომლებითაც მოხდა ქართველი არალეგალების დეპორტირება.**



სატრანსპორტო მიმოსვლა და საფოსტო კავშირი საქართველოსთან კვლავაც შეწყვეტილია. მიგრანტებზე გაძლიერებულია კონტროლი. ფმს-ის უფროსის მოადგილის მ. ტიურკინის მონაცემებით, 2006 წელს საქართველოდან რუსეთში 79 ათასი კაცი ჩავიდა, თუმცა მათგან რეგისტრაცია მხოლოდ 29 ათას მოქალაქეს აქვს. სამუშაო და რუსეთში საცხოვრებელი კვოტები საქართველოს მოქალაქეებს შეუმცირდებათ. გამორიცხული არ არის, რომ ნახევარწლიანი ვიზით ყოფნის დრო 90 დღემდე შემცირდეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახურა რამდენიმე „პროქართული“ კაზინო-რესტორანი და რუსეთში საქართველოს საელჩოს სტუმართა სახლი. პასეს სესიაზე, სადაც რუსეთს აიძულებდნენ უარი ეთქვა სანქციებზე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავკაცმა ს. ლავროვმა მკვახედ უპასუხა: „არ შეიძლება რუსეთის ხელიდან ჭამდე და რუსეთსვე შეურაცხყოფას აყენებდე“.

სასჯელს ვერც ცნობილი „ახალი“ რუსეთელები გადაურჩნენ – აუდიტორებმა დარღვევები ზ. წერეთლის აკადემიაში აღმოაჩინეს, საგადასახადოს თანამშრომლებმა კი რაღაცრაღაცები უპოვეს მწერალ გ. ჩხარტიშვილს (ბ. აკუნინსძ. ზედმეტად მონდომებულმა მილიციის ჩინოსნებმა სცადეს ქართული გვარების სკოლის მოსწავლეთა მონახვა, მათი მშობლების შემოწმების მიზნით. როგორც ჩანს, ყველამ კარგად ვერ შეიგნო, რომ მ. სააკაშვილის რეჟიმი და ქართველი ერი ერთი და იგივე სულაც არ არის.

ამასობაში, ადგილობრივ არჩევნებში მ. სააკაშვილის „ნაცმოძრაობამ“ ხმების 60 პროცენტი მოაგროვა. ჰოდა, რა გამოდის, რუსეთმა ამ გამარჯვებას ხელი შეუწყო? საზოგადოებრივი პალატის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ს. მარკოვს ასე არ მიაჩნია: „რუსეთი მიზნად არ ისახავდა სააკაშვილის რეჟიმის დამხობას. მთავარი ამოცანაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალოვანი ოპერაციის თავიდან აცილება, რომელიც, ჩვენი სპეცსამსახურების მონაცემებით, 15-20 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული. და თუკი ომი არ შედგება, მაშასადამე მიზანი მიღწეულია“.

არადა, აფხაზეთის თავკაცს ს. ბაღაფშს მოსკოვი თითქოსდა ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას დაპირდა. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ფედერაცია ბოლო დრომდე ასრულებდა სანქციებს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ბ. ელცინისა და ე. შევარდნაძის დროს მიიღეს. ბენზინსაც კი აფხაზეთი... რუმინეთიდან იღებდა.

Аргументы и факты

# გმადლობთ, ბატონო მიხეილ!

**მთელი სულითა და გულით გიხდით მადლობას იმ ფასდაუდებელი წვლილისთვის, რომელიც თქვენ შეიტანეთ რუსეთ-ლატვიის ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, გამოკითხვების დროს, რუსეთელთა ნახევარზე მეტი მათი ქვეყნის №1 მტრად მიიჩნევდა ლატვიას. ისინი იფიცებოდნენ, რომ აღარ შეჭამდნენ შპროტს, აღარ დალევდნენ შავ ბალზამს, შეგვიწყვეტდნენ გაზის მოწოდებას და ა.შ.**

ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენ, ბატონო მიხეილ, მოჰკიდეთ ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარებას. შედეგმაც არ დააყოვნა: ახლა რუსებს აღარ სჭირთ ალერგია შპროტსა და ბალზამზე, სამაგიეროდ, შეიძულეს „ბორჯომი“ და „ხვანჭკარა“. „საზოგადოებრივი აზრის“ კვლევითი ფონდის მიერ განხორციელებული ბოლო გამოკითხვის მონაცემებით (გამოკითხვა გაიმართა რუსეთის ფედერაციის 44 ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის 100 დასახლებულ პუნქტშიძ, რესპონდენტთა 69 პროცენტს მიაჩნია, რომ სადღეისოდ მსოფლიოში არის ორი ქვეყანა, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი რუსეთის მიმართ, და შეიძლება ომი გამოუცხადონ მას. გამოკითხულთა 31 პროცენტი (!ძ დარწმუნებულია, რომ ეს არის საქართველო, 29 პროცენტს კი მიაჩნია, რომ ეს შეერთებული შტატებია. რუსეთის მტრებად ბალტიის ქვეყნები დაასახელა გამოკითხულთა მხოლოდ 4 პროცენტმა.

რა თქმა უნდა, კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა დიდი როლი შეასრულეს რუსეთის ხელმძღვანელობამ და პირადად ვლადიმერ პუტინმა თავიანთი თანამოქალაქეების პრიორიტეტების შეცვლაში. და მაინც, თქვენი მონაწილეობა ამაში ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ.

ამ დღეებში ლატვიის ეკონომიკის მინისტრი აიგარ შტოკენბერგსი გაემგზავრება მოსკოვს, სადაც მან უნდა დადოს რუსეთთან ორი ხელშეკრულება – ეკონომიკური და სამთავრობათშორისი კომისიის შექმნის შესახებ. თქვენი დამსახურება რომ არა, ეს ორივე დოკუმენტი კიდევ კარგა ხანს ხელმოუწერელი დარჩებოდა.

პატივისცემით, „ტელეგრაფის“ რედაქცია.

**„ტელეგრაფი“, (ლატვია)**
**11 ოქტომბერი.**

# ლუკაშენკო საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმს არ შემოიღებს

**მინსკი ამისთვის არ არის მზად. როგორც ბელორუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტის უფროსის პირველმა მოადგილემ ალექსეი ბეგუნმა თქვა, საქართველოს მოქალაქეების მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხს „ყოველმხრივი შესწავლა სჭირდება“. მან დააზუსტა, რომ ბელორუსია არის საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა მონაწილეობს სამოკავშირეო სახელმწიფოს ფარგლებში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ დადებულ მთელ რიგ ხელშეკრულებებში. ამიტომ, მოკავშირე რუსეთის პოლიტიკის მიუხედავად, ბელორუსია დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეების მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ.**

მაგრამ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხი ოფიციალურმა მინსკმა უკვე განიხილა. გასული წლის ივნისში პრეზიდენტ ლუკაშენკოს პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ ასეთი გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. მაშინ ქვეყნის საგარეო სამინისტრომ იტყობინებოდა, რომ ვიზების შემოღების კონკრეტულ დროს საზოგადოებრიობას დამატებით აცნობებდნენ. თუმცა, მოგვიანებით ბელორუსიის ხელისუფლებამ უარყო ეს ინფორმაცია, ისევე როგორც თვით მისი გავრცელების ფაქტიც კი. ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი მარტინოვმა მაშინ დააზუსტა, რომ პრეზიდენტმა დაავალა განეხილა „ურთიერთობა საქართველოსთან და, საჭიროების შემთხვევაში, მიეღო ისეთი ზომები, რომლებიც დაიცავდნენ ბელორუსიის ეროვნულ უშიშროებას“. როგორც საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა განმარტა, ეს საჭირო გახდა იმიტომ, რომ „პრეზიდენტი სააკაშვილი და საქართველოს პარლამენტი იღებდნენ გადაწყვეტილებებს, აკეთებდნენ განცხადებებს ბელორუსიაში „რევოლუციონერი“ მოთარეშეების გამოგზავნის შესახებ“. „ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ქართველი და ბელორუსი ხალხის თავისუფალ ურთიერთობას. ის, რასაც ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ, ან არ დავეთანხმოთ, არის ბელორუსიაში რაღაც რევოლუციების ან ფსევდორევოლუციების ძალდატანებითი ექსპორტი“.

**ანტონ ხოდასევიჩი**
**(იბეჭდება შემოკლებით).**

# საქართველოს იმედი აქვს, რომ სარკინიგზო ურთიერთობა რუსეთთან მალე აღდგება

**საქართველოს იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში აღდგება სამგზავრო სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთთან, განაცხადა შპს „საქართველოს რკინიგზის“ კომერციულმა დირექტორმა დავით ჯინჯოლიამ, რომელიც ერევანში მონაწილეობს დსთ-ს ქვეყნების რკინიგზათა მეთაურების საბჭოში.**



„დაძაბული ვითარება ვერ უწყობს ხელს ჩვენს რკინიგზებს შორის ურთიერთობის განვითარებას, მაგრამ ეს პოლიტიკური საკითხია და მისი გადაწყვეტა არ შედის რკინიგზელთა კომპეტენციაში“, – თქვა მან.

ჯინჯოლიამ აღნიშნა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შემდეგ საქართველო არ აპირებს გაუშვას ცალკე მატარებელი მოსკოვ-თბილისის მიმართულებით, რადგან ამის საჭიროება არ არსებობს.

Агентство международной информации НОВОСТИ

### ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

*ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაციის ინიციატივითა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, 10 ოქტომბერს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე აღინიშნება. ყოველი წელი კონკრეტულ პრობლემებს ეხება და მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.*

# სუიციდის შემთხვევები კატასტროფულად იზრდება

**ეს დღე საქართველოშიც აღინიშნება, რომელსაც თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფსიქიკურად დაავადებულთა ნამუშევრების გამოფენა მიეძღვნა. აქვე ჩატარდა დისკუსია თემაზე: „ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია, თვითმკვლელობა“, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის კავშირი „ამაგი“ და კრიზისული ცენტრი „ნდობა“ იყვნენ.**

გამოფენაზე 30 ნახატთან ერთად, რომელიც სხვადასხვა თემაზეა შექმნილი, წარმოდგენილი იყო მოხატული თიხის ჭურჭელი, მძივები და ორიგინალურად გაფორმებული სუვენირები.

როგორც ფსიქიატრიული რეაბილიტაციის პათო-ფსიქოლოგმა ნინო ბულაჩაშვილმა გვითხრა, მათ 5 ასეთი გამოფენა აქვთ გაკეთებული, მათგან ერთი — ლონდონში. ასეთი ღონისძიებები საქველმოქმედოა, რადგან გაყიდული ნამუშევრებიდან შემოსული თანხის ნახევარი ავტორს გადაეცემა. ჩვენს დაწესებულებაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა პაციენტმა საკუთარი შესაძლებლობის რეალიზება შეძლოს, ეს მათ საკუთარი თავის რწმენას მატებს და ამ კუთხით ჩატარებული თერაპიის კურსი უფრო ეფექტიანია.

გამართულ დისკუსიაზე საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ მანანა შარაშიძემ აღნიშნა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა მასობრივი სოციალური სტრესი და შესაბამისად ფსიქიკური აშლილობების ზრდა გამოიწვია. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 1991 წლიდან საქართველოში აღინიშნება ფსიქიკური აშლილობებით დაავადებულთა რიცხვის გასამმაგება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმკვლელობათა რაოდენობა, სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება სუიციდით (თვითმკვლელობაძ გამოწვეული სიკვდილიანობისა და თვითმკვლელობის მცდელობის ზუსტი რეგისტრაცია, რადგან სირცხვილის გამო, ოჯახის წევრები ასეთ ფაქტებს მალავენ. ამას ისიც ემატება, რომ ფსიქიატრიული სამსახური ჯერ კიდევ არ არის რეფორმირებული და დაფინანსება ძალზე მწირია. არ არსებობს შესაბამისი პროფილაქტიკური სამსახური და შემუშავებული არ არის თვითმკვლელობების სახელმწიფო პრევენციული პროგრამა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ 40 წამში თვითმკვლელობით ერთი ადამიანი კვდება, ხოლო ყოველ 5 წამში ერთი ადამიანი ცდილობს თავის მოკვლას. პრობლემა მზარდია: თუ ამჟამად ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონზე მეტი თვითმკვლელობა ხდება, ექსპერტების გათვლებით 2020 წლისთვის ასე, მილიარდ 53 მილიონი ადამიანი შეიძლება მოკვდეს.

ამ შემთხვევების რიცხვი ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით გაიზარდა აღმოსავლეთ ევროპაში: პირველ ადგილზეა ლიტვა, მეორეზე — რუსეთი, შემდეგ — ესტონეთი, ლატვია, ბელორუსია. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ბოლო ადგილებზეა, თუმცა ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, რადგან ამ ქვეყნებში მონაცემები სრულად ვერ გროვდება და სხვადასხვა მიზეზის გამო იმალება.

როგორც სუიციდურ ცდას, ასევე დასრულებულ სუიციდს, მეტად მნიშვნელოვანი ემოციური გავლენა აქვს ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე. ისინი შიშობენ, რომ ამგვარი მცდელობა შესაძლოა კიდევ განმეორდეს და პასუხისმგებლობაც თითქოს მათ ეკისრებათ. დადგენილია, რომ თვითმკვლელობის ხელშემწყობი ფაქტორებია — უიმედობა, სიღარიბე, უმუშევრობა, შერყეული ჯანმრთელობა, საყვარელი ადამიანის სიკვდილი, მეგობრებთან და ახლობლებთან უსიამოვნება, პრობლემები სამართალდამცავებთან, აგრეთვე მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია დამცირების და სირცხვილის განცდასთან.

თვითმკვლელობის სურვილით შეპყრობილ პაციენტს, ახლობლების გარდა, რელიგიაც ეხმარება, ეკლესიური ადამიანისთვის კი ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია. ასე რომ, მორწმუნეთა ზრდა სუიციდის რიცხვს სერიოზულად ამცირებს.

**ლელა მანაველიშვილი**

### ყურადღება!

**2006 წლის ნოემბერ-დეკემბერში ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ხელშეწყობითა და დაფინანსებით ჩატარდება 5 ოთხდღიანი ტრენინგი მასწავლებლებისათვის თემაზე: „ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული სწავლება ახალი სასწავლო პროგრამების გამოყენებით“.**

**ტრენინგები უფასოა.**

**მონაწილეები მიიღებენ ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელ მოწმობას. მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია.**

**ცნობებისათვის დაუკავშირდით ქ-ნ ნინო ბესელიას, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განათლების პროექტის თანამშრომელს, შემდეგ ტელეფონებზე: 923162; 923164 (სამუშაო დღეებში, 14-დან 16 საათამდეძ**

# პენტაგონი რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული ომისთვის ემზადებოდა

## შეერთებულ შტატებში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის მხარეზე იომებენ ჩინელები, კორეელები და ... ტერორისტები

**თუ ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“ ვერწმუნებით, ბირთვულ ომს რუსეთის წინააღმდეგ შეერთებული შტატები დეკემბერში დაიწყებს. თუმცა, ეს ომი ჯერჯერობით „სათამაშო“ იქნება.**

**ამერიკელმა გენერლებმა შეიმუშავეს სარაკეტო წვრთნის ახალი სცენარი, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატების ერთ-ერთი პირობითი მოწინააღმდეგე უცვლელია — მოსკოვი.**

**Vigilant Shild**-07 კოდური სახელწოდების მქონე სარაკეტო ბატალიები დაგეგმილია 4-14 დეკემბრამდე პერიოდში. ამ საშტაბო „ომის“ სცენარის თანახმად, მსოფლიოში გაჩაღდება „კონფლიქტი“ იმის გამო, რომ გამოგონილ ქვეყანას „ირმინგჰამს“ (იგულისხმება ირანიძ სურს ურანის გამდიდრება. რა თქმა უნდა, შეერთებული შტატები ცდილობს ამას შეუშალოს ხელი, მაგრამ „ირმინგჰამის“ დასახმარებლად და შეერთებული შტატების წინააღმდეგ გაილაშქრებს ერთბაშად სამი მხარე — „რუზეკი“ (რუსეთიძ, „ნიმაზი“ (ჩრდილოეთ კორეაძ და „ჩურია“ (ჩინეთიძ.

„რუზეკი“, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს საპასუხო ძალისმიერი მოქმედება შეერთებული შტატების მხრიდან, წყნარ ოკეანეში გზავნის წყალქვეშა ნავებს. ამავე დროს, „ნიმაზი“ (**კსდრ**ძ საბრძოლველად ამზადებს თავის საკონტინენთაშორისო რაკეტებს და მტრების ჯიბრზე იწყებს მიწისქვეშა ბირთვული გამოცდისთვის მზადებას. თავისი სტრატეგიული ძალებით განგაშს „ჩურიაც“ აცხადებს. ნატოს სამშვიდობო წინადადებებს, რა თქმა უნდა, უარყოფენ ბოროტი რუსები, და სახელმწიფო დეპარტამენტიც იძულებული ხდება გამოიხმოს ამერიკის ელჩი რუსეთიდან „კონსულტაციისთვის“. თეთრი სახლის მეთაური მიმართავს ერს. როცა შეიტყობს ყოველივე ამის შესახებ, ბოროტი რუსეთი კიდევ უფრო გაბოროტდება, ჰაერში აუშვებს ტუ-95 ტიპის რვა სტრატეგიულ ბომბდამშენს, რომლებიც აღჭურვილნი არიან უბირთვო ფრთოსანი რაკეტებით. მათ უნდა ჩაახშონ ამერიკელთა საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემები და ამიტომაც, ამერიკის ტერიტორიას დაუშენენ ოთხ ბირთვულ ბალისტიკურ რაკეტას.

გარდა ამისა, კიდევ სამი ტუ-95 ტიპის ბომბდამშენი ჩვეულებრივ რაკეტებს ჩამოყრის ალიასკის შტატის „იელსენის“ სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაში, აგრეთვე კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბბინაში და კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების „ქოლდ ლეიკის“ ბაზაში. მაგრამ აქ ორი რუსული ბალისტიკური რაკეტა არ ამოქმედდება, ორი დანარჩენი კი დააზიანებს ბუნკერებს, რომლებშიც განლაგებულია ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის გაერთიანებული სარდლობა. სცენარით გათვალისწინებულია ასევე, რომ რუსეთის მიერ დარტყმების მიყენების პარალელურად, პენტაგონში ფეთქდება დაუდგენელი ტერორისტების მიერ დადებული ბირთვული მუხტი, რომლის სიმძლავრე ერთი კილოტონაა. ჩრდილოეთ კორეა კი, უშვებს ორ ბალისტიკურ რაკეტას შეერთებული შტატების ტერიტორიის მიმართულებით. ამის პასუხად შეერთებული შტატები ორ ბალისტიკურ ბირთვულ რაკეტას დაუშენს რუსეთს.

ამით რაკეტების დაშენა წყდება. ყოველ შემთხვევაში, ასე აქვთ ჩაფიქრებული ოკეანესგაღმელ სამხედრო სტრატეგებს.

### ჩვენი კომენტარი

*თითქოსდა საიდუმლოდ ამერიკული გეგმის გამოჩენას ასეთი სოლიდური გაზეთის ფურცლებზე ერთბაშად რამდენიმე მიზანი აქვს: დააშინოს ირანი და ჩრდილოეთ კორეა და მოსინჯოს რუსეთის და ჩინეთის პოზიციები. ამიტომ, ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩაფიქრებულ ამ წვრთნას მე ვუწოდებდი არა ბირთვულ-სარაკეტოს, არამედ უფრო პროპაგანდისტულს. თანაც, პროფესიული თვალსაზრისით — ძალზე უხეშად შედგენილს. პენტაგონის სერიოზული (ნამდვილიძ გეგმები არასდროს არ ქვეყნდება „ვაშინგტონ პოსტში“ ტელეპროგრამების ან ჩისბურგერის რეკლამის გვერდით. ეს გეგმები დაცულია ჯავშნიან სეიფებში და მათ აქვთ კონფიდენციალურობის უმაღლესი გრიფი.*

**ვიქტორ ბარანეცი**




# ყოველგვარი იარაღის გარეშე

**ავსტრალიის პოლიციაში მსახურობს რამდენიმე აბორიგენისგან, ძირძველი ავსტრალიელების შთამომავლებისგან შემდგარი რაზმი, რომლის წევრებს „შავ მეკვლეებს“ უწოდებენ. საგულისხმოა, რომ შავი მეკვლეები იარაღს არასოდეს ატარებენ, მაშინაც კი, როცა შეიარაღებულ ბოროტმოქმედს მისდევენ. მათ თან მხოლოდ ხელბორკილები დააქვთ, რომელსაც ბოროტმოქმედს... ძილში ადებენ. ამიტომ, ავსტრალიის უკიდეგანო ტრამალებში მრავალდღიანი დევნის დროს, შავი მეკვლე ბოროტმოქმედს არასოდეს უახლოვდება — იგი მას შორიდან უთვალთვალებს, ვიდრე დამნაშავეს ძილი არ მოერევა, ზოგჯერ დევნა თვეების მანძილზე გრძელდება, გამძლეობათა შეჯიბრი უსაზღვროდ იჭიმება.**

შავ მეკვლეთა გამოყენება ავსტრალიის პოლიციამ ლამის საუკუნენახევრის წინათ დაიწყო, მაგრამ მაშინ მათ იშვიათად იხმობდნენ, მათი პოლიციაში მუდმივი მუშაობა 1867 წლიდან, ეგრეთ წოდებული „გრიფინის აფიორის“ შემდეგ დაიწყო.

ამ ამბის არსი მეტად საგულისხმოა. მდინარე მაკენზის ნაპირზე იპოვეს ორი მოკლული პოლიციელის ცხედარი. მკვლელმა მათგან 10 ათასი ავსტრალიური ოქროს გირვანქა სტერლინგი წაიღო, რომელიც მათ კლერმონის შარხტის მუშებისთვის ხელფასის სახით დასარიგებლად მიჰქონდათ. გამოძიებას პოლიციის ერთ-ერთი გამოცდილი თანამშრომელი გრიფინი უძღვებოდა. სწორედ მის რაზმში იყო 19 წლის მეკვლეაბორიგენი. შემთხვევის ადგილზე მისულმა ჭაბუკმა დაკვირვებით დაათვალიერა მოკლული პოლიციელების ცხედრების გარშემო დარჩენილი ნაკვალევი, მერე უცბად გახედა თავის შეფს, თითი გაიშვირა და თქვა: „შენმა მოკლა ისინი, ინსპექტორო!“

ჯვარედინა დაკითხვის ქარცეცხლში გამოტარებულმა გრიფინმა აღიარა, რომ თავისი ხელქვეითები მოკლა იმიტომ, რომ „სინდისის ველები“ გაესტუმრებინა...

გრიფინი ერთი თვის შემდეგ ჩამოახრჩეს, შავი მეკვლეები კი დღემდე ავსტრალიის პოლიციაში მსახურობენ.



◎ თავაწეულად

# „ფიროსმანის მაგიდასთან“

**„ძმებო, შემოვუსხდეთ მაგიდას, ვსვათ ჩაი და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე“, – ეს სურვილი გამოუთქვამს ერთხელ ფიროსმანს მხატვართა საზოგადოებაში. რას იფიქრებდა ნიკალა, რომ ოთხმოცდაათი წლის შემდეგ ამ იდეის გარშემო გაერთიანდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები, მისი ხელოვნების დამფასებლები და პატივისმცემლები და საფუძველს ჩაუყრიდნენ საუბრებს „ფიროსმანის მაგიდასთან“ სახელწოდებით „შეხვედრა ფიროსმანთან“.**

თანამედროვე გერმანელი მწერალი უვე კოლბე წერს: „საქართველოში, მირზაანში ერთ სახლში დიდი მაგიდა დგას სტუმრების მოლოდინში. ზედ სამოვარი დგას, დოქებიცაა და ფიალებიც, თეფშებიც აქაა, ოღონდ არც არავინ ჭამს და არც ვინმე სვამს. მაგიდა დაობლებულა.

იდეა, ასეთი მაგიდის დადგმისა, ეკუთვნის ნიკო ფიროსმანაშვილს, ფიროსმანად ცნობილს. ინტერნეტი შეარცხვენს მას, ვისაც მისი სახელი ჯერაც არ სმენია. მარტო გუგლში ეს სახელი 7900-ჯერ არის ნახსენები.

ასე ობლად აღარ უნდა იდგეს ეს მაგიდა. ჩვენი წინადადება უბრალო და ადვილად გასაგებია: ყოველ წელს დავპატიჟოთ ქართველი ხელოვანნი და უცხოელი. სტუმრები – მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები, მიაგონ პატივი ფიროსმანს გამოფენით, მერე შემოუსხდნენ მაგიდას, როგორც ეს ფიროსმანის სურვილი იყო, დალიონ ჩაი ან ღვინო, ისაუბრონ ხელოვნებაზე, იმღერონ და თქვან ლექსები, გაიცნონ ერთმანეთი, მოგიწოდებთ, მივუზღავთ მაგიდას ის, რაც მას ეკუთვნის, რისთვისაც გაკეთდა და დაიდგა“.

დიახ, ეს იდეა გერმანიაში დაიბადა და საფუძვლად დაედო პროექტს, რომლის ორგანიზატორია საქართველო-გერმანიის საზოგადოება, პროექტის ავტორები და ხელმძღვანელები არიან გერმანელი მოქანდაკე **ჰანს შაიბი** და ქართველი მხატვარი **გოჩა ღულელაური,** მთავარი კოორდინატორი, ცნობილი მხატვარი **თენგიზ მირზაშვილი.**

**– ეს არ არის სპონტანურად მოფიქრებული პროექტი, იგი ორი წელი მზადდებოდა, საგულისხმო ის არის, რომ უცხოელებმა ისეთი ინტერესი გამოიჩინეს, რომ საქართველოში საკუთარი ხარჯით ჩამოდიან,** – ამბობს გოჩა ღულელაური.

პროექტში მონაწილეობისათვის მოწვეულია 40 ხელოვანი გერმანიიდან, იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან... ესენი არიან არა მხოლოდ მხატვრები და მოქანდაკეები, არამედ ფოტოგრაფები, გალერისტები, მწერლები, რეჟისორები, მეწარმეები და უბრალოდ ფიროსმანის ხელოვნების თაყვანისმცემლები. საქართველოში მათ შეხვდებიან ქართველი ხელოვანები. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ფიროსმანის შემოქმედების პოპულარიზაციას საქართველოს ფარგლებს გარეთ, დიალოგს ქართველ და უცხოელ ხელოვანთა შორის, ქართული კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების ინტეგრაციას მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში.



ამ მიზნით საორგანიზაციო ჯგუფმა პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობითა და თანადგომით შეიმუშავა ფართო და მრავალფეროვანი პროგრამა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია მირზაანში ფიროსმანობის დღესასწაულზე ფიროსმანის უნივერსალური იდეის განხორციელება, „ფიროსმანის მაგიდის“ მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა-აქცია. ფიროსმანის სამშობლოს გაცნობის მიზნით, უცხოელი ხელოვანებისათვის დაგეგმილია ექსკურსია-მარშრუტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იგი მოიცავს მცხეთას, ყვარელს, წინანდალს, თელავს, სიღნაღს, გორს, ყაზბეგს, მათ შემოგარენში არსებული კულტურული კერების მონახულებით.

პროექტი გაგრძელდება გოეთეს ინსტიტუტში, სადაც გაიმართება ლიტერატურული შეხვედრები და კლასიკური მუსიკის საღამოები. კერძოდ, ლიტერატურულ საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი მწერლები უვე კოლბე, მიჩ კოჰენი და კატია ლანგე მიულერი, მუსიკოსი ეკარდ კოლტერმანი.

დასკვნითი ეტაპი გაიმართება თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ ექსპოზიციით, „ფიროსმანი+თანამედროვე ხელოვნება“. ეს გამოფენა მოიცავს როგორც ფიროსმანის ორიგინალების (კერძო კოლექციებში დაცული ნამუშევრებისძ, ასევე პროექტში მონაწილე უცხოელი და ქართველ ხელოვანების ნამუშევრებს, რომელთა შთაგონების წყაროა ნიკალა.

პროექტის ფარგლებში ჰამბურგის დოკუმენტური ფილმების სააგენტო „ჰაიდემედია“ გადაიღებს 60-წუთიან დოკუმენტურ ფილმს ფიროსმანის, საქართველოს, ქართული ღვინისა და აღნიშნული პროექტის შესახებ. ამისათვის თბილისში ჩამოდიან ამ სააგენტოს პროდიუსერები და ოპერატორები. „ჰაიდემედია“ ფილმის ჩვენებისათვის უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებთან.

**– ისეთი მონდომება და მხარდაჭერა, როგორც უცხოელებმა გამოიჩინეს, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან მაინცდამაინც არ ჩანს, მატერიალურს ვგულისხმობ. ნაწილობრივ გვეხმარება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. იდეა კარგია და ვნახოთ, როგორ განხორციელდება. ვფიქრობთ, ასეთი შეხვედრები ტრადიციად ვაქციოთ და ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს,** – ამბობს პროექტის მთავარი კოორდინატორი **თენგიზ მირზაშვილი.**

მაშასადამე, შეხვედრა ფიროსმანთან და საუბრები „ფიროსმანის მაგიდასთან“ 18 ოქტომბერს იწყება და გაგრძელდება 27 ოქტომბრამდე.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**




◎ სასამართლო

# რესტორანში გადახდილი იუბილე მკვლელობით დასრულდა

**ახლახან თბილისის საქალაქო სასამართლომ 18 წლის ახალგაზრდებს განაჩენი გამოუტანა. 20 წლის არჩილ რუხაძის მკვლელობისთვის მათგან ერთ-ერთს 13 წლით პატიმრობა შეუფარდა. ასეთი მძიმე შედეგი კი სულ უბრალო მიზეზს მოჰყვა.**

2005 წლის 28 მაისს სალომე ბიწაძეს მშობლებმა დაბადების დღე თბილისში, რესტორან „კრწანისში“ გადაუხადეს. სუფრაზე მიწვეული ჰყავდათ მეზობლები და შვილის მეგობრები, მათ შორის დავით იაკობაშვილი და ბესიკ აბესაძე.

იმავე დარბაზში მათი მაგიდის პარალელურად სკოლის დამთავრების 5 წლისთავს არჩილ რუხაძე და მისი თანაკლასელები აღნიშნავდნენ. ისინი უკვე დაშლას აპირებდნენ, როცა მათთან მოპირდაპირე მაგიდიდან გამოძიებით დაუდგენელი ჭაღარა მამაკაცი მოვიდა და უხეში ფორმით არჩილ რუხაძის თანაკლასელ თინათინ იაშვილთან ცეკვა მოინდომა. უარის მიღების შემდეგ ასევე სუფრის თამადასთან გიორგი მალაზონიასთან შეკამათდა, რომელიც გოგონას გამოექომაგა. შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა.



მიუხედავად იმისა, რომ რესტორნის დაცვის თანამშრომლები მათ დაშოშმინებას შეეცადნენ და ხსენებული მამაკაცი თავის სუფრასთან დააბრუნეს, სიტუაცია მაინც არ განიმუხტა, რადგან ამ დროს თინათინ ბიწაძის სუფრის წევრები ლევან დეისაძე და გელა ფიჩხაია ესაუბრებოდნენ, შორიახლოს მყოფმა დეისაძის მამამ და ბიძამ კი იფიქრეს ლევანს ეჩხუბებიანო. არც უფიქრიათ, ჩხუბში ისე ჩაერთნენ. მათ ბიწაძის სუფრის დანარჩენი წევრებიც მოჰყვნენ, რომელთა შორის ბესიკ აბესაძეც იმყოფებოდა. საჩხუბრად წამოსულებს წინ არჩილ რუხაძე გადაუდგათ. მან იცოდა, რომ სინამდვილეში კამათი უცნობ ჭაღარა მამაკაცსა და გიორგი მალაზონიას ჰქონდათ და სთხოვათ არ ჩარეულიყვნენ. თუმცა არავინ მოუსმინა და ამისათვის ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.

ამ დროს დავით იაკობაშვილი აბესაძის შეყვარებულს ეცეკვებოდა. მან ცეკვა მიატოვა და მეგობრის აბესაძის დაცვა გადაწყვიტა. რუხაძეს, რომელიც ხალხის დაშოშმინებას ცდილობდა, დანა რამდენჯერმე დაარტყა. მკერდში დაჭრილი არჩილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

დავით იაკობაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განმარტა, რომ: მას არც ხულიგნობა და არც მკვლელობა არ ჩაუდენია. ცეკვის დროს ხმაური მოესმა, რა დროსაც მათ სუფრას ვიღაცამ სკამი ესროლა. მან სკამის მსროლელის ვინაობის გარკვევა მოინდომა, თუმცა ის სალომემ და თაკომ დასამშვიდებლად აივანზე გაიყვანეს. ჩხუბი ისე ჩამთავრდა, მონაწილეობა არ მიუღია. როცა დარბაზში შებრუნდა, იქ თითქმის უკვე აღარავინ იყო. სალომეს დედამ გარეთ, რესტორნის წინ გაიყვანა. მალე ბესიკ აბესაძეს შეხვდა და სალომეს ბინაში წავიდნენ. გვიან ღამით გოგონას მშობლებმა ის სახლში წაიყვანეს. რუხაძის დაჭრა და გარდაცვალება მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო.

ხულიგნობისთვის დაკავებულმა ბესიკ აბესაძემ, კი, რომელიც თავს, ასევე, უდანაშაულოდ მიიჩნევს, სასამართლოს შემდეგი ჩვენება მისცა: ჩხუბს თვალს შორიდან ვადევნებდი, თუმცა ხალხის დინებამ იძულებით გასასვლელი კარისკენ წამიყვანა. ჩხუბი რესტორნის გარეთაც გაგრძელდა, რაშიც არც მე და არც იაკობაშვილს მონაწილეობა არ მიგვიღია, პირიქით, ერთ-ერთ მოჩხუბართაგანი ბასრპირიანი საგნით დამემუქრა, რის გამოც რესტორნიდან შემხვედრი ავტომანქანით წავედი და სამასი არაგველის მემორიალთან, სატელეფონო საუბრის შემდეგ იაკობაშვილს შევხვდიო...

მათგან განსხვავებული ჩვენება მისცა სალომე ბიწაძის დადამ ეთერ კორკოტაძემ. ეზოში ბორდიურზე დაჭრილი არჩილ რუხაძე დავინახე, მის შორიახლოს კი იაკობაშვილი, რომელსაც ხელში დანა ეჭირაო.

სხვა მოწმეთა მსგავსი ჩვენებებით და საქმეში არსებული მტკიცებულებებით, სასამართლომ დავით იაკობაშვილი მკვლელობაში დაადანაშაულა და 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ბესიკ აბესაძეს კი 5-წლიანი პატიმრობა. ის ნახევარს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარებს, ნახევარს კი პირობითი მსჯავრით.

უცნობი, „ალტკინებული“ ჭაღარა კაცი კი, რომლის ცეკვის სურვილმა ამხელა აურზაური და ასეთი მძიმე შედეგი გამოიწვია, საზოგადოებისთვის „ინკოგნიტოდ“ დარჩა და პოლიცია, როგორც ჩანს, მისი პიროვნების დადგენას არც ცდილობს.

**ლელა მანაველიშვილი**

სტუმარი

## იგი აღტაცებული დაგვემშვიდობა

(პირველი გვერდიდან)

32-წლიანმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ კარგად მასწავლა, რა არის ნაღდი ჟურნალისტიკა და რა – იდეალებისთვის ბრძოლა (ცნობისათვის: სენიორ მერლო მთელი ამ ხნის განმავლობაში უაღრესად პოპულარულ „გაძეტა დელო სპორტში“ მძლეოსნობასა და ზამთრის სახეობებს აშუქებდა. იგი 17 ოლიმპიადასა და 60 მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე იყო აკრედიტებული). ამიტომ სრული უფლება მაქვს, მოგმართოთ – იამაყეთ იმით, რომ სპორტული ჟურნალისტები ბრძანდებით.

თბილისში გამართული შეხვედრებისას, იდეის დონეზე, რამდენიმე პერსპექტიული საკითხიც დაისვა.



კერძოდ, სეოკ-ის ხელმძღვანელ ბადრი პატარკაციშვილთან საუბრის დროს გამოითქვა მოსაზრება, გაისად საქართველომ აიპსი-ს აღმასკომის სხდომას, ხოლო 2009 წელს – ამავე ორგანიზაციის კონგრესს უმასპინძლოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აიპსი 150 სახელმწიფოს აერთიანებს და ანალოგიურ ფორუმებს მინიმუმ 100 ქვეყნის წარგზავნილები ესწრებიან, თვალნათელია, რამხელა პროპაგანდა გაეწევა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს კავკასიის რეგიონს.

ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე გვერდს ვერც უკანასკნელ პერიოდში გართულებულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ავუვლით. – არანაირი გამართლება არა აქვს რუსული პოლიტიკის მცდელობას, წინაღობები შეუქმნას სპორტს. მე მხოლოდ იმ ფაქტს შეგახსენებთ, 1980 და 1984 წლის ოლიმპიადებს ბოიკოტი რომ გამოუცხადეს, რასაც უკუღეაქცია მოჰყვა – მას შემდეგ ოლიმპიური მოძრაობა კიდევ უფრო მომძლავრდა.

რაც შეეხება ამასწინანდელ „მუნდიალზე“ ზიდანსა და მატერაცის შორის მომხდარ ინციდენტს, აპენინელმა სტუმარმა ორიგინალური და თამამი პოზიცია გამოხატა: მიმაჩნია, რომ წითელი ბარათის მიღების შემდეგ ფრანგი ფეხბურთელი მაშინვე დოპინგზე უნდა შეემოწმებინათ – თუ გახსოვთ, იგი მთელი მატჩის განმავლობაში თავის პარტნიორებსაც კი უბღვერდა და ერთხელაც არ გაუღიმია, ასეთ აგრესიულობას კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიაში გამოგონებული ტესტოსტერონის გამოყენება იწვევდა.

იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო ცენტრის ნახვამ დამარწმუნა, რომ მთავრობის თანადგომით სპორტი თქვენთან დინამიურად ვითარდება – ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ჯანი მერლო.

ძიუდო

# სპორტიც – ანგარიშსწორების იარაღად?!

**საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთმანეთთან გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო თავიანთი სპორტსმენები მოსკოვისა (1980წ.) და ლოს-ანჯელესის (1984წ.) ოლიმპიურ თამაშებზე არ მიავლინეს, ანუ სპორტი ანგარიშსწორების იარაღად გამოიყენეს. ცხადია, პოლიტიკოსებს ამით არაფერი დაჰკლებიათ, ათლეტებმა კი იზარალეს: ოთხწლიანი მზადება წყალში ჩაეყარათ.**

მოსკოვი ისევ წინამორბედების გზას იმეორებს – ოღონდ ამჯერად მასზე ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა საქართველოს წინააღმდეგ: ჩვენს სპორტსმენებს რუსეთში არ უშვებს, თავისას კი – საქართველოში. სამბისტთა პრობლემაზე უკვე გაუწყეთ. ახლა ძიუდოისტთა ჯერი დადგა. მოგეხსენებათ, 21 ოქტომბერს თბილისში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტი ორთაბრძოლები უნდა გამართულიყო. ნახევარფინალში ჩვენი „საგარეჯო“ სანქტ-პეტერბურგის „იავარა-ნევას“ უნდა შეხვედროდა. ამ კლუბის თავკაცი კი ვლადიმერ პუტინი გახლავთ. იგი რუსეთისა და ევროპის ძიუდოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტიცაა. ორ ქვეყანას შორის გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო, ცხადია, პუტინი რუსთა გუნდის თბილისში ჩამოსვლას არაფრით დაუშვებდა და ასეც მოხდა. **ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების თხოვნით ევროპის ძიუდოს ფედერაციამ შეჯიბრება ბუდაპეშტში გადაიტანა!** ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს მარიუს ვიზერს ქართული მხარისთვის უცნობებია ეს ამბავი, თან უთხოვია, ტურნირი არ ჩაშალოთ და თქვენს ყველა ხარჯს ჩვენ ვიკისრებთო (კი მაგრამ, მორალურ ზარალს ვინ და როგორ აგვინაზღაურებს?!)



ერთი პირობა, ჩვენებსაც უნდოდათ ასპარეზობის ორგანიზატორებისა და რუსებისთვის სამაგიერო მიეზღოთ, მაგრამ ბოლოს მაინც გამგზავრება არჩიეს მხოლოდ იმ უცხოელი ძიუდოისტების ხათრით, რომლებმაც „საგარეჯოს“ შემადგენლობაში გამოსვლაზე თანხმობა განაცხადეს და ახლა ქართველებთან ერთად ბორჯომში ვარჯიშობენ. ვფიქრობ, გონივრული გადაწყვეტილებაა.

ახლა მთავარია, „საგარეჯომ“ პუტინსა და მის გუნდს ბუდაპეშტის ხალიჩაზე აუგოს წესი – დაამარცხოს „იავარა-ნევა“ (როგორც მსოფლიო თასზე ეროვნული ნაკრები „გაუფარჩაკეს“) და ფინალში გერმანელ „აბენსბერგსა“ და თურქულ „ტრაბზონ ბელედიეს“ შორის გამარჯვებულს შეხვდეს.

**ლექსო ცინცაძე**

ტყვიის სროლა

## სალუქვაძე მესამეა



**ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე ტყვიის მსროლელთა მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაში მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებას გრენადამ უმასპინძლა.**

პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ქართველმა ჩუბინმა წინასწარ ეტაპზე 585 ქულა მოაგროვა და ფინალში მეორე შედეგით შევიდა. მას ქულით მონღოლი გუნდიგმაა ოტრიადი უსწრებდა.

საბოლოოდ ნინო სალუქვაძემ 786,5 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მას 2,1 ქულით ჩინელმა ინგ ჩენმა აჯობა. მთავარი პრიზი – მსოფლიოს სუპერთასი 780,6 ქულით მონღოლ ოტრიადს ხვდა.

პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი 380 ქულით მეცხრე ადგილს დასჯერდა.

მინიფეხბურთი

## „ფსიქომ“ ყველას აჯობა



**ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ მინიფეხბურთელთა ტურნირი გაიმართა, რომელშიც სამი ვაჟთა და ერთი ქალთა გუნდი მონაწილეობდა.**

ფინალში საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გუნდმა გოგონების ნაკრებს აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. ტურნირის საუკეთესო მეკარედ მარიამ ელისაშვილი აღიარეს, საუკეთესო მცველად ვლადიმერ ძაგნიძე („ფსიქო“-ს ცნეს, ხოლო ბომბარდირისა და საუკეთესო მოთამაშის წოდებები, შესაბამისად, კახაბერ გოგელიამ და პაატა ბელთაძემ (ორივე-„გრენტა“-ს დაიმსახურეს.

**სურათზე: ფინალური შეხვედრის მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

კალათბურთი

## ყველაზე მაღალი და მძიმე



**ამერიკული VSBL ლიგის კლუბში „დოჯ სიტი ლეჯენდ“ ვარჯიში დაიწყო მსოფლიოში უმაღლესმა კალათბურთელმა. ჩინელი სუნ მინძინის სიმაღლე 236 სანტიმეტრია, წონა – 152 კგ. ეს გიგანტი ხარბინში დაიბადა, თამაშობდა ჩინეთის ჭაბუკურ ნაკრებში.**

2005 წელს სუნს უწინასწარმეტყველებდნენ ამერიკის კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში გაბრწყინებას, მაგრამ ვერც ერთმა ძლიერმა კლუბმა ვერ გარისკა მასთან კონტრაქტის გაფორმება, რადგან იცოდნენ, რომ ის დაავადებული იყო საშინელი სენით, რასაც შეიძლება, სიკვდილი გამოეწვია. ძალზე ძვირადღირებულმა, მაგრამ წარმატებულმა ოპერაციამ კალათბურთელს პრობლემები მოუხსნა. ალბათ ახლო მომავალში სუნ მინძინს კალათბურთის ვარსკვლავებში ვიხილავთ.

გამოიცა

## ბოლოსაც ჟურნალისტებმა თავი მოაბეზრეს

**მსოფლიო ბოლოს და ბოლოს შეიტყობს, თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს რა უთხრა ისეთი მარკო მატერაციმ ფრანგების კაპიტანს ზინედინ ზიდანს, რომ მისგან მკერდში თავური დარტყმა მიიღო. იტალიის ნაკრების მცველმა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ამ ფაქტის გამო შეკითხვებით თავი მოაბეზრეს, დაწერა წიგნი სახელწოდებით „სინამდვილეში რა ვუთხარი ზიდანს“.**

წიგნი გამოუშვა „მილანის“ ბოსის სილვიო ბერლუსკონის კუთვნილმა კომპანიამ. „ინტერის“ სიტყვაძვირმა მცველმა 112 გვერდი გააშანშალა, რითაც კონფლიქტის მთელი არსი გადმოსცა.



როგორც მარკომ განაცხადა, მან მწერლობა დიდების მოსახვეჭად კი არ დაიწყო (ის ისედაც არ აკლიაძ და არც გამორჩენის თვალსაზრისით (მთელი ჰონორარი საქველმოქმედოდ წავაძ. მას კალამი ჟურნალისტების დაუსრულებელმა შეკითხვებმა აალებინა. ასე რომ, ყველას ერთბაშად გასცა პასუხი.

სხვათა შორის, წიგნი თურმე 10 ევრო ღირს.

ისე, მართლაც საინტერესოა, რა წერია ამ წიგნში?

ორბიტაზე

## დღეს ბოლო პარტიაა?

**ელისტაში მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისთვის მატჩში სამშაბათ გაიმართა ბოლოსწინა, მეთერთმეტე პარტია რუსეთელ დიდოსტატ ვლადიმერ კრამნიკსა და ბულგარელ დიდოსტატ ვესელინ ტოპალოვს შორის.**

შავებით მოთამაშე რუსეთელმა შეძლო თავისი ოპონენტის შეტევების მოგერიება და კინაღამ გამარჯვებამდეც კი მივიდა. მაგრამ ცეიტნოტში ველარ გამოიყენა თავისი უპირატესობა, შემდეგ პოზიცია გათანაბრდა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ახლა ანგარიშია 5,5-5,5.



დღეს გაიმართება ბოლო, მეთორმეტე პარტია, მაგრამ ის ბოლო იქნება მაშინ, თუ ერთ-ერთი დიდოსტატი გაიმარჯვებს. ყაიმის შემთხვევაში კი დაინიშნება დამატებითი პარტიები დროის შემოკლებული კონტროლით.

„საუკუნის მატჩის“ საპრიზო ფონდი მილიონი დოლარია. რეგლამენტის თანახმად ორივე მოჭადრაკე თანაბრად გაინაწილებს ამ თანხას.

## პირველზევე იპირველა

**მძლეოსნობის ისტორიაში პირველმა მსოფლიო ჩემპიონატმა გზატკეცილზე სირბილში დიდი სიხარული მოუტანა ყოფილ კენიელს, ამჟამად კი ჰოლანდიის მოქალაქეს ლორა კიპლაგატს. 20-კილომეტრიან დისტანციაზე სპორტსმენი ქალის მძლავრმა ფინიშმა, მას ჩემპიონობაც და მსოფლიო რეკორდიც მოუტანა – 1:03.21. კიპლაგატმა ორი წამით გადაასწრო ნახევარმარათონში ინგლისელ მორბენლის პაულა რედკლიფის შარშანდელ მსოფლიო რეკორდს – 1.03.26.**

თავად 32 წლის პაულა რედკლიფი, რომელიც ფეხმძიმედაა, ამ დროს მონაწილეობდა ლონდონის ჰაიდ-პარკში მოწყობილ საერთაშორისო გარბენში და თავისუფლად გაიმარჯვა 10 კილომეტრზე სირბილში. ის 2007 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლასაც აპირებს იაპონიაში, ოსაკაში.

## „კიჭა“ ისევ გაბედნიერა

**მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ მონაწილეობა მიიღო ესპანურ ტელევიზიაში პოპულარულ ტელეპროგრამაში. სადაც მან განაცხადა, რომ განაახლა რომანი ცნობილ მოდელ რაიკა ოლივეირასთან.**

განხეთქილების შემდეგ, ის კი რაიკას ინიციატივით მოხდა, ქალიშვილმა ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა მექალთანე ფეხბურთელს განშორების არგუმენტები. როგორც ამბობენ, ამის შემდეგ რონალდო შოკში იყო. ადრე თუ თავად იცვლიდა ქალებს, ახლა თვითონ აღმოჩნდა მიტოვებულის როლში. „კიჭა“ ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ვიდრე ფეხბურთელმა არ დაუჩოქა, ლამაზმანი არ გატყდა.

ახლა რონალდო ისევ ბედნიერია და ამბობს, სეზონში სულ ცოტა, 30 გოლი მაინც უნდა გავიტანოო. თუმცა „გვერდზე ყურება“ უნდა მოიშალოს.



*სანამ სტოკჰოლმში აცხადებდნენ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს — ნობელის პრემიის ლაურეატებს, ჰარვარდის უნივერსიტეტი ზედიზედ მეთექვსმეტედ ანიჭებდა ალტერნატიულ ფსევდო-ნობელის პრემიებს ignobel.*

*ეს პრემია ენიჭება არასერიოზული საკითხების სერიოზული გამოკვლევებისათვის, მით უმეტეს, რომ ნაშრომები, ანტინობელის პრემია რომ მიენიჭათ, გამოქვეყნებულია სერიოზულ სამეცნიერო და სამედიცინო ჟურნალებში. ავტორები როდი მოელიან მსოფლიო სამეცნიერო წრეებში აღიარებას და თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას — პრემიაზე ფულს არ აძლევენ.*

# ფსევდო-ნობელები

წლევანდელ ლაურეატებს შორის არის ორი ამერიკელი მეცნიერი-ორნიტოლოგი გამოკვლევისთვის „რატომ არ სტკივა თავი კოდალას?“

პრემია ბიოლოგიაში მიაკუთვნეს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფს მალარიის დედალი კოლოების საგემოვნებო გატაცების თაობაზე. როგორც აღმოჩნდა, მათ განსაკუთრებით უყვართ ადამიანის ფეხები და ლიმბურგიის ყველი.

დიეტოლოგიის დარგში პრემია დაიმსახურა გამოკვლევამ ნეხვის ხოჭოების კვებაზე. მათემატიკაში პრემია გადაეცათ ავსტრალიელ მეცნიერებს, რომლებმაც ამოხსნეს ამოცანა ადამიანთა ჯგუფების სურათების მინიმალურ რიცხვზე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სურათზე არავინ ახამხამებდეს თვალებს.

სლოკინის მოყვარულებს გაახარებს პრემია მედიცინაში, რაც მიენიჭა ამ უსიამოვნო მდგომარეობასთან ბრძოლის ახალი საშუალების აღმოჩენისთვის — თურმე სლოკინის შეჩერება შეიძლება სწორი ნაწლავის მასაჟით.



გაღიზიანებთ ფრჩხილების ფხაჭუნი სკოლის დაფაზე? — პრემია აკუსტიკაში მიენიჭათ ამ კითხვაზე პასუხისთვის — რატომ ხდება ეს.

წლის მთავარი ჯილდო „მშვიდობის ანტი-ნობელის პრემია“ მიენიჭა მოზარდების აკუსტიკური მაფრთხობელას გამოგონებისთვის. გამოგონების ავტორმა შექმნა მოწყობილობა, რომლის გამოცემული ხმები ესმით მხოლოდ მოზარდებს და არა მოზრდილებს. აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა ნათელია — მობილური ტელეფონების ზარი ესმით მხოლოდ მოსწავლეებს, მაგრამ — არა მასწავლებლებს.

*ბრიტანელი სამხედრო მეცნიერები მუშაობენ ახალი ჯაშუშური იარაღის — ბუზი-რობოტის შექმნაზე. მას შეეძლება მტრის პოზიციების დათვალიერება, ტერორისტების ან სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ძებნა, — წერს The Scotsman.*

# ბუზი — ტერორისტებთან მებრძოლი



პროექტის ხელმძღვანელი დოქტორი რაფალ ზბიკოვსკი ამბობს, რომ პირველი ბუზი-რობოტები მისი ლაბორატორიის თავზე აბზუილდებიან უახლოეს 10 წელიწადში. მან უკვე გააკეთა საცდელი ნიმუში, რომელსაც ჯერ ფრენა არ შეუძლია, მაგრამ უკვე წარმატებით იქნევს ფრთებს.

დოქტორ ზბიკოვსკის თქმით, უპილოტო ნამცეცა მწერებს შეუძლიათ მუშაობა შემოსაზღვრულ ან ჩახერგილ სივრცეებში, შენობებში, კიბის უჯრედებზე, გვირაბებსა და მღვიმეებში. მათ შეუძლიათ, აღმოაჩინონ ტერორისტთა ადგილსამყოფელი ან მიაგნონ მიწისძვრის ან სხვა სტიქიური უბედურების მსხვერპლთ.

ამერიკელ სამხედროებს, რომლებიც ნაწილობრივ აფინანსებენ პროექტს, იმედი აქვთ, რომ ბუზი-რობოტების დახმარებით შეიძლება მცირე ოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერებების გადატანაც. ასეთი მწერები იქნებოდა ყველაზე „ჭკვიანი“ იარაღი, რომელსაც შეეძლება განსაზღვრული მიზნის განადგურება, მაგალითად, კომპიუტერის, ახლომდებარე ტერიტორიების დაბომბვის გარეშე.

მოწყობილობა, როგორც ფიქრობენ, იმუშავებს ელექტრობით და მნიშვნელოვანწილად იმოქმედებს ავტონომიურად. ეს საშუალებას მისცემს ბუზი-რობოტების მთელ გუნდს, შეუმჩნევლად იმუშაოს შემოსაზღვრულ სივრცეში.

# რამდენიმე მითი საყვარელ შინაურ ცხოველთა შესახებ

*ჩვენს დამოკიდებულებებში შინაურ ძაღლებსა და კატებთან ხშირად ვხელმძღვანელობთ ცნობიერებაში ფესვგადგმული მითებით.*

*გავეცნოთ რამდენიმე მცდარ შეხედულებას საყვარელ ოთხფეხებზე.*



## 1. ძაღლი და კატა — მტრები

**ძირშივე არ არის სწორი ანდაზური თქმა „გადაკიდებული არიან კატა-ძაღლივითო“.** როცა ისინი ერთ ოჯახში ცხოვრობენ, სამტრო არცრა აქვთ. საერთოდ, ძაღლებისათვის ოჯახი ხროვაა, სადაც ერთ ტერიტორიაზე ყველა წევრი ერთმანეთთან შეჩვეულია. ეზოში ქოფაკს შეუძლია უცხო კატებისთვის გამონთება, მაგრამ თავისას არც თვითონ დაჩაგრავს და არც სხვას დააჩაგვრინებს.

## 2. ძაღლის ბეწვი — ავადმყოფობებისგან დაცვის პანაცეა

**სინამდვილეში ცუგრიებისა და ფინიების ბალნის სამკურნალო თვისებები გვარიანად გაბერილია.** შეუძლია თუ არა „ძაღლის განაკრეჭისაგან“ გაკეთებულ სარტყელს რადიკულიტის ტკივილების დაამება? უთუოდ, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბეწვისაგან — გინდაც აქლემისა. რადიკულიტის დროს საერთოდ, სასარგებლოა სითბური პროცედურები, ოღონდ ეს სასწაულმოქმედი საშუალება როდია!

## 3. ალერგიის გამომწვევენი?

**დიდბრიტანელმა სწავლულებმა, როგორც იქნა, მოუხსნეს შინაურ ცხოველებს ეს ცოდვა.** სახლში კატის ან ძაღლის ყოლა თურმე კი არ ზრდის ბავშვში ალერგიულ დაავადებათა გამოჩენის რისკს, არამედ ამცირებს. სხვა საქმეა, როცა ალერგია კაცს უკვე სჭირს — მაშინ არ უნდა მოიშინაუროს ცხოველი.

## 4. კატა თუ ფეხზე გეხახუნება, სიყვარულს გამოხატავს

**არაფერი შეგეშალოთ! რა თქმა უნდა, ფისუნიას ეგებ უზომოდ უყვარდეთ კიდევაც, ოღონდ ხახუნით ის მხოლოდ უცხო სუნს იცილებს.** კატას თვალსა და ყურს შორის, აგრეთვე კუდქვეშ სუნოვანი ჯირკვლები აქვს — სწორედ იმათი საშუალებით ცდილობს თქვენი კიდურის დამუშავებას.

## 5. ძაღლის ნერწყვი სამკურნალოა

**კი, იმას აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, სხვანაირად ხომ გუბიდან დარწყულებული ძაღლი ფეხებს გაფშეკდა. ამბობენ, თითქოს ძველად, საველე პირობებში, წამლების უქონლობისას ექიმები ძაღლებს მეომართა ჭრილობების ლოკვას „ავალებდნენ“.**



და მაინც, თქვენს ჭრილობას ნუ აალოკვინებთ ნაგაზს. განაკაწრი თუ სიდამწვრე, ანტისეპტიკური საშუალებით დამუშავებული, ორჯერ უფრო სწრაფად მოშუშდება.

# თუ ღორმუცელობა გჭირს!

## საჭმელი — ტვინის ნარკოტიკი?

**სიმსუქნით დაავადებულები ისე „ჯდებიან“ საჭმელზე, როგორც ნარკომანები — ნარკოტიკებზე, — ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. სწორედ ახალი გამოკვლევების წყალობით გაჩნდა ადამიანის ღორმუცელობის ახსნაც.**

იმის დასტური, რომ ზედმეტწონიანი ადამიანები „ჭამომანები“ არიან, მიიღეს შვიდი მსუქანი ადამიანის თავის ტვინის სკანირებით. ექსპერიმენტის დროს იყენებდნენ სპეციალურ ელექტრონულ მოწყობილობებს, რაც გამოსაცდელებს უქმნიდა მაძღრობის გრძნობას, აიძულებდა მათ კუჭს, დაჭიმულიყო, — იტყობინება New Scientist.

„გასტროსტიმულატორების“ იმპლატირება ახდენდა იმ ცთომილი ნერვის (ანუ ფილტვ-კუჭის ნერვისძ სუსტ ელექტრონულ გაღიზიანებას, რომელიც კუჭს ტვინთან აკავშირებს. ხელსაწყოს ჩართვის შემდეგ ცთომილი ნერვის სტიმულაცია იწევს კუჭის გაფართოებას და პეპტიდების გამომუშავებას, რომლებიც აწვდიან ტვინს „გამაძღრობის“ სიგნალს.



„როდესაც საკვების ინგრედიენტები ეხებიან კუჭის კედლებს, ტვინში შედის სიგნალი „კიდევ ჭამე“ ან „ნაკლებ ჭამე“, — გვიამბობს ნიუ-ორკის შტატის ქალაქ აპტონის ბრუკჰევენის ეროვნული ლაბორატორიის თანამშრომელი ჟან-ჟაკ უონგი.

„ჩვენ კი გვინდოდა, გამოგვერკვია, თუ ტვინის რომელ ნაწილში მიდიოდა სიგნალი, — აცხადებს უონგი. ისა და მისი კოლეგები იყენებდნენ რადიოაქტიურ შაქარს, რითაც აკვირდებოდნენ რა ტვინში შაქრის მეტაბოლიზმს, სკანერის დახმარებით უნდოდათ, მიეკვლიათ თუ ტვინის რომელი ნაწილი გააქტიურდებოდა.

ადრე ცნობილი იყო, რომ „შიმშილის ცენტრი“ ტვინში იყო ჰიპოტალამუსი, თუმცა ექსპერიმენტის შედეგებმა გააოცა მკვლევარები.

სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ გასტროსტიმულატორების ჩართვისას გააქტიურდებოდა ხოლმე ტვინის ის ნაწილი, რომელსაც ჰქვია „ამონის რქა“ ან კიდევ „ზღვის ცხენის ხვეული“.

„ეს უბანი დაკავშირებულია მეხსიერებასთან და ანაზღაურების სისტემასთან. გააქტიურებული უბანი სწორედ ის იყო, რაც უაქტიურდებათ ნარკომანებს. ეს დაახლოებით ისაა, რაც აპროვოცირებს კოკაინისკენ სწრაფვას“, — ამბობს უონგი. ამრიგად, ღებულობს რა „მაძღრობის“ სიგნალს, ადამიანის ტვინი კიდევ მოითხოვს საკვებს.

ამერიკელების აღმოჩენა იძლევა იმის ახსნის საშუალებას, თუ რატომ ჭირს სიმსუქნისაგან თავის დახსნა. „ახლა ჩვენ ვიცით, რომ ჭამის გადაწყვეტილება გულისხმობს ემოციებისა და კონგიტიური სისტემის (ადამიანის გონებისძ მონაწილეობას. ეს გამოკვლევა გვიჩვენებს, თუ ტვინი როგორ ცდილობს სხეულის მანიპულირებას და არა პირიქით“, — ასკვნიან სწავლულები.

თუმცა კუჭი იძლევა „მაძღრობის“ სიგნალს, მსუქნობის მიდრეკილების ადამიანს უჭირს დიეტის დაცვა, ვინაიდან მას არ შეუძლია შემდეგი „დოზისკენ“ სწრაფვის მოთოკვა. ასეთი ადამიანები შიმშილის გრძნობას განიცდიან მაშინაც კი, როცა იმდენი საჭმელი მიირთვეს, რაც სრულიად საკმარისია ჯანმრთელი ადამიანისათვის.

ყოველ შემთხვევაში, გამოკვლევები უნდა გაგრძელდეს, რათა შეისწავლონ ტვინის სხვა უბნები, არადა, გასუქების საწინააღმდეგო უნივერსალურ საშუალებას ისე ვერ მიაგნებენ.

## ◉ ელამი სარკე

# პატარა თვალთმაქცი

**ახალგაზრდა ჟურნალისტი წინა დღითვე დაუკავშირდა პარლამენტარს და ქვეყნის მტკივნეულ პრობლემებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა სთხოვა.**

— კი ბატონო, შინ დაგელოდებით, — იყო მოკლე პასუხი.

— კარი ქერა მოსამსახურე ქალმა გაუღო. მაკა უმალ მოიხიბლა გრძელყურა პუდელით, რომელიც კართან შეეგება და ჟურნალისტი პატრონს კუდის ქიცინით წარუდგინა.

— ნურაფრისა მოგერიდებათ, თავი შინაურულად იგრძენით, — თქვა სავარძელში მოკალათებულმა დეპუტატმა და სტუმარს ცალყბად გაუღიმა.

— დიდხანს არ გაგაცდენთ, ბატონო გოგა, სულ რამდენიმე კითხვით შემოვიფარგლები, — მოიკატუნა თავი ჟურნალისტმა.

— არსად არ მეჩქარება, ვისაუბროთ რამდენიც გნებავთ, — თავაზიანად მიუგო მასპინძელმა.

— ალბათ, მოისმინეთ ჟირინოვსკის განცხადება: რაც იყო, იყო, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. დადგა დრო, როცა საბოლოოდ უნდა გავიყაროთო. თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის, — თქვა რუსმა ლიბერალ-დემოკრატმა. ამასთან დაკავშირებით როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

— ოღონდ რუსეთი საქართველოს საქმეებში ცხვირს ნუღარ ჩაყოფს და მერწმუნეთ, ყველაფერი ჩახოხბილივით იქნება, —თქვა პარლამენტარმა და მოულოდნელად დაამცხიკვა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა დეპუტატმა, — ცხვირიც კი დამეთანხმა.

— შესაშურია, ბატონო გოგა, თქვენი ცხვირის ოპერატიულობა, ამ ფაქტს ინტერვიუში უეჭველად მოვიხსენიებ.

— ოჰ, არა, არა, არ გინდათ, ჩათვალეთ, რომ არ დამიმცხიკვებია.

— რატომ, ბატონო, ეს ბუნებრივად მოხდა, დაკვეთით ხომ არ გაგიკეთებიათ.

— მართალია, მაგრამ ოპონენტების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, იტყვიან — ტვინი არა აქვს და ცხვირით აზროვნებსო.

— კარგით, ცხვირს თავი დავანებოთ, თქვენი აზრით, რუსები სამხედრო ბაზებს მართლა დათქმულ დროზე ადრე გაიყვანენ?

— გააჩნია გაბრაზების მდგრადობის ხარისხს. თუ წყენამ მალევე გაუარათ,  შეიძლება საერთოდ არც გაიყვანონ.

— ამ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ?

— სისტემატურად უნდა ვუჩხიკინოთ და ვანერვიულოთ.

ამის გაგონებაზე პუდელი როგორღაც უხერხულად შეიშმუშნა.

— რაო, ჯეკ, — ხელი გადაუსვა მაკამ, — შენც არ მოგწონს რუსების პოლიტიკა?

— ჯეკს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — გააფრთხილა დეპუტატმა ჟურნალისტი, — არის საკითხები, რომლებზეც მაგას ჩემგან განსხვავებული აზრი აქვს.

— რა საინტერესოა, — აღფრთოვანება ვერ დამალა მაკამ, — თქვენს ოჯახში ძაღლიც კი პლურალურად აზროვნებს.

— რუსეთში არ არის გაზრდილი და იმიტომ.

— ფეხმძიმედ ჩანს, მოსამშობიარებლად, ალბათ, ევროპაში წაიყვანთ.

— არა, რატომ, თუ რაიმე გართულება არ იყო, თბილისში მოიმშობიარებს.

— მერე თბილისში გვაქვს კი ძაღლების სამშობიარო?

— რა თქმა უნდა, გვაქვს. როგორ ფიქრობთ, ამდენი შადრევნებისა და კარუსელების ფონზე ძაღლების სამშობიარო არ გვექნება? ეგ კი არა, მაგათთვის კოსმეტიკის სპეციალური კაბინეტიც მუშაობს.

— რას მეუბნებით, მერედა, იქ რას უკეთებენ?

— კოსმეტიკას — თვალებს ულებავენ, ყურებს უპუნტულებენ, დინგს ულამაზებენ, რომ მიმზიდველი და სასიამოვნო საკოცნელი იყოს.

— თქვენ, ალბათ, ოჯახის ვეტექიმიც გეყოლებათ.

— აბა, უმაგისოდ როგორ ვიქნებით. იგი ოჯახის წევრივით არის, მან ძაღლთან ერთად ჩვენი ხასიათებიც შესანიშნავად იცის.

აქ დეპუტატი ოდნავ შეყოვნდა და ერთი პიკანტური შემთხვევა გაიხსენა: ამას წინათ ჯეკმა ძვალი მოიტაცა და ქუჩაში გავარდა. ბუნებრივია, გამოვეკიდეთ, ხალხიც მოგვეხმარა, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადავურჩით, ძაღლი რაღაცას დაეჯახა, დაეცა და ფეხი მოიტეხა. სასწრაფოდ ოჯახის ვეტექიმი გამოვიძახე.

— მერე, როგორ უშველეთ? — იკითხა შეშინებულმა ჟურნალისტმა.

თურმე საშიში არაფერი იყო. ნუცამ (ვეტექიმმაძ ოთახში ფეხი შემოდგა თუ არა, ჯეკი მაშინვე წამოხტა და მიეგება. ჩვენ ყველანი პირდაღებულები დავრჩით.

— არ უნდა გაგიკვირდეთ, — აგვიხსნა ნუცამ, — ცნობილია, რომ ძაღლები ზოგჯერ თვალთმაქცობასაც მიმართავენ.

— ასეთი პატარა და თვალთმაქცი? — გაიკვირვა ეკამ, — დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ქვეყნის პრობლემები ვის აინტერესებს, ამ ნომერს, როგორც ჩანს, ჯეკი გაგვისაღებს.

**ოთარ ხუციშვილი**

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**3 ოქტომბერი 2006 წელი ქ. ხონი**

**ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ოთარ მარჯანიშვილმა განვიხილე სს „იმერეთის“ დირექტორის ი. ჩხენკელის განცხადება სს „იმერეთის“ ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-6, მე-7, მე-11, მე-12, მე-13, მე-15 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე და 414-417-ე მუხლებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გაიხსნას სს „იმერეთის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გამოცხადდეს გაკოტრებულად 2006 წლის 3 ოქტომბერს 12 საათიდან. საწარმოს იურიდიული მისამართია: ხონი, ვ. ბაგრატიონის ქ. №81.

2. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს გიორგი მსხალაძე, მცხოვრები ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოში.

3. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით აეკრძალოს სს „იმერეთს“ თავისი ქონების მართვა და განკარგვა და ეს უფლებამოსილება გადაეცეს გაკოტრების მმართველს.

4. სს „იმერეთის“ კრედიტორები ვალდებული არიან, გაკოტრების სასამართლოს (ხონის რაიონული სასამართლო, ხონი, ჭანტურიას ქ. №4ძ, 2006 წლის 7 ნოემბრამდე წარმოუდგინონ თავიანთი მოთხოვნები სს „იმერეთის“ მიმართ, მოთხოვნის ოდენობის და ვალის საფუძვლის ჩვენებით. მიეთითოთ კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი მოთხოვნები განიხილება, როგორც დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდება მასის განაწილებისას.

5. ყველა ის პირი, რომელსაც საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება აქვს სს „იმერეთის“ ქონებაზე, ვალდებულია, თავისი მოთხოვნები განაცხადოს გაკოტრების მმართველთან, მოთხოვნების წაყენების ვადაში.

6. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს სს „იმერეთის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, აეკრძალოს ამ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება ვალაუვალი მოვალის მიმართ და ევალება შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

7. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნას **2006 წლის 14 ნოემბერს 13-00 საათზე ხონის რაიონულ სასამართლოს შენობაში (ქ. ხონი ჭანტურიას ქ. №4.ძ**

8. სს „იმერეთის მიმართ დაწყებული და დაუმთავრებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები გამოცხადდეს ძალადაკარგულად 2006 წლის 3 ოქტომბრიდან და გადმოეცეს გაკოტრების სასამართლოს.

9. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში.

10. განჩინების ასლი გადაეგზავნოს:

— კავშირგაბმულობის შესაბამის განყოფილებას და მიეთითოს, რომ სს „იმერეთის“ ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გაეგზავნოს გაკოტრების მმართველს.

— საჯარო რეესტრის სამსახურს, რათა შეტანილი იქნას საჯარო რეესტრში მონაცემები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

— ქ. ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

— განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

**მოსამართლე ო. მარჯანიშვილი**

---

მეუღლე მედიკო ჩაფიძე, შვილი მაკა, შვილიშვილი თენგული, სიძე თენგიზ ბურჯულაძე, და ლუიზა, სიძე არჩილ ერისთავი ოჯახით, რძალი თამილა კადომცევა ოჯახით, მძახალი ინგა ბურჯულაძე ოჯახით, ცოლისდა გულნარა ჩაფიძე ოჯახით, დოდო, ირაკლი ჩხიკვაძეები ოჯახით, თამილა, მანა, იზოლდა ნიკოლაიშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ კადომცევი

პანაშვიდი 12, 13 X 17 სთ. გამოსვენება 14 X 14 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზ. №15ა.

---

ი. ჟორდანიას სეხელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პროფესორ ჯენარო ქრისტესაშვილს გარდაეცვალა

დედა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 12, 13 X 16 სთ. დაკრძალვა 14 X 14 სთ. ვაჟა-ფშაველას 45, კორპ. 24, მე-3 სად. IV სართული, ბ. 33.

---

## ხსოვნა

# ლამაზად იცხოვრა



ჩვენი აზრით, მხოლოდ ასეთი სათაური შეეფერება მართლაცდა ლამაზი და მრავალფეროვანი ცხოვრების კაცის, უახლოესი მეგობრისა და კოლეგის, **ირაკლი შაფაქიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილს; უფრო სწორად, ცრემლით და დარდით ნათქვამ სიტყვას, რომელსაც გული და სული ამოვაყოლეთ. ლამაზ ცხოვრებას რომ ვამბობთ, განა მხოლოდ მის პირად ცხოვრებას ვგულისხმობთ? ირაკლი შაფაქიძის ცხოვრება, პირველ რიგში, იმიტომ იყო ლამაზი, რომ იგი მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და, რაც მთავარია, უნივერსიტეტსა და სამშობლოს ეკუთვნოდა.

მუდამ თავმომწონე, ლაღი, კეთილი, ბრიალა თვალებით მაცქერალ-მომზირალი, მუდამ გემოვნებით, პეწიანად ჩაცმული, ტიპური ქალაქელი — თანამედროვეც და ძველი ყაიდის ინტელიგენტიც, ვისი დანახვაც ყველას გაუხარდებოდა. ისინი კი, ვისთანაც სამსახურებრივი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონია, ვერასდროს დაივიწყებენ მის განსაკუთრებულ, იუმორით შეზავებულ საუბარს, საქმიან ვითარებაში კი სერიოზულ, თავშეკავებულ, თავისებური მანერით წარმოთქმულ სიტყვას. რა გასაკვირია, ირაკლი შაფაქიძე ხომ ძველ თბილისელ ინტელიგენტთა ოჯახში იყო აღზრდილი, რომელსაც მუდამ ახსოვდა მისი მშობლებისა და წინაპრების ცხოვრების წესი — სიკეთე, შრომისმოყვარეობა და საქმისადმი ერთგულება.

ამ წესით იცხოვრა ჩვენმა ირაკლიმ 65 წელი, რაც განსაკუთრებით გვეცოტავება, თუმც რაც მან გააკეთა, იმისათვის ბევრს ორჯერ 65-იც არ ეყოფა. თვითონ განსაჯოს მკითხველმა: იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, როგორც მრავალმხრივ განათლებულ და ინტელექტუალურ ახალგაზრდას, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა იწვევს სამუშაოდ — მრჩეველ-რეფერენტად. დახვეწილი ქცევის, საუბრის ტონისა და მანერის — პიროვნული თვისებების წყალობით — ირაკლი შაფაქიძე 60-70-იანი წლების უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლორიტულ და პოპულარულ პიროვნებად იქცა; ხოლო შემდეგ, როდესაც იგი მშობლიურ უნივერსიტეტში წარმატებით დაიცავს საკანდიდატო, მერე კი უცხოეთში სადოქტორო დისერტაციას, უკვე შთამბეჭდავი ხდება მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. პროფესორი ირაკლი შაფაქიძე რამდენიმე მონოგრაფიისა და ათეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორია საერთაშორისო კერძო სამართლის დარგში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ირაკლი შაფაქიძის დიდი ღვაწლი უნივერსიტეტში, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაარსებაში. იგი დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ ერთხმად იქნა არჩეული ფაკულტეტის დეკანად. ისტორიული ფაქტია და ალბათ ბედის ირონიაც, ირაკლი შაფაქიძე იყო პირველიც და უკანასკნელი დეკანი ამ ფაკულტეტისა (იგი ორი წლის წინათ შეუერთდა იურიდიულ ფაკულტეტსძ. სწორედ ამ ფაკულტეტის ხელმძღვანელობის პერიოდში გამოვლინდა ირაკლი შაფაქიძის ორგანიზატორული ნიჭი, შრომისუნარიანობა და საქმისადმი სიყვარული. ირაკლი შაფაქიძის უნარმა და მონდომებამ აქცია იგი უნივერსიტეტის წამყვან ფაკულტეტად. ამ ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სიმპოზიუმში; მრავალმა მათგანმა მოიპოვა საერთაშორისო გრანტი თუ ჯილდო. პროფესორი ირაკლი შაფაქიძე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნამდვილი ლიდერი და მეთაური, მათი გულშემატკივარი, ჭირისა და ლხინის მოზიარე გახდა. ამ პერიოდში დაიმსახურა პროფესორმა ირაკლი შაფაქიძემ დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ საზღვარგარეთული სამეცნიერო ცენტრებისა და საერთაშორისო სამართლის ორგანიზაციების მხრიდან — არჩეული იყო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საზოგადოებების და ასოციაციების, უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრად, რაც მთავარია, მუდამ რჩებოდა ღირსეულ პიროვნებად.

ირაკლი შაფაქიძე, ფაკულტეტის წარმატებებთან ერთად, სავსებით სამართლიანად ამაყობდა თავისი შესანიშნავი ოჯახით, საყვარელი მეუღლით, ცნობილი ექიმით, ქალბატონ ნესტან დუდუჩავათი და ჩვენთვისაც საამაყო მისი შვილებით — დიმიტრით და მამიათი.

იცხოვრა ლაღად და ლამაზად, აკეთა საქვეყნო საქმეები, გვაჩუქა სიყვარული და დარჩა ჩვენს გულებში...

დღეს, მის მშვენიერ, ლამაზ ოჯახთან ერთად, მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე „მტკივანი და ულალატო გულის“ პატრონს, ნაღდ უნივერსიტეტელს, ირაკლი შაფაქიძეს ნამდვილი უნივერსიტეტელები გააცილებენ...

**უნივერსიტეტელი მეგობრები**

---

დეიდაშვილები მიშიკო, ეთერ გოცირიძეები, სიძე ბადრი ტყეშელაშვილი, ეკა, მაგდა ტყეშელაშვილები, სიძეები გოჩა ახვლედიანი, ნოდარ ბურკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი შაფაქიძე

---

იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის ყოფილი დეკანის, პროფესორ

ირაკლი შაფაქიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ავთანდილ, ელგუჯა, დარეჯან, გულიკო სილაგაძეები, შვილიშვილები გვანცა, ნინი ჭელიძეები, ნოდარ, ლევან, სალომე სილაგაძეები, სიძეები ნოდარ ჭელიძე, ვახტანგ წიკლაური, რძლები თამრიკო ათანელიშვილი, ნინო იარალიშვილი, ძმისწულები რუსიკო, ქეთინო, ზურაბ, იზო, მარინა, მამუკა ახვლედიანები, დისწული მერაბ გორდეზიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ სემინარის ასული ახვლედიანი

პანაშვიდი 12-13 X 16 სთ. ატენის ქუჩა №6/8, მე-2 სადარბაზო, VI სართული. გამოსვენება 14 X 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

საქართველოს კონტროლის პალატა თანაგრძნობას უცხადებს კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ავთანდილ სილაგაძეს დედის

ეთერ ახვლედიანი-სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

## სარწმუნოება

# წმინდა ონოფრე გარეჯელი, სასწაულთმოქმედი



**12 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია წმინდა ონოფრე გარეჯელს, ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძეს იხსენიებს. ის ქართლელი მდიდარი აზნაური იყო. ონოფრე სახელგანთქმული იყო სტუმართმოყვარეობით, გლახაკთმოწყალებით, უცხოთ შემწყნარებლობით. მან დატოვა ოჯახი, გამოეთხოვა მათ და ქრისტეს გზას შეუდგა. თავის ორ უფროს ვაჟიშვილთან ერთად თბილისში ჩავიდა, იქიდან გარეჯის მონასტერს მიაშურა. წინამძღვარმა გერმანემ სიხარულით შეიწყნარა მოსული და ძმათა კრებულს შერთო.**

ნეტარი ონოფრე მშვიდი, მდაბალი, მორჩილი და დაუცხრომელი მოღვაწე იყო. იგი ღამით მყუდროებაში ლოცულობდა და ფსალმუნებს ხევში კითხულობდა, სადაც არანაირი ხმაური არ აღწევდა.

ერთხელ დავით-გარეჯის მონასტერს ლეკები შეესივნენ, მოაოხრეს, იავარჰყვეს. დაატყვევეს ღირსი ონოფრე, მაგრამ სახიერმა უფალმა დაიცვა იგი... ონოფრე კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

...ონოფრე გარეჯელმა სასწაულმოქმედის მადლი მიიღო. ის კურნავდა ქართველებს, არაბებს და ყველა ავადმყოფს, რომელიც მასთან მივიდოდა.

ღირსმა ონოფრემ წინასწარ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, ზიარება მიიღო, მერე კი გონება დაკარგა... თვრამეტი დღის განმავლობაში წმინდანს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ პირჯვარს ისახავდა.

ნათლისღების დღესასწაულზე, ლიტურგიის შემდეგ, წმინდანს მართალთა ძილით მიეძინა.

წმინდა ონოფრეს ნეშტი დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით, საკურთხევლის სარკმელთან დაკრძალეს.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ანეკდოტები

**— წუხელ ვირი დამესიზმრა, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს? — ეკითხება მიხო ცოლს.**

**— აიღე სიზმრების ახსნის წიგნი და ნახე ასო „ს“.**

**— კი, მაგრამ, „ს“ რა შუაშია?**

**— იმ შუაშია, რომ სარკე დაგსიზმრებია!**



* * *

**ქმარი ფანჯარაში იყურება. უცებ ცოლს ყვირილით უხმობს:**

**— მოდი, ნახე, ქალი მოდის, რომელიც მიხოს უყვარს.**

**ცოლი კისრისტეხით გამორბის სამზარეულოდან და ფანჯარას მიასკდება:**

**— აბა, მაჩვენე, რომელია?**

**— აი, ის, ტროტუარზე რომ მოდის, ქოლგიანი.**

**— სულელო, ეს ხომ მიხოს ცოლია!**

**— აბა, მე რა ვთქვი?**

* * *

**— ამბობენ, რომ ეკლესიაში დადიხართ და ლოცულობთ, რომ ხელფასი მოგიმატონ. მართალია? მკაცრად ეკითხება დირექტორი თანამშრომელს.**

**— მართალია, რაო, არ შეიძლება?**

**— შეიძლება, მაგრამ არ მიყვარს, როდესაც ჩემი გვერდის ავლით ზემდგომ ინსტანციებს მიმართავენ.**

* * *

**ნეტავ რას ეწეოდა კლასიკოსი, როდესაც წერდა „ჩვენთვის სამშობლოს კვამლიც კი ტკბილი და გემრიელია“.**

* * *

**კონცერტი იწყება. გიტარისტი ეკითხება მევიოლინეს:**

**— რას ვუკრავთ?**

**— „აი ლავ იუ“.**

**— აი ლავ იუ თუ... მაგრამ დაკვრით რას ვუკრავთ?**

* * *

**მიხო სიდედრს ეკითხება: რადა ხარ ასე გაბრაზებული? რაო, ციცხიდან ჩამოვარდი?**

## ლარის კურსი

**12 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2297 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7405 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1833 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0646 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9901 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,44545 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4623 ლარი. |

## ერიჯა!

# ნაჩუქარში ფულს არ იხდიან!

**სარეკლამო მარგალიტები**

**— დედა, რას მელაპარაკები?.. ტელევიზორში მოვისმინე... შესანიშნავია! ხომ ხედავ საშინელ დღეში ვარ, მუწუკებმა შემჭამა პირდაპირ... ახლა უკვე მეშველება, ალბათ! მუწუკებდაყრილ სახეს მაჩვენებს ჩემი ძველი ნაცნობი ქალბატონი და რახან ჩემს სკეპტიკურ მზერას ამჩნევს, უკანალის რხევით მშორდება.**

— „ეჰ, რა გოგო იყო!...“ — მის დანახვისას ნერწყვს ვყლაპავდით ერთ დროს ბიჭები.

— „მან მე ნაოჭები გამიქრო!.. ნახეთ, რა ტკიცინა კანი მაქვს“!.. — გვეკეკლუცება კიდევ ერთი ქალბატონი, ახლა უკვე ტელეეკრანიდან და გვატყობინებს სენსაციურ სიახლეს: — „კანის მოვლის რევოლუციური საშუალება, სულ რაღაც 129 ლარად!..“



გასაკვირია, როგორ ვცხოვრობდით, აქამდე? სად იყო ამდენი შოუპროგრამები, ამდენი „ტელემარკეტები“ და „სალაღობო“ ტელესიუჟეტები? რეკლამებზე ხომ არაფერს ვიტყვი! საწყალი ხალხი ვიყავით, აბა, რა ცხოვრება იყო ჩვენი ცხოვრება სუპერრეკლამების გარეშე? — უბრალოდ, — ვჭამდით ნატურალურ ხორცს, კვერცხს, ძეხვს, კარტოფილსა თუ ლობიოს... ხანდახან ხიზილალასაც მივირთმევდით! თუმცა, კი იყო რეკლამებიც, მთლად ურეკლამობაც არ იყო, მაგრამ მასში გამართული, დახვეწილი გასაგები ქართულით გვაწვდიდნენ ამა თუ იმ ინფორმაციას... დღეს რას და რანაირად არ უკეთებენ რეკლამას. რანაირად არ ცდილობენ დაგვახვიონ თავზრუ, — შეუდარებელიო, რევოლუციურიო, მსოფლიოში ჯერ არნახულიო, რომელიღაც პოპვარსკვლავის გამონაცვალიო, რომელიღაც დიდი პოლიტიკოსის გატაცებაო, სუპერცხელიო, წაგრძელებულიო, წაბრტყელებულიო, მოხერხებულიო, სითხეგაუმტარიო, სამიდან ერთიო, წინიდან და უკნიდან რომ ისრუტავს ისეთიო, სამარხვოო... ასე გვახარბებენ კლიპები თუ სარეკლამო რგოლები თავიანთ საქონელს და... მერე კი ირკვევა, რომ იყიდება რადიაციული საკვები, — ხორცი, ძეხვი, კვერცხი... ტაფა, რომ ტაფაა ტოქსიკურია ისიც! წამლებიც კი **უ**-სერტიფიკატოდ, **უ**-საბუთოდ, და, რაც მთავარია, **უ**-სინდისოდ იყიდება.

ამასთან, ... უსინდისოდვე მახინჯდება ენა ქართული! „ტელემარკეტები“ და რეკლამის სხვა გამავრცელებლები ტექსტის რედაქტირებაზე თავსაც არ იწუხებენ, „არც ევალებათ“, თურმე! „რეკლამადატელებს“ კი ფეხებზე ჰკიდიათ გრამატიკა და მსგავსი „შედევრებით“ აცურებენ მომხმარებელს.

იყიდება „ფიტნეს-ფამფი,“ — კუნთების „დამბერავი“ აპარატი, „სვიმენ სვიპერსი“ — „წინა და უკანა მხრიდან“ რომ ისრუტავს ყველაფერს და ათასი მსგავსი რამ. ფასებიც „საოცარია“! — 129 ლარად და არა 130-ად! 299-ლარად და არა სამას ლარად, 399 ლარად და არა ოთხას ლარად... ლარი აკლია დამრგვალებულ თანხას! ხომ ხედავთ სამასად და ოთხასად კი არ ვყიდითო.

იაფი ილუზიაა, მაგრამ „მუშაობს“ და რას ერჩი?!

კიდევ ერთი სარეკლამო მარგალიტი, — თქვენ თვითონ ნახეთ ამ რეპლიკის დასაწყისში მოყვანილი ერთი მაგალითის დასასრული:

„კანის მოვლის რევოლუციური საშუალება, —ლოკოკინის ჟელე, სელეტონი!... სულ რაღაც 129 ლარად!... დარეკეთ ახლავე, იყიდეთ ერთი და საჩუქრად მიიღებთ მეორეს!!“

საოცარია, არა? როგორ კაცო, **129 ლარად მომყიდიან ერთს, მეორეს კი უფასოდ მაჩუქებენ?!**

მართალი გითხრათ, სულ დავიბენი! თუ ვიყიდი ერთს და მაჩუქებთ მეორეს, რად მინდა ორი? მაშინ დაგიბრუნებთ ნაყიდს, თქვენ დამიბრუნებთ თანხას იმ ნაყიდისას და მე დავიტოვებ ნაჩუქარს!, ნაჩუქარში კი ფულს არ იხდიან! ასე რომ, უფასოდ შემრჩა ერთი! (?ძ

ყოჩაღ! ამას ჰქვია ხალხზე ზრუნვა და ქველმოქმედება!

მარა, მე მაინც სკეპტიკოსი ვარ და ვერაფერი გავარკვიე ამ „ბიზნესში“. ამიხსენით, თუ ძმა ხართ!

**ამიტომ ვთქვი, მეეჭვება-მეთქი ამ აბდაუბდა „რეკლამებისაც“ და რეკლამირებული საქონლისაც!**

**ზაურ ფიფია**

## ინფორმაცია



### რუსთავს წყლის მიწოდება შეუწყდა

**რუსთავის მოსახლეობას და წარმოება-დაწესებულებებს გუშინ სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდათ. ოფიციალური ინფორმაციით, ამის მიზეზად წყალსადენზე მომხდარი ავარია გახდა.**

„რუსთავწყალის“ გენერალური დირექტორის ნოდარ შეროზიას განცხადებით, ქალაქის წყალსადენის 800-მილიმეტრიანი წყლის მილი დაზიანდა. ავარიის აღმოფხვრას მაქსიმუმ 48 საათი დასჭირდება.

წყლის მიწოდებას „რუსთავწყალი“ 13 ოქტომბერს დილიდან განაახლებს.

### ყაჩაღებმა 80 წლის კაცი მოკლეს

**ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში 5 ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა გედევან თორდიას ოჯახს. თავდასხმის დროს ოჯახში თავად 80 წლის გედევან თორდია, მისი შვილიშვილი და რძალი იმყოფებოდნენ.**

შეიარაღებული პირები ოჯახის წევრებისგან ფულსა და ოქროს ითხოვდნენ. ორმა ყაჩაღმა გედევან თორდია გაკოჭა, მას აუკრეს პირი, რის შედეგადაც ორჯერ ინფარქტგადატანილი მოხუცი ასფიქსიით რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. ამის მერე ყაჩაღებმა იძაურობა დატოვეს და მიიმალნენ.

**ინტერპრესნიუსი**

## კადრი



### დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

**გედის ექვსი ბარტყიდან ერთი ცოლქმრული ღალატის შედეგად იბადება. ასეთი შედეგი მიიღო ფრინველის გენეტიკურმა ტესტებმა. ის კი მელბურნის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოაწყვეს. გაუგებარია, როგორ ახერხებენ გედები თავიანთი პარტნიორების მოტყუებას, მათი წყვილები ხომ მუდამ ერთად არიან?**

## დარია თუ ავდარია




**დასავლეთ** **საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+17^0 - +25^0$, ღამით $+13^0 - +16^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+16^0 - +25^0$, ღამით $+12^0 - +18^0$.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+14^0$, დღისით $+23^0$.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.